

საქართველოს ბიბლიოთეკა N1 (58) - 2015
გამოცემა 2000 წლიდან

ISSN 1512-0050
www.gela.org.ge



1239

2015

საქართველოს ბიბლიოთეკა


პროფესიული ჟურნალი ბიბლიოთეკარებისთვის

აკაკი წერეთელი - 175

ტექნოლოგიური სიახლეები ეროვნულ ბიბლიოთეკაში

საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული 2015





საქართველოს ბიბლიოთეკა

პროფესიული ჟურნალი ბიბლიოთეკარებისთვის

აკაკი წერეთელი - 175

ტექნოლოგიური სიახლეები ეროვნულ ბიბლიოთეკაში

საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული 2015

თბილისი 2015



წინამდებარე ნომრიდან ჟურნალი ჩამოყალიბდება როგორც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალური ორგანო; ჟურნალი გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ დაურიგდებათ საჯარო ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება, როგორც ხელნაწერი, ასევე ელექტრონული ფორმით. აკრეფილი ტექსტი უნდა იყოს Sylfaen შრიფტით და გადმოიგზავნოს ელექტრონულ მისამართზე: sakartvelosbiblioteka@gmail.com

ალექსანდრე ლორია — მთავარი რედაქტორი;

სარედაქციო კოლეგია:

- გურამ თაყნაშვილი — რედაქტორის მოადგილე;
- გულნარა სტურუა — კორექტორ-დენტიტორ მუშაობის რედაქტორ-კოორდინატორი;
- მირიან ხოსიტაშვილი — საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე;
- რუსუდან ასათიანი — საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი;
- მაია მიქაბერიძე — საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის განყოფილების უფროსი;
- ირინა ალიაშვილი — პასუხისმგებელი მდივანი;
- ლევან პაპალაშვილი — დაკაბადონება;
- ნინო ინჯია — ყდის დიზაინი.

საქართველოს ბიბლიოთეკა N1 (58) - 2015; გამოიცემა 2000 წლიდან. საავტორო უფლება: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია.

შინაახსი

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ სამოქმედო პროგრამა	2
წიგნის ისტორია	
მანანა დეკანოსიძე – ქართული ხელნაწერი წიგნი	3
ნინო ხვედელიძე – ივანე კერესელიძის საგამომცემლო მოღვაწეობა და პირველი ქართული სასოფლო-სამეურნეო გაზეთი	6
მაია მიქაბერიძე – გაზეთი „სოციალისტური ტემპები“ ეროვნული ბიბლიოთეკის პირველი პერიოდული გამოცემა	11
ბიბლიოთეკების ისტორია	
იური სიხარულიძე – ზემო გურიის ერთი სოფლის ბიბლიოთეკები	14
გამომცემლობა და მკითხველი	
თამარ ბარისაშვილი – მომხმარებელი გამოცემლის ინტერესებში (ინტერვიუ)	15
ფილლოლოგიური ძიებანი	
გიორგი სარაჯიშვილი – ვინ გააგებინა ტფილისს წიწამურში ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის ამბავი	18
მარიამ მარჯანიშვილი – ცნობიერების ნაკადში დანახული სამშობლო. (წერილი 2)	20
გურამ თაყნიაშვილი – პატრიოტიზმისა და ეროვნული ენერჯის საკითხები გერონტი ქიქოძის შემოქმედებაში	22
გულნარა სტურუა – აკაკი წერეთელი	25
შოთა მალაზონია – „ჭკვიანი“ თუ „ჭიანი“	28
მკითხველებთან მუშაობა	
მანანა კარიჭაშვილი, ელენე გოგოლაძე, ქეთევან აფაქიძე – სამკითხველო დარბაზები მკითხველთა სამსახურში	30
ბავშვთა კითხვა	
ნანული ღურსმანაშვილი – ყურადღება, ბიბლიოთეკაში ბავშვი მოვიდა	32
კორესპონდენციები	
ეთერ აფაქიძე – ჩვენი პატარა საამაყო მეგობარი	33
ეთერ ქამუშაძე – ბიბლიოთეკა ცხოვრების კვალდაკვალ	35
ინგა მაჭარაშვილი – თანამშრომლობის ნიშნით	37
მანანა საგანელიძე – საშვილიშვილო საჩუქარი	38
საჯარო ბიბლიოთეკები ადგილობრივი განვითარებისათვის	38
ქეთევან ბაიაშვილი – სტუმრები ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმში ტექნოლოგიური სიახლეები საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში	40
41	41
მხატვარი და წიგნი	
ალექსანდრე ლორია – მხატვრის მიერ გაცოცხლებული პერსონაჟები	43
პროფესია და პროფესიონალები	
იდუმალი სამყაროს დიასახლისი	45
თამარ კაპანაძე – „წიგნის დედა – ყველას დედა“	46
მეთოდური სამსახური	
გურამ თაყნიაშვილი – როგორ აღვადგინოთ გაუქმებული ბიბლიოთეკები	47
ინფორმაცია	
ზღაპრის გულის ამბები	49
დაუძველებელი სიძველენი	50
ბიბლიოთეკების ფონდების ღირსების წიგნი	51
ქრონიკა	
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები	52
რევიუ	
დავით გიგინეიშვილი – „ღუჩია ლამერმურელი“ დოიჩე ოპერაში	54

98

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ სამოქმედო პროგრამა

ეპინაოსი ახი

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ პირველსავე ნომერში (2000, №1), სტატიის „პერსპექტივა – უმთავრესი პრინციპი“, გამოცხადებული იყო ჟურნალის სამოქმედო პროგრამის ძირითადი დებულებები სათანადო კომენტარებით, რითაც განისაზღვრა გამოცემის არსი. ეს ჟურნალი, ფაქტობრივად, არის ერთადერთი პროფესიული ბეჭდური პერიოდული ორგანო, რომელიც ხანგრძლივ დროზეა გაანგარიშებული. ჟურნალის პროფესიულობა არ გულისხმობს ვიწროდ შემოზღუდულობას საბიბლიოთეკო დარგით, იგი მუდამ იყო და არის საყოველთაო მოხმარების კულტურულ-საგანმანათლებლო თემატიკის მომცველი ორგანო. გამიზნულია ყველა ტიპის მომხმარებლისათვის.

ვახიოძეობა

ჟურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ, კვარტალურად. მისი გვერდების რაოდენობა და ტირაჟი არაა განსაზღვრული.

მიმართულებები

ჟურნალი საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს. ცნობილია, რომ ბიბლიოთეკა საზოგადოების საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში არის წარმოდგენილი: კულტურულ-საგანმანათლებლო, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ინფორმაციული, სამეურნეო-საწარმოო, საგამომცემლო და სხვ. ამ მიმართულებათა წარმომადგენლების დიდი ნაწილი დაინტერესებული არის საბიბლიოთეკო დარგის საქმიანობით, იყენებს ბიბლიოთეკებს თავისი შრომითი პროცესების სრულყოფის, ინტერესებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამიტომაც ჟურნალის მასალათა თემატიკაც მეტად მრავალფეროვანია.

თემატიკა

ჟურნალი აშუქებს როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებს, დიდი ადგილი ეთმობა ინფორმაციებს ადგილებიდან, კორესპონდენციებს, პოლემიკას, მუშაობის გამოცდილებას, სისტემის აგებასა და მართვას, კადრების მომზადება-გადამზადებას, საკანონმდებლო-იურიდიულ, საძიებო-ინფორმაციულ, საბიბლიოთეკო ფონდების ფორმირებასა და ორგანიზაციას, მკითხველთა მომსახურებასა და ინფორმირებას, ორგანიზაციული მენეჯმენტის, ფინანსების, ტექნიზაციის, ელექტრონული რესურსების შედგენა-გამოყენებას და სხვა საკითხებს.

ჟურნალი აქვეყნებს ბიბლიოგრაფიულ სიებს, მეთოდოლოგიურ, სარეკომენდაციო, ღირსშესანიშნავი და მნიშ-

ვნელოვანი თარიღების კალენდრებს, ცნობებს ახალი გამოცემების შესახებ, რეცენზიებს, ინტერვიუებს, პროფესიულ მოკლე ლექსიკონებს, მკითხველთა გამოხმაურებებს; ყურადღებით ეკიდება ყოველ შენიშვნასა და წინადადებას, რასაც მომხმარებლები რედაქციას აწვდიან. ჟურნალი ახალიზებს მკითხველთა შესწავლის მასალებს, რედაქცია აქვეყნებს სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობის მასალებს, მონაწილეობს სხვადასხვა კონკურსებისა და წარდგენების ორგანიზაციაში და სხვ.

ჟურნალი განსაკუთრებით დაინტერესებულია საბიბლიოთეკო სისტემის მდგომარეობით, დარგის პერსპექტივების გამოვლენით, უცხოეთის საბიბლიოთეკო საქმის გამოცდილების გაზიარებით, საბიბლიოთეკო საქმისა და წიგნის ისტორიით. დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს რეგიონებში არსებული მდგომარეობისა და ჩატარებულ ღონისძიებათა ასახვას, ცალკეული ბიბლიოთეკების მუშაობის გაცნობას. სისტემატურად შექმნილი კრიტიკული შენიშვნებისა და ნაკლოვანებათა ასახვის მასალები, ყურადღება ეთმობა წარმატებულად მომუშავე სპეციალისტების შესახებ არსებულ მასალებს, ეხმაურება საიუბილეო თარიღებს, გამოყოფილია რუბრიკა პროფესიონალების კონსულტაციებისა და რეკომენდაციებისათვის.

ჟურნალს მრავალი რუბრიკა აქვს შექმნილი სტატიების დასაჯგუფებლად. რუბრიკები არის როგორც ზოგადი, ისე მეტად კონკრეტული მასალის გამოსაყოფად. ნაწილობრივ შეიძლება დავასახელოთ: ოფიციალური განყოფილება, ბიბლიოთეკების ისტორია, წიგნის ისტორია, ბიბლიოთეკა და საზოგადოება, ბიბლიოთეკა მეცნიერების დასახმარებლად, ფილოლოგიური ძიებანი, ტერმინოლოგიური ძიებანი, თანამედროვე ტექნოლოგიები, დეპარტამენტის უკვდავყოფა, პროფესია და პროფესიონალები, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ურთიერთობანი, ფონდების ორგანიზაცია, საბიბლიოთეკო მენეჯმენტი, კომპიუტერები ბიბლიოთეკაში, ბავშვთა კითხვა, სკოლა და ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკა და ოჯახი, საბიბლიოთეკო კადრები, კორესპონდენციები, მეთოდოლოგიური სამსახური, მოგონებები, იუბილე, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, წიგნი და მხატვარი, რეცენზიები და პუბლიკაციები, ინფორმაცია, ჩვენი შემოქმედება, ქრონიკა, საცნობოდ საკითხავი, ქართული ენის სიწმინდისათვის და მრავალი სხვა. გარდა ამისა, მიუხედავად სიმრავლისა, არ არის გამორიცხული საჭიროების შემთხვევაში ახალი რუბრიკები შეიქმნას.

მასალის ნახიოძეობა

ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება, როგორც ხელნაწერი, ასევე ელექტრონული ფორმით.



წიგნის ისტორია

ქართული ხელნაწერი წიგნი

თანა ლეონოიძე

წიგნი ხალხის სულიერი კულტურის განვითარების დიდი მონაპოვარია. იგი ქვეყნის პროგრესის და წინსვლის მძლავრ ბერკეტად, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების, ხალხების ურთიერთდახლოების და დამეგობრების უებარ საშუალებად გვევლინება. ძველ საქართველოში „წიგნი“ ეწოდებოდა ცალკე ხელნაწერს (დანიშნულებისა და შინაარსის მიუხედავად), საბუთს, დოკუმენტს, წერილს. იგი მათ საერთო სახელს გამოხატავდა, მწიგნობრობა კი „მწერლობას, წერა-კითხვასა და წერილობით განათლებას“.

ყოველ წიგნს (წერილს) თავისი დანიშნულება ჰქონდა მისი ხასიათისა და შინაარსის მიხედვით: ზოგი „სადმართო წიგნი იყო, ზოგი საერო, სამეცნიერო, ზოგი საკითხავი და ზოგიც „საერთო ანუ გარეშე“.


წიგნმა და მწიგნობრობამ საქართველოში, უაღრესად გრძელი, თავისებური და მეტად ნაყოფიერი გზა განვლო. იგი ძველთაგანვე სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივი ზრუნვის

საგანი იყო. თითქმის ერთნაირი დაინტერესებით ზრუნავდნენ ორიგინალური და ნათარგმნი წიგნების გამრავლებაზე. ამ მიზნით ძველ საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ – პალესტინაში, იერუსალიმში, შავ მთაზე, საბერძნეთში, ბულგარეთში და სხვაგან აღმოცენებული ქართველთა სამონასტრო სამწერლობო ცენტრები ქართული მწერლობისა და წიგნის განვითარების უმნიშვნელოვანეს კერებად იქცნენ.

წიგნის გადამწერები თავიანთი ნაშრომებით მთელი სიცხადით წარმოგვიდგენენ იმ მდიდარ მწიგნობრულ მემკვიდრეობასა და ტრადიციებს, რაც ფეოდალურმა საქართველომ გვიანდერძა.

ქართველი მწიგნობრობის მნიშვნელოვან ცენტრებად ქართლში აღიარებულია: თბილისი, მცხეთა, ცურტაყი, შიო მღვიმე, რუისი, ურბნისი, სამთავისი, ბოლნისი, წილკანი, მუხრანი, გორი, ახალგორი, დუშეთი, ქვათახევი, ტანძია, ტოკლარჯეთში, ოშკი, ოპიზა, ხანძთა, შატბერდი...

სამცხე-ჯავახეთში: საფარა, ზარზმა, აწყური, ვარძია, თმოგვი...





აჭარასა და შავშეთში: ტბეთი, თეთროსანი, ხინო...

კახეთში: გარეჯი, ზედახენი, ალავერდი, ივანეთო, მარტყოფი, გრემი, თელავი, ნინოწმინდა...

დასავლეთ საქართველოში: ქუთაისი, გელათი, ჯრუჭი, წესი, საჩხერე, ცაგერი, მესტია, კაცხი, ვანი, მარტვილი, ცაიში, ბიჭვინთა, ოზურგეთი...

V ს. ი. ცურტაველმა დაწერა დიდებული მხატვრული ქმნილება „წამებაი წმინდისა შუშანიკისა“. იგი თავისი ხასიათით, დახვეწილი მხატვრულობით ადასტურებს, რომ ქართულ ენაზე ამაზე ბევრად ადრე თარგმნილ წიგნებთან ერთად ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებიც უნდა შექმნილიყო. იაკობ ცურტაველი კი ამ წინამორბედთა შესანიშნავი ლიტერატურული ტრადიციის ღირსეულ გამგრძელებლად უნდა გვევლინებოდეს. ჩვენამდე მოღწეულია „შუშანიკის წამების“ არა დედანი, არამედ X ს. უძველესი ნუსხა, რომელიც პარხლის მრავალთავშია შესული.

ქართული დამწერლობის და მწიგნობრობის შესახებ ჩვენამდე მოღწეულია არქეოლოგიურ-დოკუმენტური მასალები. დამაჯერებლობით წარმოაჩენენ ქართული აღმოჩენების აღორძინებას წინაფეოდალურ და ფეოდალურ ეპოქებში, როგორც საქართველოს ფარგლებში, ისე საზღვარგარეთულ ცენტრებში საქართველოშიც და მისგან ბევრად დაშორებულ ქვეყნებში (სინას მთა, იერუსალიმი, პალესტინა, ათონის მთა). დიდი წარმატებით მრავლდებოდა საეკლესიო მწიგნობრული კულტურის კერები, ვითარდებოდა ქართული მწიგნობრობა, მკვიდრდებოდა ტრადიცია მაღალი კულტურისა, რომლის საფუძველზეც საქართველო მწიგნობრობის ერთ-ერთ კლასიკურ ძველ ქვეყნად გვევლინება.

უძველესი ქართული ძეგლებიდან მოღწეულია ე.წ. ხანმეტური ტექსტების შემცველი VI-VII სს. ხელნაწერთა ნაწყვეტები. მათ აკლიათ გადაწერის თარიღი და ძეგლთა ხნოვანება, რაც მხოლოდ პალეოგრაფიული ნიშნებით დგინდება. მოგვიანებით შემორჩენილ ძველ ქართულ ხელნაწერებს ახლავს თარიღი, გადაწერის ადგილი და გადაწერის ვინაობა. ასეთია 864 წ. დაწერილი სინური მრავალთავი, რომელიც საბაწმინდის მონასტერში (იერუსალიმის მახლობლად) მაკარ ლეთეთელსა (ლეთეთი სოფელია ქართლში) და მის მამას გიორგი გრძელიძეს ამონა ვახტანგის ძის დახმარებით დაუწერიათ.

ქართული ენისა და მწერლობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია პარხლის მრავალთავი, რომელიც X საუკუნით თარიღდება. იგი უძველესია იმ ხელნაწერთა შორის, რომელთაც შემოგვინახეს „შუშანიკის წამება“. ამ ხელნაწერს აკლია ერთი მესამედი. იგი დაუწერია გაბრიელ პატრს, როგორც ეს ანდერძით ირკვევა.

ქართულ თარიღიან ძველ ხელნაწერ წიგნთა შორის ყურადღებას იპყრობს იოანე ოქროპირის ცხოვრება ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნი, რომელიც 968 წლით თარიღდება.

X საუკუნიდან ხელნაწერთა რიცხვი მრავლდება. მაგ. 913 წ. ათონში დაიწერა სახარება, 973 წლამდეა შექმნილი შატბერდის კრებული, 977წ. – ოშკის მონასტრის ხელნაწერი, ათონში დაცული № 69, № 53 ხელნაწერები და სხვა.

ათონის ივერიის მონასტერში, ისე როგორც იერუსალიმში, სინას მთაზე, საბა წმინდის ლავრაში, ქართულად თარგმნიდნენ დიდმნიშვნელოვან თხზულებებს, წერდნენ ორიგინალურ ნაშრომებსაც. დიდ ნაწილს საქართველოშიც გვაჩვენებენ.

წიგნებზე საქართველოში დიდი მოთხოვნილება იყო. აქ მოქმედებდნენ მრავალრიცხოვანი საყდრები და მონასტრები, რომელთაც ღვთის მსახურების წესიერად შესრულებისათვის ესჭირდებოდათ წიგნები. საზღვარგარეთული ქართული მწიგნობრული კერებიც აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ქვეყნის წიგნით უზრუნველყოფის საქმეში. ტრადიციულად შემუშავებული და დადგენილი ყოფილა წიგნების მინიმუმის რაოდენობაც კი. კერძოდ, სცოდნიათ, რამდენი წიგნი იყო საჭირო ეკლესიისათვის და რამდენი მონასტრისათვის.

დავით აღმაშენებლის მეფობიდან მწიგნობარნი, წიგნის მცოდნენი და წიგნზე მომუშავე პირნი ქვეყნის მართვა-გამგეობაში აქტიურად მონაწილეობდნენ. მეფის მიერ განხორციელებული სახელმწიფო და საეკლესიო რეფორმები შემთხვევითი მოვლენა არაა, მით უმეტეს, რომ რეფორმის ცხოვრებაში გატარებას ხელმძღვანელობდა სამეფოში ახლად შექმნილი ყველაზე დიდი სამოხელეო ინსტიტუტი, რომლის მეთაურს მწიგნობართუხუცესი ეწოდებოდა.

განვითარებულ ფეოდალურ საქართველოში აღორძინებული მწიგნობრობა და ახლად აღმოცენებული უმაღლესი სამოხელეო თანამდებობა მწიგნობართუხუცესისა, თითქმის სიმბოლურად წიგნიდან მომდინარეობს, რაც იმის მანიშნებელია, თუ რაოდენ პატივცემული იყო წიგნი და მწიგნობრობა ჯერ კიდევ დავითის დროინდელ ძველ საქართველოში. თვით დავითი ცნობილი მწიგნობარი იყო, ავტორი „გალობანი სინანულისა“, რომელსაც ბიბლიის გავლენა ემჩნევა.

ქართული ლიტერატურა ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურაა, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს მსოფლიო კულტურის საგანძურში. ქართულ ლიტერატურას თექვსმეტ საუკუნოვანი ისტორია მაინც აქვს. ეს დიდი ლიტერატურული ტრადიცია ქართველი ხალხის შეგნებაში საუკუნეთა განმავლობაში ზრდიდა და აღრმავებდა წიგნისადმი მოკრძალებულ სიყვარულს. XII საუკუნეში შოთა რუსთაველმა თავისი გენიალური

„ვეფხისტყაოსნით“ ხალხის ეს შეგნება თვისებრივად ახალ დონეზე აიყვანა. მან ქართული ლიტერატურა მსოფლიო განვითარების უმაღლეს დონეს აზიარა.

„ვეფხისტყაოსანმა“ ქართულ წიგნს მანამდე მიუღწეველი ახალი თვისებრიობა შესძინა. წიგნი ერის სულიერი ცხოვრების სახელმძღვანელოდ აქცია და მხატვრულ-პოეტური ოსტატობით მსოფლიო ასპარეზზე დაამკვიდრა.

წიგნისადმი ამგვარი მოკრძალებული დამოკიდებულება ეუფლებოდა ხალხს მთელი თავისი სიფაქიხით, რაც ასევე ვლინდებოდა წიგნის კალიგრაფიულ გადაწერასა და მხატვრულ გაფორმებაში.

აკადემიკოს კ. კეკელიძის შეხედულებით ძველი ქართველი მწიგნობრები, ბიბლიაში ეცნობოდნენ ლიტერატურული სიტყვის ხერხებისა და შემოქმედების ტექნიკას, რომელიც ასე მნიშვნელოვანი იყო ორიგინალურ-ეროვნული მწერლობის განვითარებისათვის.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს დაბადების IV–V სს. პავლეს ეპისტოლეთა ქართული რედაქციის უძველესი ტექსტი.

აღმოსავლეთის და დასავლეთის ქვეყნებში არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებში ეწოდნენ ფართო ლიტერატურულ-კულტურულ და მწიგნობრულ მოღვაწეობას: წიგნების თარგმნას, გადაწერას, შემკობას, შემოსვას და სხვა.

აღმოსავლეთში ასეთ კულტურულ ცენტრებს წარმოადგენდა შავი ანუ საკვირველი მთა (ანტიოქიის მახლობლად, სირიაში), სადაც ჯერ კიდევ IV–V სს. მიჯნაზე პეტრე იბერიელმა დააარსა ქართველთა მონასტერი. პალესტინაში კი ცნობილი იყო ხარიტონისა და საბაწმინდის ღაფრა, სადაც წმინდა მამები სამწერლო-მთარგმნელობით საქმიანობას ეწოდნენ. XI ს. იერუსალიმში აშენდა ქართული მწერლობის საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ახალი კერა ჯვრის მონასტერი.

ქართულ ხელნაწერ წიგნთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოშკის ბიბლიას, რომელიც 978 წ. იოანე ნათლისმცემლის ღაფრაში გადაუწერიათ თორნიკე ერისთავის დაკვეთით. თორნიკეს ეს ძეგლი შემდეგ შეუწირავს ათონის ივერიის ქართველთა მონასტრისათვის. ხელნაწერი 960 გვერდს შეიცავს. 1849 წ. ეს ხელნაწერი პლ. იოსელიანს დროებით ჩამოუტანია საქართველოში. დაუმზადებია ორი პირი (ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში) და წამოღებული ხელნაწერი უკანვე დაუბრუნებია ათონის მთაზე. ეს ძეგლი სულ მალე ქართველ მეცნიერთა ყურადღების ცენტრში მოექცა და შესწავლის საგნად იქცა.

ძველი ქართული მწიგნობრობისა და მწერლობის უაღრესად საყურადღებო ძეგლია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, რომლის მხოლოდ ერთადერთმა ხელნაწერმა მოაღწია ჩვენამდე. იგი ნიკო მარმა აღმოაჩინა და მანვე გამოსცა 1911 წელს.

განსაკუთრებით დიდ მოვლენას ქართული მწიგნობრობის კულტურის ისტორიაში იერუსალიმში X ს. პირველ ნახევარში ჯვრის მონასტრის დაარსება მოასწავებდა, რომლის ამშენებლად გიორგი-პროხორე შავთელი გვევლინება.

მონასტრის დაარსების ინიციატორები იყვნენ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. ჯვრის მონასტრის მშენებლობას უდიდესი დახმარება აღმოუჩინა მეფე ბაგრატ IV (1027–1072 წწ). ჯვრის მონასტერში დიდი ქართული მწიგნობრული კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა მიმდინარეობდა. აქ მრავალი ძეგლი შეითხზა, დღემდე შემორჩა „გრ. ხანძთელის ცხოვრების“ ერთადერთი ნუსხა, ბიბლიურ ტექსტთა შემცველი ნუსხები, მამათა ცხოვრებანი და სხვა, რომელნიც ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებს გადაუწერიათ. იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ამჟამად 155-მდე ქართული ხელნაწერია დაცული. ჯვრის მონასტერში გადაწერილი ხელნაწერები დაცულია თბილისის, სანკტ-პეტერბურგის, (დენინგრადის) ვენის, ვაშინგტონის წიგნსაცავებში. ჯვრის მონასტერი არაერთგზის დაარბიეს, შესუსტდა ქართველთა დიდი გავლენა იერუსალიმში და ბოლოს ქართველთა მონასტრებს ბერძნები დაეპატრონენ.

დღეისათვის ცნობილია ქართული ხელნაწერი წიგნის 11 ათასამდე ეგზემპლარი, რომელიც ინახება როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის უმნიშვნელოვანეს წიგნსაცავებში. ამათგან უმთავრესი საცავი და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებაა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. იგი 50 წელზე მეტი ხანია, რაც ემსახურება ქართული ხელნაწერი წიგნის კვლევისა და დაცვა აღრიცხვის საქმეს.

2011 წლის ოქტომბერში ქართული ხელნაწერები „UNESCO“-ს მსოფლიო დოკუმენტურ რეესტრის ხელნაწერი ძეგლების ნუსხაში შეიტანეს. 500-მდე ქართული ხელნაწერი 7 ახალ ძეგლს შორის მოხვდა. კოლექცია IX–XV საუკუნეების ბიზანტიურ-ქართულ ურთიერთობებს ასახავს და მსოფლიო კულტურის ისტორიისათვის უნიკალური მნიშვნელობა აქვს. ნუსხაში შესულია ბიზანტიური ძეგლების უნიკალური თარგმანები, ზედღართული ქართული კომენტარები და სხვა შინაარსის ძეგლები. მათ შორის არის თარგმანები, რომლის დედნები აღარ არსებობს და მეცნიერები მათ მხოლოდ ქართული წყაროების მიხედვით იკვლევენ.

ივანე კერესელიძის საგამომცემლო მოღვაწეობა და პირველი ქართული სასოფლო-სამეურნეო გაზეთი

ნიკო ხუციანიძე

ივანე კერესელიძე (1829-1892) მე-19 საუკუნის 50-60-იანი წლების ქართული კულტურის თვალსაჩინო ფიგურა იყო. ის მრავალმხრივ საქმიანობას ეწეოდა: წერდა ლექსებს, მოთხრობებს, პიესებს, კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებს, გამოკვლევებს, თარგმნიდა თხზულებებს. ქართული თეატრის აღორძინების პირველ წლებში იგი გამოდიოდა სცენაზე და სათავეში ედგა მრავალ საზოგადოებრივ-საქველმოქმედო წამოწყებას. მან დიდი როლი ითამაშა იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. გიორგი ერისთავის შემდეგ ივანე სათავეში ჩაუდგა „ქართულ თეატრსა და ჟურნალს – ეროვნული კულტურის ორივე დედაბოძს“. მანვე ჩამოაყალიბა ქართული დაწვებითი სკოლის დაარსების პროგრამა და დაასაბუთა მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობა. ეს იყო დედაენისათვის იმ ბრძოლის დასაწყისი, რომელიც 70-80-იან წლებში გაჩაღდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი ქართული წიგნისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საქმეში, რითიც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართული ბე-


ჭდვითი სიტყვის დამკვიდრებასა და გავრცელებას.

1832 წლის შეთქმულების მარცხის შემდეგ, სოლომონ დოდაშვილის ციმბირში გადასახლებით, მისი გაზეთისა და სტამბის დახურვით, საქართველოში კარგა ხნით შეჩერდა საგამომცემლო საქმიანობა. მხოლოდ ორი ათეული წლის შემდეგ, 1852 წელს მოახერხა გიორგი ერისთავმა თბილისში პატარა, ქართული სტამბის გახსნა, სადაც ჟურნალ „ცისკარს“ გამოსცემდა. სამწუხაროდ, ჟურნალი მალე დაიხურა და სტამბაც დაიკეტა.

ივანე კერესელიძეს კარგად ესმოდა, რომ ამ ვითარებაში ქართული ენა, წიგნი და მწიგნობრობა პოლიტიკური ბრძოლის მთავარი იარაღი, ეროვნული მთლიანობის, მშობლიური კულტურისა და აზროვნების განვითარების, საზოგადოების უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის საუკეთესო საშუალება იყო.

ივანე სისტემატიურად ბეჭდავდა „სახალხო წიგნებს“. 1852 წელს მან გამოსცა „ყრმათა მეგობარი“ – რუსული წიგნის ქართული თარგმანი, რომელსაც „ანბანი ქართული“ წარუმძღვარა და 1853 წელს ხელახლა დაბეჭდა შეცვლილი სახელწოდებით – „საკითხავი წიგნი ახალ-მოსწავლეთა ყრმათათვის“. იგი გამომცემელმა განმეორებით დაბეჭდა 1855 და 1861 წლებში. 1855 წელს ივანემ გამოსცა „მწვემის სიყვარული“ და „ნაოხარი სოფელი“. 1856 წელს კი კერესელიძემ დაბეჭდა პატარა სახელმძღვანელო სახელწოდებით: „ანბანი ახალმოსწავლეთა ყრმათათვის“. წიგნი პრიმიტიული და მეთოდურად გაუმართავი იყო, თუმცა, საკმარის სამსახურს უწევდა წერაკითხვის შესწავლის მსურველთ, რის გამოც იგი შემდგომში სამჯერ დაიბეჭდა (1856, 1858, 1862 წწ.). 1859 წელს გამოიცა ივანეს „ლექსთა კრების“ პირველი წიგნი, ხოლო 1878 წელს – მეორე წიგნი და „ლექსები“, 1860 წელს კი – „ჯიბით სატარებელი კალენდარი“.

მიუხედავად მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური პირობებისა, ივანემ მტკიცედ გადაწყვიტა 1854 წელს დახურული „ცისკრის“ აღდგენა-განახლება. მან თავისი მიზნები აღექსანდრე ორბელიანს გაანდო, რომელმაც დიდი დახმარება და თანადგომა გაუწია. ივანეს თანამოაზრეთა შეკრებებიც აღექსანდრეს სახლში იმართებოდა, სადაც საბოლოოდ გადაწყდა „ცისკრის“ აღდგენა-განახლება, პროგრამის შედგენა კი დიმიტრი ყიფიანს მიანდეს.



საგამომცემლო საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს სირთულეს სტამბის უქონლობა წარმოადგენდა, რის გამოც ივანემ საკუთარი საგამომცემლო ბაზის შექმნა გადაწყვიტა და ძველი, კარგა ხნის წინათ დახურული „ცისკრის“ სტამბის შესყიდვის შესახებ თხოვნით მიმართა გიორგი ერისთავს. ეს უკანასკნელიც დაეთანხმა და 900 მანეთად მორიგდნენ. ივანემ სტამბის ღირებულების ნაწილ-ნაწილ გადახდა დიდი გაჭირვებით მოახერხა.

ალექსანდრე ორბელიანმა კვლავ გაუმართა ხელი ივანეს და რედაქცია თავის სახლში, არქიელის მოედანზე განათავსა. პრიმიტიული, ხისაგან დამზადებული, ძველნაკეთი დაზგა, რომელიც მეფისნაცვლის სტამბის ნაწილს შეადგენდა და ერისთავმა ვორონცოვისაგან მიიღო საჩუქრად, ივანემ დიდი სიხარულით მოაწესრიგა: გაცვეთილი ასოები შეცვალა, ხის დანჯღრეული დაზგა ააწყო და ბეჭდვა გააჩაღა.

1857 წლის პირველი იანვრიდან გამოსვლა დაიწყო „ცისკარმა“. ეს ჟურნალი 1863 წლამდე ქართულ ენაზე ნაბეჭდი ერთ-ერთი პერიოდული გამოცემა იყო, რომელმაც მთელი ქართველი ინტელიგენციის ყურადღება მიიქცია. მის შესახებ პეტრე უმიკაშვილი წერდა: „ცისკრის“ გამოსვლა ჩვენის ლიტერატურის ბნელ ცაზე მართლა დილის წინამორბედს ცისკრის ვარსკვლავსა ჰგავს“-ო.

ჟურნალის მნიშვნელობის შესახებ გაზეთი „ივერია“ მოგვიანებით წერდა: ივანე კერესელიძის „ცისკრის“ დაარსებით „ჩვენი ცხოვრების ახალი ხანა დაიწყო, როდესაც საზოგადოება და მწერლობა მოქმედებას იწყებს მხოლოდ თავის გულით და თავის იმედით და არა სხვის მოლოდინით“.

„ცისკარმა“ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა სალიტერატურო ენისა და მწერლობის განვითარებაში. ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ: „ცისკარმა“ აკვნობა გაუწია ყმაწვილ მწერლებს“.

ივანემ ჟურნალის გარშემო შემოიკრიბა ქართველი მწერლები: გრიგოლ, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანები, ლავრენტი არდაზიანი, დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ რჩეულიშვილი, რაფიელ ერისთავი, დანიელ ჭონქაძე, მიხეილ თუმანიშვილი, ბარბარე ჯორჯაძე, გრიგოლ დადიანი (კოლხიდელი), მამია გურული, ანტონ ფურცელაძე, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი და სხვები. პირველად ამ ჟურნალის ფურცლებზე იხილა საზოგადოებამ ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და სხვათა ნაწარმოებები.

ეკონომიური სიდუხჭირეს პოლიტიკური ბრძოლის სირთულეც ემატებოდა. 1857 წლიდან „ცისკართან“ დაარსებულ ქართული ლიტერატურის მოყვარულთა არალეგალურ წრეს ივანე კერე-

სელიძე მეთაურობდა. მას ბრძოლა უხდებოდა, როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ ცენზურასთან. „ცისკარში“ დაბეჭდილი „სალაყბო ფურცლები“, რომელსაც ავტორი მიხეილ თუმანიშვილთან, გიორგი სულხანიშვილთან და ლავრენტი არდაზიანთან ერთად „მოლაყბის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა, ყოველთვის პოლიტიკური სიმახვილით გამოირჩეოდა.

1859 წელს ივანემ სტამბა საკუთარი სახლის ფლიგელში განათავსა, ალექსანდრეს ქუჩაზე (ამჟამად ნინოშვილის № 13-ში). დიდი წვადებით ნაშოვნი მოძველებული საბეჭდი დაზგა ხშირად ფუჭდებოდა, მესამე წელს კი ისე დაიმსხვრა, რომ მისი შეკეთება თითქმის შეუძლებელი გახდა, მაგრამ ივანემ კვლავ მოახერხა და საკუთარი ხარჯებით ხის დანჯღრეული დაზგა ისე ააკოწიწა, რომ მან ორი-სამი თვე კიდევ იმუშავა.

თანამემამულეებს ივანე გულწრფელად უმხელდა სტამბის გასაჭირს, უცხოელებთან კი ამყად ეჭირა თავი: ასე მცირე ხელისმომწერთა იმედით ჟურნალს როგორ გამოსცემო, გაოცებულა ალექსანდრე დიუმა, ივანეს უთქვამს: „600 ხელისმომწერი მყავსო“. სინამდვილეში მას მხოლოდ 60 ხელისმომწერი ჰყავდა, რის შესახებაც ივანე სვედიანი ირონიით იხსენებდა: „ბევრი არ მომიტყვილებია... მხოლოდ ერთი ნოლი მივუმატეთ“.

ასეთი ვაი-ვაგლახით დაარსებულ „ცისკარს“ შემდეგ წელსაც დიდი გაჭირვება დაატყდა თავს. თითქმის ყოველ ნომერში ემუდარებოდა რედაქტორი მკითხველს – გამოეწერა „ცისკარი“ და კვლავ დახურვისაგან გადაერჩინა იგი.

ივანემ სტამბის გასამართად, გიორგი მუხრანსკის დახმარებით მთავრობას 1000 მანეთი „გამოსთხოვა“, მაგრამ, მალე კვლავ გაუჭირდა, რადგან „მაშინდელი შემოსავალი გასავალს ვერასდროს ვერ დაფარავდა“.

1861 წელს უსახსრობის გამო ჟურნალი კვლავ დახურვის საფრთხის წინაშე დადგა. მთავრობისაგან შემწეობის მოსაპოვებლად ივანემ განიზრახა, „ცისკართან“ ერთად გამოეცა ახალი სასოფლო-სამეურნეო ორგანო – ჟურნალ „ცისკრის“ დამატება – „გუთნის-დედა“ და ამ გზით მიღებული თანხა ორივე რედაქციისათვის გამოეყენებინა.

იოსებ მამაცაშვილის დახმარებით, მთავრობამ „გუთნის-დედის“ გამოსაცემად, ივანეს მართლაც დაუნიშნა 1200 მანეთი და საგამომცემლობა წელში გაიმართა. ასე დაარსდა „გუთნის-დედა“ – პირველი სასოფლო-აგრონომიული ხასიათის ორგანო, „მამულის პატრონობისა ფურცელი, „ცისკარზედ დამატება“, რომელიც 1861-1876 წლებში გამოდიოდა. 1863 წლიდან გაზეთის პროგრამა გაფართოვდა, მასში ვაჭრობის შესახებაც იბეჭდებოდა წერილები, შეიცვალა მისი ქვესათაურიც – „მამულის პატრონობის და ვაჭრობის გაზეთი“.

გუთნის-დედა,


ქელი მოსწერდება ტფილისში,
ა. კერესელიძის სტამბაში.
კუკიას, საკუთარ სახლში.

ადგილ-მამულის მართვის ფურცელი.

გამოცემა ორჯერაში ერთხელ. ფასი ერთის წლის გამოცემისა ვინც აცისკარს ეკლესიას აწერს ერთი მანეთი, რომელიც არ აწერს სამი მანეთი.

ბ. 1.

228.



ქლამანდის ვინისი ქროსა, რომელიც იწველის დღეში ცხრა თუნგამდინ. ამის დაწვრილებით აღწერა იქნება თავის დროზედ.

რედაქციისაგან. ✂

«სოფლების განმშვენებელი» უფრო მოპატებულად სასარგებლოა, ვიდრე ქალაქებ-

(*) «ცისკარის» რედაქცია ახარებს მკითხველთა; რომ ამ ადგილმამულის მართვას ანუ «გუთნის დედის» რედაქციის მართვას, ვაყენებინეთ ერთს გამოცემის მანეთს, რომელიც დიდად დაკლოვნებულია ამ საკანში.

ში ახალის დიწობილების შემოტანადასე ჰსწერს განვლილის წლის, აგვისტოს თუშში, ერთს თავისს მინაურს, ახლანდელი მულაბელი ქრანციისა; რომელი ცო-

მხოლოდ სამწუნსროდ ჩუქნდა, ჭეარავს თავის გვარს და აწერს ყოველს ამგვარს სტატიათა იმ წოდებით, რომელსაცა ნახვენ მკითხველნი ყოველ ამ გვარს სტატიათა ბოლოს.
რედ. კ.

უნდა აღინიშნოს, რომ „გუთნის-დედა“ დაარსების თარიღად 1862 წლის 1 იანვარი მიიჩნეოდა. საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში ამ ჟურნალის 1862 წლის კომპლექტში მივაკვლიეთ 1861 წლის 15 დეკემბერს გამოსულ მის პირველ ნომერს, რომელიც „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ შემდგენელს, გიორგი ბაქრაძეს შეუქმნეველი დარჩენია.

პირველი ქართული აგრონომიული გაზეთი „გუთნის-დედა“ – „ადგილმამულის მართვის ფურცელი“, როგორც მას რედაქციაში ეძახდნენ, თვეში ორჯერ გამოდიოდა. მის ფურცელზე იბეჭდებოდა 60-70-იანი წლების საქართველოსა და სხვა ქვეყნების სოფლის მეურნეობის მდგომარეობის ამსახველი ვრცელი მასალები, მთავრობის განკარგულებები, ეკონომიკის საკითხები, სასოფლო-სამეურნეო გამოცდილებები, რჩევები, სახელმძღვანელო სტატიები და თარგმანები სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებიდან. „გუთნის-დედა“ სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის გამოცემის პირველი მცდელობა იყო, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მოსახლეობისათვის. ამის შესახებ, ივ. კერესელიძე წერდა: „მრთელის ხალხში დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილ-მამულის მართვის წარმოებასა. ადგილ-მამულის მართვა არის უპირველესი და უმთავრესი საგანი კეთილ მდგომარეობისათვის მრთელის ხალხისა. ეს არის ის იმედი, რომლითაც ყოველი სახელმწიფო მოელის აღყვავებასა“ („გუთნის-დედა“. - 1861. - №1. - 15 დეკ. - გვ. 2).

გაზეთში ივანე კერესელიძეს თანამშრომლობას უწევდნენ: თ. ს. გურგენიძე, კ. მამაცაშვილი, კ. მამაცაშვილი, ა. ნათიშვილი, ნ. პაული, ივ. სერეზბრიაკოვი, ლ. სერეზბრიაკოვი, ივ. სულხანიშვილი, ალ. შანშიაშვილი, ი. რუსიშვილი და სხვანი.

ივანე კერესელიძის „ერთ ბეწვა სტამბას“ ნიკოლოზ ბერძენიშვილი აღწერდა და გაკვირვებას გამოთქვამდა: „...პატარა ოთახი, ორი ვიწრო ფანჯრით მკრთალად გაშუქებული, იტევს სტამბას მისი მოწყობილობით. ვაი-უბედურებით მოჭუჭყულად არც თუ ახალი მოწყობილობისა და მტკიცე სიმაგრის საბეჭდი დაზგაც, რომელიც მუშაობისას საბრალო ჭრიალს გამოსცემს, საღებავის ასახელი მაგიდაც, შრიფტის კასაც და მუშებიც, ორი თუ სამი... ახალგაზრდა, ცოცხალი ბიჭები, რომლებიც აქაც ისევე გულმოდგინედ ფართიფურთობენ, როგორც ერთი წლის წინ ვენახებში ვაზებთან... განა ამ ბიჭებს შეეძლოთ წარმოედგინათ, რომ ბედი... გუტენბერგის ხელოვნების ტაძარში მოიყვანდათ?... ადამიანები, რომლებიც მებაღეებად, მევენახეებად ემზადებოდნენ, მოხვდნენ წყნარ, მაგრამ მათთვის მეტად უცნაურ წიგნისმბეჭდაობის სახელოსნოში“ (ქართული ლიტერატურის კრიტიკის ისტორიისათვის: ქრესტომათია. - თბ.: სამეც. - მეთოდ. კაბ-ტი, 1954. ტ. I. - გვ. 10).

სტამბაში ივანე, უმთავრესად თვითონ მუშაობდა, დროდადრო სტამბის მუშებიც ჰყავდა, რომელთაგან ზოგი უფასოდ ემსახურებოდა, ზოგიც დაქირავებული იყო. უსახსრობის გამო ხშირად ხელფასის მიცემას ვერ ახერხებდა და სოფელ-სოფელ შეგროვილ სურსათს უნაწილებდა მათ. მუშები სტამბას სტოვებდნენ და ივანელა იყო ასოთამწყოები, მბეჭდავი, კორექტორი, ამკინძავიცა და ყველა სახის სამუშაოს შემსრულებელი. მაშინაც კი, როცა მას ასოთამწყოები ჰყავდა, წუთითაც არ შეეძლო სტამბის დატოვება, რადგან ისინი გაუწაფავნი იყვნენ. ამ დროს ივანეს დამხმარე და შემწე მისი მეუღლე – ნინო უზნაძე იყო. მისი ოჯახის ყველა წევრი სტამბის უფასო თანამშრომელი იყო. ივანესა და ნინოს სამი შვილი ჰყავდათ: ელენე, სოფიო და გიორგი.

სტამბის ტექნიკური აღჭურვა და მასალით უზრუნველყოფა ურთულესი საქმე იყო, განსაკუთრებული ყურადღება კი საშრიფტო მეურნეობას ექცეოდა. ივანე დღენიადაგ შრიფტის განუწყვეტელ ძიებაში იყო, ხშირად სცვლიდა ასოებს, ცდილობდა, ახალი, ადვილად წასაკითხი და ქართული ანბანის შესატყვისი შრიფტი შეერჩია. ივანე მეგობრების შეწევნით ახალ-ახალი შრიფტის დაკვეთას გზავნიდა, რათა რაც შეიძლება ლამაზი, ეფექტური ანაბეჭდი მიეღო (პეტიტისა და ციცეროს სახეცვლილებანი). 1857 წლის ბოლოს პეტერბურგის აკადემიიდან მიიღო „ჩინებული ასოები“ (აკადემიური შრიფტი), რის შესახებაც აღტაცებით სწერდა რაფიელ ერისთავს: „ოხ! რაფიელ! რა ასოები გამომატანინებია, ხუთგვარი. აქამდინ თავ ასოებს არა ვხმარობდით წერტილის შემდგომ, ახლა ეგ კანონიც სისრულეში მოვა“-ო (ლიტერატურული მემკვიდრეობა. - ტფ. : სახ.უნ. გამ., 1935. წ. I. - გვ. 538-545).

ქართული სამწიგნობრო ტრადიციის გულშემატკივართა საქველმოქმედო თაოსნობას კეთილი ნაყოფი გამოუღია და ხელისმომწერთა დახმარებით, ივანემ ლონდონიდან გამოიწერა „პრეზის საბეჭდავი მაშინა“, რომელიც საქართველოში პირველად შემოიტანეს.

რედაქტორ-გამომცემელი მთავრულ ასოებად იყენებდა ასომთავრულს, 1861 წლიდან ყდასა და სატიტულე ფურცელზეც სწორედ ეს ასოებია გამოყენებული. ამავე წლიდან მთელი მასალა აწყობილია „აკადემიური“ შრიფტით.

მას განზრახული ჰქონდა დაებეჭდა ფოტოსურათები და ილუსტრაციები, რისთვისაც სტამბაში მხატვარ-ლითოგრაფი მოუწვევია, მაგრამ უსახსრობისა და ტექნიკური ბაზის მოუწყობლობის გამო, სამწუხაროდ, ეს შესანიშნავი სურვილიც აუსრულებელი დარჩა. მაშინ ხომ ფოტოგრაფია ის-ის იყო ფეხს იდგამდა ჩვენში და შესაძლებელია, ამ გზით მაინც გადარჩენილიყო ნიკოლოზ ბარათაშვილის, ლავრენტი არდაზიანისა და სხვათა პორტრეტები.

ქართულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს ივანე საქართველოს ყველა კუთხეში ავრცელებდა. ხელისმომწვერთა მოსაპოვებლად და დარჩენილი ვალების დასაფარავად ის სოფელ-სოფელ დადიოდა, ხან ფეხით, ხან ცხენით, ხან ურმით, სად არ ნახავდა კაცი ამ დაუდგომელ „მოხეტიალე რედაქტორს“. „გუთნის-დედის“ ფასი თავდაპირველად, 1861 წელს სამი მანეთი, „ცისკარზედ“ ხელისმომწვერთათვის კი ერთი მანეთი იყო. მომდევნო წლებში ივანემ გაზეთის ღირებულება ორ მანეთამდე შეამცირა, მაგრამ ხელისმომწვერნი ხშირად მაინც ვერ ახერხებდნენ თანხის გადახდას, მისი ნახევარი აუკრეფავი რჩებოდა და რედაქტორს თვითონ უხდებოდა ხარჯების დაფარვა. ხელმომწვერთაგან აგროვებდა ხორბალს, ღვინოს, სიმინდს, ჩამოჰქონდა თბილისში, თვითონ ჰყიდდა ბაზარში და ასე მოიპოვებდა თანხას.

მთავარმართებლისაგან მიღებული დახმარება მალე დაიხარჯა და ივანე ვალში ჩავარდა. იგი შემდგომში ზაქარია ჭიჭინაძეს უამბობდა: „მე მუშრნეობის მცოდნე სერებრიაკოვს მივმართე და „გუთნის-დედაში“ თანამშრომლობა შევთავაზე. მან ამისათვის წელიწადში ხუთასი მანეთი მოითხოვა, რისი საშუალებაც მე არ მქონდა. ბოლოს მითხრა: შენი მამული, რომელიც ელისაბედის ქუჩაზე მდებარეობს, მომიყიდე და შრომას იმაში გამოვიქვითავო. ასე მოვირიგეთ. 400 საუენი მიწა 1000 მანეთად დავუმტკიცე, აქედან 500 მანეთი „გუთნის-დედის“ გამოიბარა და 500 მანეთი უნდა მოეცა, მაგრამ მეოთხე თვეს იგი გარდაიცვალა, ვერც 500 მანეთი მივიღე... მამულიც მის ნათესავეებს დარჩა საკუთრებად“ (ზ. ა. [ჭიჭინაძე ზ.] . ივ. ივ. კერესელიძე 1829-1893. - თბ.: სტ. „გუტენბერგი“, 1902. - გვ.14).

ასეთ პირობებში უხდებოდა მუშაობა ივანეს. ახალგაზრდა ენთუზიასტი თვითონ იყო ჟურნალისტიც, რედაქტორიც, ასოთამწეობიც, მბეჭდავიც, კორექტორიც, ამკინძავიცა და დამტარებელიც, მაგრამ გულს მაინც არ იტეხდა, რადგან მისი რწმენით, ქართული ხალხისთვის აუცილებელი იყო სასოფლო-სამეურნეო განათლების მიღება და მიწათმოქმედების აღორძინება. გაზეთის თვითოეული ნომრის გამოცემა აუტანელ წამებად გადაექცა, მეგობრების დახმარება ვეღარ წვდებოდა გაზრდილ ვალებს. 1870 წლის მარტში, ივანე იძულებული გახდა სტამბა სამი წლით, იჯარით მარტირუხიანცისათვის გადაეცა, რომელმაც იგი კუკიაზე გადაიტანა, მირზოევის სახლში. ამ ფაქტმა, უფრო გაართულა გამოცემის საქმე.

„გუთნის-დედას“ ივანე 1872 წლამდე რედაქტორობდა. ამ დროისათვის სტამბა, ძირითადად, „ცისკრისა“ და „გუთნის-დედის“ გამოცემით იყო დაკავებული. ხელისმომწვერთა რაოდენობა მკვეთრად მცირდებოდა და მთელი ხარჯები გამომცემელს აწევებოდა მხრებზე. ზარალის დასაფარავად მან სახლი და მამულები გაყიდა თბილისსა და ბოგეში, მაგრამ, მაინც ვერა გააწყო რა. 1873

წელს მარტში ივანემ ვალის გასტუმრება მოახერხა და „სტამბის ყოველი კუთვნილება, გარდა ასოებისა, კვლავ დაიბრუნა, ხელახლა გამართა, ახალი ასოები ჩამოსახმეინა“ და ბეჭდვა განაახლა დაქირავებულ სახლში – „საღდათის ბაზარში, იარმუკაზე“. გამომცემლის სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, სრულიად უსახსროდ დარჩენილმა ივანემ სტამბა ვერასგზით ვეღარ შეინარჩუნა და იმავე წლის ბოლოს, თავის ყოფილ მოსწავლეს – ექვთიმე ხელაძეს მიჰყიდა. ექვთიმემ სტამბა ბებუთოვის სახლში განათავსა ხანის (ამჟამად გ. ტაბიძის) ქუჩაზე.

1873 წელს „გუთნის-დედა“ გადავიდა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მმართველობაში. გაზეთის რედაქტორებად დაინიშნენ ანტონ ფურცელაძე და აგრონომი ა. ვართანოვი. ამ დროიდან „გუთნის-დედა“ გამოდიოდა ქვესათაურით – „სამეურნეო გაზეთი“. 1874 წლის 31 აპრილიდან ვართანოვი რედაქციიდან წავიდა და მთელი პასუხისმგებლობა ანტონ ფურცელაძეს დაეკისრა. გაზეთმა იარსება 1876 წლამდე.

ივანე კერესელიძის უსახსრობას ზედ დაერთო ავადმყოფობა; 18 წლის არსებობის შემდეგ – 1875 წლის მეორე ნახევრიდან, „ცისკარი“ დაიხურა და რედაქტორ-გამომცემელს აურაცხელი ვალები დაუტოვა. ამ ვალებში ჯერ სახლი (თბილისში, ყოფ. ალექსანდრეს, ამჟამად ნინოწვილის ქ. №15), შემდეგ კი ავეჯიც წვრილ-წვრილად გაიყიდა და კერესელიძის ოჯახი ქუჩაში დარჩა.

ყოველივე ამის მიუხედავად, ივანე მაინც ჟურნალის აღდგენაზე ოცნებობდა და, მოითქვა თუ არა ოდნავ სული, 1887 წელს სასოფლო-სამეურნეო გაზეთი „ცისკარი“ დააარსა, მაგრამ ცენზურისაგან ათვალისწინებისა და უსახსრობის გამო, ახალი ვალები დაატყდა თავს და მწერალი უღუქმაპუროდ დარჩა. სიცოცხლის უკანასკნელ წელს მან კიდევ ერთხელ სცადა „ცისკრის“ აღდგენა, მაგრამ ამაოდ.

უსახსრობის, მძიმე შრომის, ნერვიულობისა და ცენზურის დევნისაგან გატანჯულმა ივანემ სიცოცხლის უკანასკნელი წლები, უმთავრესად, სოფელ ბოგეში გაატარა. იქ მისი ხშირი სტუმარი იყო ზაქარია ჭიჭინაძე, რომელიც მწერლის მოგონებებს იწერდა.

ივანე კერესელიძის მთელი ცხოვრება „ქართული ბეჭდვითი სიტყვის მსახურება“ და სამშობლოსათვის სიყვარულის ახსნა იყო. ქართული მწიგნობრობისათვის მსხვერპლად შეწირული მამულიშვილი უზარმაზარი პასუხისმგებლობითა და გულწრფელობით აკეთებდა საქვეყნო საქმეს, იმ გაუქულმართებულ და წამხდარ დროში, როცა „სტამბის გამართვა და წიგნების ბეჭდვა უფრო ძნელი საქმე იყო, ვიდრე ახლა რკინიგზის გაყვანა“ („ივერია“. - 1893. - №4). ამიტომაც წერდა მასზე ზაქარია ჭიჭინაძე: „ჩვენი ჟურნალ-გაზეთების გამოცემის დაწყების მამად იგი ითვლება, და ამ ჯილდოს მას ვერავინ წაართმევს“-ო.

გაზეთი „სოციალისტური ტემპები“ - ეროვნული ბიბლიოთეკის პირველი პერიოდული გამოცემა

აია მიხაბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკის პირველი პერიოდული გამოცემა გაზეთი „სოციალისტური ტემპები“ გამოვიდა 1931 წელს. ეს ის დრო იყო, როცა ეროვნული ბიბლიოთეკა (მაშინ საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა), მიუხედავად თავისი მრავალწლიანი ისტორიისა, თითქმის ხელმოკრულ იდგა ფეხს (1914 წლიდან კავკასიის მუზეუმს დაქვემდებარებული ბიბლიოთეკა ახალი შენობის მშენებლობის გამო დაიკეტა, მისი ფონდები შეიკრა და დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა სარდაფებში).

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, 1923 წლის 30 მაისს, სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით დაარსდა საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკისა და 1918 წელს დაარსებული პარლამენტის ბიბლიოთეკის ბაზაზე. მიუხედავად ასეთი სტატუსისა, შენობის საკითხი კვლავ მოუგვარებელი რჩებოდა, რის გამოც ბიბლიოთეკა მკითხველებს ვერ იღებდა. უმოქმედო მდგომარეობაში, მომსახურების ფუნქციის გარეშე იგი, ფაქტობრივად, ვერ ასრულებდა ბიბლიოთეკის მოვალეობას. 1923 წლიდან 1931 წლამდე ბიბლიოთეკაში მხოლოდ ერთი მიმართულებით მიდიოდა მუშაობა – ეს იყო ფონდების დაკომპლექტება და კატალოგიზაცია. შესაბამისად მკითხველთა მომსახურების სერვისის შექმნასა და განვითარებაზე არავინ ზრუნავდა. არარაციონალური იყო ბიბლიოთეკის სტრუქტურაც. სტრუქტურული ერთეულები დაყოფილი იყო ენობრივი და თემატური ნიშნის მიხედვით. ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, რაც ხელს უშლიდა, შექმნილიყო ორგანიზაციის ერთიანი სინქრონული სამუშაო პროცესი. მუშაობის ასეთი არაეფექტურ ფორმას თან ერთვის არარაციონალური საკადრო პოლიტიკაც. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ 1931 წლამდე ბიბლიოთეკაში მომუშავე 55 ადამიანიდან 27-ს ხელმძღვანელი თანამდებობა ეკავა.

1929 წელს ბიბლიოთეკას გადაეცა ყოფილი სათავადაზნაურო ბანკის შენობის ნაწილი, მაგრამ მკითხველებისთვის იგი გაიხსნა მოგვიანებით, 1931 წელს. ამავე წელს ჩატარდა რეორგანიზაცია და შეიქმნა ისეთი სტრუქტურა, რომელიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში დღემდე ბიბლიოთეკის ხერხემალს წარმოადგენს. ეს არის: დაკომპლექტების სექტორი, წიგნების დამუშავება, წიგნების საცავი, მომსახურება და საცნობო-ბიბლიოგრაფიული. ამას დაემატა ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილი და ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტი.

ბიბლიოთეკის სამუშაო პროცესის გააქტიურება საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებს შეესაბამებოდა, რადგან იგი ბიბლიოთეკას მიიჩნევდა კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელებისა და დამკვიდრების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად. სწორედ ასეთ ფონზე გამოვიდა გაზეთი „სოციალისტური ტემპები“. როგორც გაზეთზე მითითებული, იგი იყო „საქართველოს კომპარტიის (ბ) ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბისა და საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის კომუჯრედის, ა. ლ. კ. კ. უჯრედების, ადგილკომების ორკვირეული ორგანო“. გაზეთის მუშაობას ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია, რომლის თავმჯდომარე იყო დ. წერეთელი, პირველი სტამბის პარტუჯრედის პასუხისმგებელი მდივანი.

გ. ბაქრაძის წიგნში „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია. 1819-1945“ შესულია ამ გაზეთის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა. სწორედ აქედან გახდა ცნობილი, რომ გაზეთის პირველი ხუთი ნომერი დაიბეჭდა 1931 წელს, ხოლო 1932 წელს გამოვიდა მხოლოდ ორი ნომერი (სულ 7). გაზეთი 4-გვერდიანია. ტირაჟი -300 ეგზ.

ეროვნული ბიბლიოთეკის საარქივო ფონდში დაცულია გაზეთ „სოციალისტური ტემპების“ 1932 წლის პირველი და მეორე ნომრები. სამწუხაროდ, 1931 წლის კომპლექტს ვერსად მივაკვლიეთ, ამიტომ მხოლოდ ამ ორი ნომრის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ გაზეთის მთლიან სახეზე.

როგორც აღინიშნა, გაზეთს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად გამოსცემდა სახელგამის 1-ლი სტამბა. ეს სტამბა გაიხსნა 1886 წლის 15 ნოემბერს. მისი მეპატრონე იყო იაკობ ილიას ძე ლიბერმანი. სტამბა თავდაპირველად ემსახურებოდა ამიერკავკასიის რეინიგზას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი გახდა სახელმწიფო საკუთრება და დაექვემდებარა სახელმწიფო გამომცემლობას („სახელგამი“) ანუ იყო „სახელგამის“ 1-ლი სტამბა. იგი ითვლებოდა ერთადერთ მძლავრ წარმოებად, სადაც სახელმძღვანელოები, პოლიტიკური, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა მზადდებოდა. ძირითადად მუშაობდნენ მარქსიზმის კლასიკოსების შრომების გამოსცემაზე. ამისათვის სპეციალური ბრიგადები იყო შექმნილი, სადაც საუკეთესო სპეციალისტები მუშაობდნენ.

1932 წლის ნომრებში მასალების უმეტესობა პოლიგრაფიული სტამბის მუშაობას ეხება. შედარებით მცირე ადგილი აქვს დათმობილი საჯარო ბიბლიოთეკას.



გაზეთში აისახა მკითხველებისათვის ახლადგახსნილი ბიბლიოთეკის მუშაობის ეტაპები.

1932 წელი იყო საიუბილეო წელი. შესრულდა 15 წელი ოქტომბრის რევოლუციიდან. ამიტომ პირველივე გვერდზე დადებულია ამ იუბილეუსადმი მიძღვნილი სარედაქციო წერილი ქართულ და რუსულ ენებზე. ამავე იუბილესთან დაკავშირებით აბარებენ პატაკს მკითხველებს თავიანთი შრომითი წარმატებების შესახებ პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბის თანამშრომლები. წერილში „უდიდესი ზეიმი“ (1932, №2) აღწერილია სტამბისა და საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ერთობლივი სადღესასწაულო ღონისძიება, რომელიც მიემდგვნა ოქტომბრის რევოლუციის 15 წლისთავს. წერილში დასახელებული არიან პრეზიდიუმის წევრები, მაგრამ შეუძლებელია იმის ზუსტად გაგება, მათ შორის რომლები არიან საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლები. მხოლოდ ერთ შემთხვევაში ჩანს მინიშნება. წერილში აღნიშნულია, რომ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ნაკაშიძე (მოხსენიებულია მხოლოდ გვარით). მან ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სახელით ფიცი დადო, რომ კიდევ უფრო გაძლიერებული ტემპით მიაწვდიდნენ წიგნებს მასებს.

გაზეთში უხვად არის სტამბის დამკვერელი მუშების ფოტოები. აქვე ქვეყნდება იმ მუშების სია, რომლებიც სპეციალურმა კომისიამ დამკვერელებად გამოაცხადა.

მღწვეული წარმატებების პარალელურად არის რამდენიმე წერილი, რომლებშიც სტამბის პრობლემებზეა საუბარი. მაგალითად, პ. კობაძის წერილში „სამკინძო ცეხის მდგომარეობა“.

რამდენიმე წერილში გაიკიცხულია სტამბის ზოგიერთი თანამშრომელი ცუდი მუშაობის გამო. ასეთი წერილებს, როგორც წესი, ავტორები ფსევდონიმებს აწერენ და არა საკუთარ გვარებს,

მაგალითად კრიტიკული წერილების ავტორები არიან, „მნახველი“, „მახივარი“, „ჩუმი-წყარო“.

როგორც აღვნიშნეთ, გაზეთში მცირე ადგილი აქვს დათმობილი საჯარო ბიბლიოთეკას. მაგრამ რაც არის, ჩვენთვის მეტად საინტერესოა, რადგან ეს არის ეროვნული ბიბლიოთეკის ისტორიის ამ ეტაპის ამსახველი ყველაზე ძველი მასალა. რაკი ეროვნული ბიბლიოთეკა დიდი ხნის მანძილზე დაკეტილი იყო მკითხველებისათვის, თანამშრომლებს მომსახურების უნარ-ჩვევები ჯერ კიდევ არ ჰქონდათ სრულყოფილად გამომუშავებული. ამიტომ მუშაობის პროცესში, გადადგა ხდებოდა ხარვეზების გამოსწორება, იქნებოდა და იხვეწებოდა მომსახურების გაუმჯობესებისათვის საჭირო აუცილებელი ელემენტები.

მაგალითად, წერილში „გულგრილობა და უპასუხისმგებლობა“ (1932, №1), რომელსაც ხელს აწერენ „აკახელი“ და „რაჭველი“, გაკრიტიკებულია ბიბლიოთეკა იმის გამო, რომ გამოწერილი გაზეთები სრულად არ მიდის მკითხველამდე. გაზეთების კომპლექტებში ბევრი ნომერი აკლია მაშინ, როცა ბიბლიოთეკას ამ გაზეთების სრული წლიური კომპლექტები აქვს გამოწერილი.

ბიბლიოთეკის სტრუქტურის ცვლილებას ეხება ნ. აკერმანის წერილი „სახალხო მეურნეობის აღრიცხვის კაბინეტის გახსნისათვის“ (1932, №1). მასში საუბარია სახალხო მეურნეობის ისეთ მნიშვნელოვან სეგმენტზე, როგორცაა სამეურნეო აღრიცხვა. ნათქვამია, რომ სოციალისტური ინდუსტრიის ზრდა მოითხოვს აღრიცხვის უმაღლეს ფორმებს, რისთვისაც საჭირო ხდება ბურჟუაზიული ქვეყნების გამოცდილების გადმოტანა და გამოყენება სოციალისტურ მეურნეობაში. ამისათვის კი აუცილებელია სათანადო თეორიული მუშაობა. სწორედ ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს გამოუტანია დადგენილება, რომ საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკასთან დაარსებულიყო

სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამეცნიერო კაბინეტი. ამ დადგენილების საფუძველზე ბიბლიოთეკის დირექციას დაუწყო ამ კაბინეტის ორგანიზაცია.

ავტორი წერს, რომ მოცემული მომენტისათვის გავლილია შემდეგი საორგანიზაციო ეტაპები: 1) დაჭერილია მჭიდრო კავშირი საქართველოს სახალხო მეურნეობის სამმართველოსთან, სახელმწიფო მეურნეობის აღრიცხვის ფაკულტეტთან, საქართველოსა და ამიერკავკასიის „სოიუზორგუჩეტთან“ და „ორუსთან“; 2) გამომუშავებულია კაბინეტის დებულება დამტკიცებული ბიბლიოთეკის დირექციის და მიღებული საქ. სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს მიერ; 3) დამტკიცებულია კაბინეტის გამგე და კონსულტანტი; 4) კაბინეტთან გამოყოფილია სპეციალური კომისია შემდგარი დაინტერესებული ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან; 5) გამოკვეთილია კაბინეტის სახელდახელო ბიბლიოთეკის დაკომპლექტების წყაროები; 6) მიდის მუშაობა კაბინეტის სათანადო ავეჯეულობით მოწყობისათვის. ავტორს მიაჩნია, რომ აღრიცხვის კაბინეტის ეფექტური მუშაობა დამოკიდებულია მისი სახელდახელო ბიბლიოთეკის სისრულესა და აპარატის მოქნილი საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობაზე.

ამავე წერილში ნახსენებია ბიბლიოთეკის სტრუქტურის სხვა ერთეული – მარქსიზმისა და ლენინიზმის კაბინეტი, რომლის დანიშნულება, ავტორის თქმით, არის „მარქს-ენგელსის და ლენინის ნაწარმოებების მკითხველისათვის მიწოდება და მასთან გადრმავებულ საცნობარო-საბიბლიოგრაფიო მუშაობის ჩატარება“.

გაზეთში ქვეყნდება სარეკომენდაციო სია „ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავი“ (1932, 1). წარმოდგენილია მხოლოდ წიგნები ქართულ და რუსულ ენებზე. ქართულ ენაზე 18 წიგნი, ხოლო რუსულ ენაზე უფრო მრავალფეროვანი მასალაა, რომელიც თემატურად არის დაყოფილი და შეადგენს 51 ერთეულს. სიის ბოლოს რუსულ ენაზე მითითებულია, რომ იგი მოამზადა საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთე-

კის ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტის საცნობარო-ბიბლიოგრაფიულმა ჯგუფმა. სამწუხაროდ, ბიბლიოთეკის თანამშრომელთა გვარები არა რის დასახელებული.

უნდა აღინიშნოს, სარეკომენდაციო სია, როგორც ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის ერთ-ერთი ფორმა, ახალი დანერგული იყო საჯარო ბიბლიოთეკაში. შესავალში მითითებულია, რომ სარეკომენდაციო სია არის მკითხველებთან მასიური მუშაობის ერთ-ერთი და მთავარი სახე, რადგან მასში ნაჩვენებია შერჩეული წიგნები სასურველ თემაზე, რომელიც წესიერ და სწორ ხელმძღვანელობას გაუწევს მკითხველს. უნდა ვივარაუდოთ, რომ წარმოდგენილი სარეკომენდაციო სია ერთ-ერთი პირველია ეროვნული ბიბლიოთეკის ისტორიაში.

გაზეთის ფურცლებზე ადგილი აქვს დათმობილი მხატვრულ ლიტერატურასაც. ძირითადად გამოქვეყნებულია გაბატონებული კომუნისტური იდეოლოგიის გამომხატველი ლექსები, რომელთა ავტორები არიან ალექსანდრე შანიძე, სიო ხიდისთაველი, მბეჭდავი ს. კახაძე, გიორგი თურმანაული და სხვები.

გაზეთი „სოციალისტური ტემპები“ თავისი სათაურითა და შინაარსობრივი პათოსით შეესაბამება მე-20 საუკუნის 30-იანი წლების საერთო სურათს, მაგრამ იგი ძვირფასია ჩვენთვის, რადგან ახალი ინფორმაციით ავსებს ეროვნული ბიბლიოთეკის ისტორიის ამ ეტაპს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთი „სოციალისტური ტემპები“ – 1932, № 1-2;
2. არობელიძე, ა. სადაც წიგნი იბეჭდება. - თბ., 1986;
3. ბაქრაძე, გ. ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია. 1819-1945. - თბ., 1947
4. Пять лет работы Гос. Публичной Библиотеки ССР Грузии им. К. Макса // Карл Марксовი სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები. - 1937, წიგნი III.

ზემო გურიის ერთი სოფლის ბიბლიოთეკები

ნიჩი სინხაილიძე

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ზემო გურიაში ბევრი სოფელი ამოყობდა თავისი განათლებულობითა და წიგნიერებით. მათ შორის გახლდათ სოფელი გოგოლესუბანი, რომელიც მდინარე სუფსიდან ნიგოთის ქედის სამხრეთ კალთებამდე იყო შეფენილი.

ვიდრე სასოფლო თუ სასკოლო ბიბლიოთეკები შეიქმნებოდა, მანამდე სოფელი რამდენიმე საოჯახო ბიბლიოთეკით სარგებლობდა. მათგან ყველაზე ადრინდელი იყო იესე ხუცესის (ბერძენიშვილის) საოჯახო ბიბლიოთეკა გოგოლესუბანის ერთ-ერთ პატარა უბანში, რომელსაც „საკვენიეს გორს“ უწოდებდნენ. ამ გორის შესავლის მარცხენა მხარეს, წალკოტისებურ ეზოში, იღვა ერთი ღამაზი ოდა სახლი, რომლის სასტუმრო დარბაზში მოთავსებული იყო მღვდლის საოჯახო ბიბლიოთეკა, რომელიც უმთავრესად სასულიერო წიგნებისაგან შედგებოდა. ამ ბიბლიოთეკის წყალობით გახდნენ მოძღვრები დეკანოზ დავითის (ბერძენიშვილი) შთამომავლები იესე ხუცესი, სიმონ ხუცესი და ფილიპე მთავარდიაკონი. აქედან პირველი ორი გურიაში იღვწოდა, ხოლო მესამე – სამცხეს.

უფრო მცირე ბიბლიოთეკები ჰქონდათ გიორგი დიაკონს (სიხარულიძეს) და ანტონ მედავითნეს. ორივე გოგოლესუბანში იღვწოდა. მოგვიანებით მღვდლად ილიკო სიხარულიძეც აკურთხეს (XX ს. ათიან წლებში), რომელიც ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის აღზრდილი ბრძანდებოდა და სოფლის მასწავლებელი გახლდათ. (სხვათაშორის, ის იყო გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსისა და ქართული საისტორიო მწერლობის მეთაურის, მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ნიკოლოზ ბერძენიშვილის პირველი მასწავლებელი გოგოლესუბანში).

კარგი სასულიერო ბიბლიოთეკა ჰქონდა გურიის მდივანბეგის გიორგი ერისთავის კარის ეკლესიის მწირველს, ასევე გოგოლესუბანელ სიმონ დეკანოზს (სიხარულიძე) და მის ვაჟს დეკანოზ დიმიტრისაც. საერო საოჯახო ბიბლიოთეკებს შორის უფრო ადრინდელია ფარცხების მამასახლისის („მთრახეს“ მეტსახელით იცნობდნენ) საერო ბიბლიოთეკა (ნაშენის უბნის გასათავში). ამ ბიბლიოთეკის შემქმნელს ალექსი ერქვა და ოზურგეთისა და ჩოხატაურის მოქალაქე ბრძანდებოდა. იმავე დროს კარგი ქველმოქმედების გამო არჩეული გახლდათ ჩოხატაურის გიმნაზიის მზრუნველთა საბჭოს წევრად.

ალექსის ექვსი შვილი ჰყავდა, მათგან სამი საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გახლდათ, პროფესორები: ივანე სიხარულიძე (1896–1964), მარიამ სიხარულიძე (1906–1990) და ქსენია სიხარულიძე (1909–1977). გარდა ამისა, გოგოლესუბანში იყო კიდევ ერთი კარგი საოჯახო ბიბლიოთეკა – ავქსენტი ისაკის ძე სიხარულიძის (1882–1932) ოჯახში, რომელიც შექმნა მისმა უფროსმა დამ, მარინე სიხარული-

ძემ (1857–1950). ქალბატონი მარინე სხვადასხვა დროს მუშაობდა ოდიშის, სოფ. ონტოფოს, შუა აზიაში, ქ. ტაშკენტში, ბაქოსა და ბათუმში. მას კარგი შემოსავალი ჰქონდა, რის დიდ ნაწილს წიგნების შექმნას ანდობდა. წიგნებს ძმას უგზავნიდა სოფელში და ამ გზით დროთა განმავლობაში საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკაც შეიქმნა. ეს ბიბლიოთეკა ამ შესანიშნავი ბიბლიოთეკის აღზრდილს – ამ სტრიქონების ავტორსაც უკლებლივ მოსწრებია.

1893 წლის აგვისტოს ბოლოს საფუძველი ჩაეყარა გოგოლესუბანის დაწესებით (სამრევლოს) სკოლის ბიბლიოთეკას, რომელსაც ხელმძღვანელობდა მასწავლებელი – ამავე სკოლის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი ეპიფანე ჯიბლაძე (1885–1947).

ამ მხარეში საბიბლიოთეკო საქმეს დიდი წვლილი დასდო ახალგაზრდა მწერალმა ლავრენტი ბერძენიშვილმა (1873–1890), რომელიც „ჩოხატაურის“ ფსევდონიმით იღვწოდა.

ამ სასკოლო ბიბლიოთეკის პირველი გამგე აკად. ნ. ბერძენიშვილის დედა, პელაგია შარაშიძე (1851–1934) ბრძანდებოდა. მის კვალზე მიმდევარმა ბევრმა სხვა მაც წარმატებით იღვაწა ამ ბიბლიოთეკაში, ხოლო დღეს აქ თავმოყრილ მემკვიდრეობას წარმატებით უძღვება გოგოლესუბანელი ქალბატონი ლეილა ბოცვაძე.

გოგოლესუბანში 900-იანი წლებიდან საკმაოდ მდიდარი ტრადიციების სასოფლო ბიბლიოთეკაც არსებობდა, რომლის შექმნასაც დიდი ღვაწლი დასდეს პარასკევა ალექსანდრეს ასულმა ბერძენიშვილმა (1884–1933), ილია სამსონის ძე ბერძენიშვილმა (1892–1937), ლუკა დიმიტრის ძე სიხარულიძემ (1874–1954), მარინე სიხარულიძემ და სხვებმა.

1918 წელს ამ ბიბლიოთეკას ამ სოფლის საამაყო შვილის, ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის – კაპიტონ ალექსანდრეს ძე გოგოლაძის (1879–1943) სახელი მიენიჭა. ამ ბიბლიოთეკამ გასული საუკუნის 20-იანი წლების შუახანამდე იარსება. ეს გაითვალისწინა აკად. ნ. ბერძენიშვილმა და დატოვა ანდერძი მისი დანაზოვით აეშენებინათ სოფლად ახალი დროის შესაფერისი ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

დიდი მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ მისმა მეუღლემ, თვალსაჩინო მეცნიერმა, არქეოლოგმა ნინო ბერძენიშვილმა (1907–1985) აღასრულა მეუღლის ანდერძი და სოფელი დაამშვენა აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველომ. კარგა ხანს ხარობდა სოფელი ამ დაწესებულებით, მაგრამ შემდეგ შენედა ყურადღება მისდამი და, სამწუხაროდ, ბიბლიოთეკა-სამკითხველომაც სასვებით შეწყვიტა არსებობა. მოგვიანებით ისევ შეკეთდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს შენობა და სოფელი ელის მის განახლებას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში სოფლის ეს ოცნება ახდება.

გამომცემლობა და მკითხველი

გამომცემლობა „წიგნიერი“ ცნობილია ჩვენი მკითხველებისათვის. „ემ-პი-ჯი“-ს აბრევიატურით არაერთი წიგნი გამოუქვეყნებია ბიბლიოთეკატმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში. მისასაღმებელია, რომ გამომცემლობა ცდილობს, თავისი მომხმარებელი შეისწავლოს. გაარკვიოს მათი მოთხოვნები, გაეცნოს მათ შეხედულებებს გამომცემლობის პროდუქციაზე. ამ პროცესს სათავეში ჩაუდგა გამომცემლობის თანამშრომელი, ახალგაზრდა ჟურნალისტი თამარ ბარისაშვილი. ის ეწვია რამდენიმე მომხმარებელს და ინტერვიუთი სცადა გაერკვია მათი მოსაზრებები გამომცემლობის მიერ გამოქვეყნებულ წიგნებზე. მან ამის შესახებ მოგვაწოდა ინფორმაციული ხასიათის მასალა, რომელსაც ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს მცირე შემოკლებით.

მომხმარებელი გამომცემლის ინტერესებში

(ინტერვიუ)

თამარ ბარისაშვილი

გამომცემლობა „წიგნიერი“-ს დავალებით შევეუდექი აღნიშნული გამომცემლობის მიერ გამოქვეყნებული წიგნების გავრცელების არეალის და მომხმარებელთა მოთხოვნების შესწავლას. ჩემს მიზანს წარმოადგენს, გავარკვიო, როგორი შეხედულების არიან მკითხველები იმ წიგნების შესახებ, რომელიც ჩვენმა გამომცემლობამ დაბეჭდა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმის დასადგენად, რამდენად ღირებული პროდუქცია შევქმენით, არამედ რამდენად აკმაყოფილებს ის თანამედროვე მომხმარებელთა გემოვნებას. გარდა ამისა, ეს შეიძლება გახდეს კარგი ორიენტირი ჩვენი შრომის შესაფასებლად და სამომავლო გეგმების შესადგენად.



არსებობს პროგრამა მომხმარებელთა გამოკვლევისა. ამ მიზნით, საჭიროა რამდენიმე ათეული მკითხველის მოსაზრებების, მათი დამოკიდებულების, სურვილებისა და წინადადების შესწავლა, მათი ანალიზი, რომლის შედეგები გამოყენებულ იქნება შემდგომ მუშაობაში. განზრახულია თანდათან, ეტაპობრივად მოხდეს მკითხველებთან შეხვედრა, ინტერვიუს ფორმატში მათი მოსმენა და დასკვნების გამოტანა. ამჯერად შერჩეულ იყო 3 რესპოდენტი სხვადასხვა სპეციალობის, პროფესიისა და სოციალური მდგომარეობის

კატეგორიის წევრებით. რესპოდენტებს სათანადო შეკითხვებს ვთავაზობდით, რაზედაც ვღებულობდით პასუხებს და აუდიოვიზუალური საშუალებებით ვაფიქსირებდით. მათ გამომცემლობისაგან საჩუქრად გადაეცათ კალენდრები რუსუდან ფეტვიაშვილის ილუსტრაციებით.

ინტერვიუს საკითხები და პასუხები გამოკითხული მომხმარებლებისა:

ნატალია სოსხაძე (იურისტი)

1) *გამომცემლობა „წიგნიერის“ რომელი ტომი იყო თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?*

– მიუხედავად ჩემი სპეციალობისა, მე ამჟამად ე.წ. სატყუო პროექტზე ვმუშაობ და ჩემი ყურადღება, ცახდია, მიიქცია იმ კრებულმა, რომელშიც მოცემულია მცენარეულ საფართან დაკავშირებული მასალა. ამ დარგში ჩვენთვის საჭირო წიგნები თითქმის არ არის ან ძალიან ცოტაა. როცა „ჩვენი ღირსებანი“ შევიძინე, მივხვდი, რამდენად ღირებული იყო ეს გამოცემა. ვთვლი, რომ თითოეული სტატია საკმაოდ მოცულობითი და ზედმიწევნით ინფორმაციულია. ილუსტრაციებიც ძალიან კარგად არის შერჩეული და შესრულებული. ყველა მათგანს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

2) *„ჩვენს ღირსებანში“ რა იყო ისეთი, რომელიც სიახლეს წარმოადგენდა თქვენთვის?*

– უპირველეს ყოვლისა, ეს არის ისტორიული დეტალები, ის, რაც დაკავშირებულია ადათებთან, წესებთან. აგრეთვე ბევრი საკითხი ცხოველების შესახებ – მათი წარმოშობის, განვითარების და სხვა მოვლენების ირგვლივ.

ჩვენი ქვეყანა მრავალფეროვანია. საერთოდ, შეუძლებელია ყველაფერში გარკვეული იყო. მოგეხსენებათ, რომ თანამედროვე ადამიანს არა აქვს დრო, ყველა საჭირო წიგნი გულდაჯერებით წაიკითხოს. ამიტომაც თქვენი კომპაქტური კრებულები საზოგადოებისათვის მეტად მნიშვნელოვანია. მცენარეულ საფართან დაკავშირებით, რაც მე განსაკუთრებით მაინტერესებდა, გულდასმით გავეცანი ყველაფერს და გამოვიყენე ჩემს საქმეში.

3) *მალე გამოვა „ჩვენი ღირსებანის“ მომდევნო ორი ტომი. რას ისურებდით, წიგნებში რომ შესულიყო?*

– ბიომრავალფეროვნება, რომელიც ჩვენ გვაქვს, მოგეხსენებათ, ყველაფერი განახლებას საჭიროებს; უნიკალურია მცენარეული საფარი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხალხურ მედიცინაში. თავდაპირველად უნდა გადაიხედოს და აღინუსხოს ყველაფერი. ეს იქნება უდიდესი მონაპოვარი და რესურსი მომავალი თაობისათვის. საჭიროა მოხდეს დეტალური აღწერა საქართველოს ბიომრავალფეროვნებისა და დაიდოს მცენარეული საფარის იმ ერთეულების ჩამონათვალი, რომლებიც უნიკალური სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა. კიდევ ერთს გამოვყოფდრ: ჩვენი ქვეყანა მდიდარია წყლებით. მათი შესწავლაც თუ მოხდება – როგორც გრუნტის, ისე მინერალურისა და მტკნარისა თავიანთი ქიმიური დანიშნულებით, ძალიან სასარგებლო საქმე იქნება. მისასალმებელია, რომ მრავალტომეული მიმართულია სწორედ ამგვარ ღირსშესანიშნაობებზე, რაც საქართველოში უხვადაა და დიდი მასისათვის კი მცირედ ნაცნობია.

4) *რას ეტყობით საზოგადოებას გამომცემლობა „წიგნიერზე“?*

– იგი მუდამ უნდა ამართლებდეს თავის სახელწოდებას, საერთოდ, წიგნებს ხომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მის გარეშე არცერთი სოციალური არ განვითარებულა არასდროს. ჩვენ არ გვაქვს უფლება, გვერდზე გადავდეთ წიგნი და მხოლოდ კომპიუტერს და ტელევიზორს დავუთმობთ მისი ადგილი მთლიანად. მე ვისურვებდი, ყველას უყვარდეს წიგნები და შეაყვარონ ისინი ბავშვებს.

ნინო ქართველიშვილი (ბიოლოგი)

1) *გამომცემლობა „წიგნიერის“ გამოცემებიდან, რომელი წიგნი გაქვთ წაკითხული?*

– შვილიშვილს ვუკითხავ ვაჟა-ფშაველას. ძალიან კარგი გამოცემაა. აღფრთოვანებული ვარ, თვითონ გამოცემაც და მოთხრობებიც, კიდევ ზღაპარი „იყო და არა იყო რა“ თავისი ილუსტრაციებით. რაც შეეხება „ჩვენს ღირსებანს“, ზოგადად ექვსივე ტომი საინტერესოა, ვერცერთს ვერ გამოვყოფ. საქართველოს ყველა კუთხე-კუჩქულზეა დაწერილი, სად რა ხდება. ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენა რომ არ გვაქვს, ჩაიხედავ და ეს წიგნი გეტყვის ყველაფერს. მომეწონა თქვენი ერთი გამოცემა „საქართველოს თევზები“. მე თვითონ არ ვიცოდი, საქართველოში რომელი თევზებია გავრცელებული. მეტად საინტერესოა და აუცილებელი, ყველა ოჯახს ჰქონდეს ეს წიგნი.

2) *რას ისურებდით „ჩვენი ღირსებანის“ შემდეგ ტომებში რომ შესულიყო?*

– დღევანდელია ქართული! თანამედროვე არქიტექტურა, ძველიც და დღევანდელიც, მედიცინის კუთხითაც ძალიან ბევრი რამ არის საინტერესო, რამდენი რამ შეიცვალა, თუნდაც სამედიცინო ხაზით. ყვავილებთან დაკავშირებით შეიძლება ვთქვა, რომ შექმნილია ისეთი ჯგუფები მოყვარულთა, რომლებიც ბარებსაც კი აწყობენ და აღამაზებენ მრავალფეროვანი ყვავილებით. სასურველია, იყოს ყველაფერი კარგად აღწერილი. საჭიროა გეიგრაფიული აღწერაც იყოს. ბავშვებისთვის ისეთი, რომელიც მისაწვდომი იქნება მათთვის.

3) *„ჩვენი ღირსებანის“ გარდა, რას ისურებდით, რომ „წიგნიერს“ გამოეცა?*

– რუსუდან ფეტვიაშვილის მიერ დასურათებული ვაჟა-ფშაველას წიგნი რომ შევიძინე, ბევრი რამ შევიცანი. ფაქტიურად, მანამდე ხელშეხება არ მქონდა ამ დიდებულ მხატვართან, შეიძლება არის რამ და მე არ ვიცი, მაგრამ ვთვლი, კარგი იქნებოდა მისი კრებული გამოიცეს ცალკე წიგნად, ჩემი აზრით, რუსუდან ფეტვიაშვილის მხატვრობა თავის სიტყვას იტყვის დღევანდელ ჩვენს ცხოვრებაში.

4) *რას უსურვებდით „წიგნიერს“?*

– რაც მაქვს შექენილი, კმაყოფილი ვარ. ვუსურვებდი უფრო გაფართოვდეს, უფრო მეტი გაკეთდეს და ჩვენთვისაც მისაწვდომი იყოს. წარმატებები მინდა გისურვოთ შემდგომში.

კარინა ვარდერესიანი (მუსიკის პედაგოგი)

1) ჩვენი გამოცემებიდან რომელი წიგნი გაქვთ და დაგეხმარათ თუ არა პრაქტიკაში?

– მე შექმნილი მაქვს ფრიც რიმანის „დაბერების ხელოვნება“, „სიყვარულის უნარი“ და „შიშის ძირითადი ფორმები“. ეს წიგნები მენსმარება. საზოგადოებაში ისეთი პრობლემებია ახლა, რომ ბევრს ჭირდება ფსიქოლოგიური მომზადება და დახმარება, მით უმეტეს ახალგაზრდებს, რომლებსაც აქვთ ძალიან ხშირად შიშები, ბევრი ფსიქოლოგიური პრობლემა და ეს რჩევები რომ გავითვალისწინოთ, რომელიც წიგნშია მოცემული, პედაგოგებსაც და საზოგადოებასაც, მგონი, ძალიან დაეხმარება.

2) „შიშის ძირითადი ფორმები“ რა იყო მნიშვნელოვანი, რაც თქვენ პირადად დაგეხმარათ?

– შიშები ძირითადად არ მაქვს, მაგრამ ძალიან ხშირად მხედებიან ახალგაზრდები, რომლებსაც გავლილი აქვთ ომის პერიოდი; ომის შიშები აისახება მათ ქცევაზე და ეს წიგნი დამეხმარა, რომ ცოტა უკეთ გაეუგე ახალგაზრდებს, ცვდილობს ისე დაველაპარაკო მათ და ისე გავაკეთო ჩემი საქმე, რომ იმ ბავშვს არ ჰქონდეს შიშის ფსიქოლოგიური მომენტები.

3) რატომ უნდა იყიდოს ეს წიგნი საზოგადოებამ?

– იმიტომ, რომ უფრო ბევრი იცოდეს, როგორ შეუძლია ადამიანს აირიდოს ცხოვრებისეული პრობლემები და ეს შიში ძირითადად.

რაც შეეხება „სიყვარულის უნარს“, ვიცი საზოგადოებაში უსიყვარულოდ რომ არაფერი გამოვა. დედობრივი სიტბო რომ არ იყოს, ბავშვი გაიზრდება უსიყვარულოდ და ვერ აჩუქებს თავის სიყვარულს სხვას. არიან ადამიანები, რომლებიც სხვანაირად უყურებენ ყველაფერს, არის ოჯახები, სადაც ვერ გამოხატავენ ვერც მშობლები, ვერც ახალგაზრდები თავიანთ სიყვარულს ერთმანეთისადმი, ანუ შეზღუდულები არიან თავიანთ გრძნობებში.

4) თქვენი აზრით, რისი ბრალია?

– მიმაჩნია, რომ მენტალიტეტის ბრალიც არის, ვერ გეტყვით ზუსტად, ეს ყოველივე ჯერ კიდევ შესასწავლია.

5) მოუტანს თუ არა წიგნი ხალხს სარგებლობას?

– რა თქმა უნდა. ზოგჯერ ადამიანი, რომელიც ვერ ელაპარაკება სხვა ადამიანს თავის პრობლემებზე, თავის გრძნობებზე, შეუძლია წიგნიდან ამოიღოს ძირითადი მომენტები, რაც საჭიროა საზოგადოებაში ნორმალურად მოქცევისთვის და ამ სიყვარულის გამოხატვისთვისაც.

6) ასაკის მატების და სიბერის მოახლოების ბევრს ეშინია, თქვენ რამდენად გაქვთ ამის შიში?

– სიბერე არ არის ისეთი საშიში, როგორადაც ბევრი განიცდის ამას; ყველა ასაკს თავისი სილამაზე აქვს. ასე რომ, ახალგაზრდებს სულ სხვანაირი შეხედულებები აქვთ ცხოვრებაზე, მერე ცოტა უფრო რომ შედიან ასაკში, მათ სხვანაირი გაგება აქვთ. შიში, როგორც ასეთი, უნდა დაძლეულ იყოს, თუმცა ხალხს აქვს პრობლემები. ეს ყველაფერი ადამიანში რომ გროვდება, უფრო სხვანაირად აღიქვამს ყველაფერს - შიშსაც, სიყვარულსაც და სიბერესაც.

7) ფრიც რიმანის „დაბერების ხელოვნებაში“ რა იყო თქვენთვის მნიშვნელოვანი?

– ადამიანი არ უნდა დაითრგუნოს თავისი ასაკითა და პრობლემებით, ყველაფერს უნდა შეხედოს ოპტიმისტური თვალთ. გამომცემლობა „წიგნიერს“ კი ვუსურვებ წარმატებებს და ბევრ ასეთ გამოცემას და ბევრ მკითხველს.

ძნელია, ბევრ რამეში არ დაეთანხმო ჩვენს რესპონდენტებს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ისინი საესებით სერიოზულად, გულდასმით უდგებიან საკითხს, კითხულობენ და აანალიზებენ ჩვენს მიერ მოცემულ პროდუქციას, მოსწონთ ის და თამამად გამოთქვამენ თავის შეხედულებებს.

იმედს გამოვთქვამ, რომ ჩვენი კვლევა გაგრძელდება და უფრო მეტს შევიტყობთ არსებული ვითარების შესახებ.

აქვე მინდა განვაცხადო, რომ მოკლე ხანში შევეცდებით, გამოვიკვლიოთ, თუ რა ადგილი უჭირავს ჩვენი გამომცემლობის მიერ გამოქვეყნებულ წიგნებს ჩვენს საჯარო ბიბლიოთეკებში.

ფილოლოგიური ძიებანი

ვინ გააგებინა ტფილისს წინამურში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ამბავი

ბიოხიზი სახაჩიშვილი

„ილია მოკლეს 1907 წლის 30 აგვისტოს, ხუთშაბათს... საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე და დაუჭრიათ მისი მეუღლე“ (გაზეთი „ისარი“. 31 აგვისტო, 1907 წელი).

საზარელი ამბავი ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ ტფილისში 30 აგვისტოს საღამოს 6 საათზე მოვიდა; „ისრის“ რედაქციამ – კი დეპეშა მიიღო მეცხრე საათზე, როცა გაზეთი უკვე დაბეჭდილი იყო და პროვინციაში წასადებად უკვე სადგურზე გაგზავნილი. ამიტომ თვით სტამბაში მოესწროთ ორი სტრიქონის ჩამატება და ისიც ტფილისის ხელმომწერლებისათვის. აღსანიშნავია, რომ „ისრის“ თანამშრომელს, შემთხვევით იმ დღეს მცხეთაში მყოფს, რედაქციისათვის დეპეშა ნაშუადღევს 4 საათზე გამოუგზავნია, რედაქციაში კი საღამოს მეცხრე საათზე მიიღეს! დაუჯერებელი ამბავი იმ საღამოსვე მსწრაფლ მოედო მთელი ტფილისის ქართველობას და თავზარი დასცა ყველას“ („ისარი“, 1 სექტემბერი).

დიდი ხნის დაკარგული მეგობარი გამოჩენილა. ამხანაგებს გადაუწყვეტიათ მეგობრის ნახვა. გახარებულები მცხეთაში წასულან სანახავად. „1907 წლის 30 აგვისტოს გვიან საღამოთი ვზივართ (გიორგი მიხეილის ძე ლასხიშვილი (1865–1931). პუბლიცისტი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის თბილისის საზოგადოების საბჭოს წევრი, მისი ფსევდონიმებია: „Ган“, „გაბისონია“, „ლალი“), რედაქციაში გაზეთის მომუშავენი და ვათვალისწინებთ მასალას შემდეგი ნომრისათვის. შემოდის მოსამსახურე და ახლად მიღებულ რაღაც დეპეშას მაწვდის. ეს იყო თავზარდამცემი დეპეშა ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ. იმ დღეს შემთხვევით მცხეთაში მყოფი ჩვენი ამხანაგი ვლ. ლორთქიფანიძე (თავადი ვლადიმერ ბუჯანის ძე ლორთქიფანიძე (1873-1909) – თბილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, ფსევდონიმით – „ვინლასი“, პოლიტიკური მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი) გვატყობინებდა: „დღეს ნაშუადღევს, წიწამურის გზაზე, თავის მამულში, საგურამოში ეტლით მიმავალ ილია ჭავჭავაძეს თავს დაესხა ავაზაკთა ბრბო. ილია მოკლეს, მის გვერდით მყოფი მეუღლე ოღლა მძიმედ დაჭრეს. მივდივარ საგურამოში დაწვრილებით ამ საზარელი ამბის გასაგებად“.



იმდენად მოულოდნელი და საშინელი იყო ეს ამბავი, რომ პირველი წაკითხვით ვერაფერი გავიგე, არ მჯეროდა და მეორედ წავაკითხე. თავბრუ დამესხა, ძალზე გაფითრებულს მომვარდნენ იქ მყოფი თანამშრომლები და დეპეშა ხელიდან გამომტაცეს. იმდენად დიდი იყო ჩვენი მწუხარება, რომ მისი აღწერა მე არ შემიძლია. ახლაც, ოცი წლის გასვლის შემდეგ, ტანში ურუანტელი მივლის იმ წუთების გახსენებაზე“.

„ილიას მოკვლის ამბავი იმავე დამეს მთელ ტფილისის მოედო, ჩვენს რედაქციას გვიან ღამით დიდძალი საზოგადოება მოაწვდა. მეორე დღესაც განუწყვეტლივ მოდიოდა ხალხი დაწვრილებით



ამბის გასაგებად. იმ დროის გაზეთები სავსეა ამ მხეცურ მკვლევლობის ამბებით და აქ აღარ გაემიორებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ მთელი საქართველო, მთელი შეგნებული ნაწილი ქართველი ერისა ააღელვა, შეაშფოთა და უზომოდ შეაწუხა ჩვენი დიდი პოეტის და დიდი მოამაგის ასეთმა ტრაგიკულმა დასასრულმა.

მესამე დღეს ილია საგურამოდან ჩამოსვენეს. ოლღას ქუჩის დასაწყისში საქართველოს სამხედრო გზის ბოლოში, ძვირფასს ცხედარს მთელი ტფილისი დახვდა. მხურვალე სიტყვები წარმოთქვეს ვლადიმერ მიქელაძემ, ილია ზურაბიშვილმა, ვასილ ჩერქეზიშვილმა, მიხაკო წერეთელმა, სილოვან ხუნდაძემ და სხვებმა. ორი დღის შემდეგ პოეტის გვამი სიონის ტაძრიდან გაასვენეს მთაწმინდაზე. არც მანამდის, არც შემდეგ, ალბათ ტფილისს არ უნახავს ასეთი დასაფლავება. ზღვა ხალხი მოაწყდა ქუჩებს. დეპუტაციები იყო საქართველოს ყველა კუთხიდან. აუარებელი გვირგვინები – ცოცხალი ყვავილებისა და ვერცხლისა. დიდი წესრიგით გაემართა პროცესია. იმ დღეს მეთვალყურენი ამბობდნენ, პროცესიის თავმა გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტთან მთაწმინდის ქუჩას რომ შეუხვია, პროცესიის – ბოლო ჯერ კიდევ ერევნის მოედანზე იდგა და ნელ-ნელა მიდიოდა წინო. ვორონცოვ-დაშკოვის ბრძანებით ქუჩაში ჯარიც იდგა და სამხედრო საღამს აძლევდა ცხედარს, რადგან ილია სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო.“

სიტყვები წარმოთქვა მრავალი, ჯერ სიონში, შემდეგ ერევნის თავისუფლების მოედანზე და საფლავთან, მამადავითზე: იროდიონ ევლოშვილმა, თედო რაზიკაშვილმა, სოსიკო მდივანმა, კარლო ჩხეიძემ, ვლასა მგელაძემ, ნინო ნაკაშიძისამ, გიორგი გვაზავამ, ექვთიმე თაყაიშვილმა, მოსწავლე ახალგაზრდობის, მუშების, ქართულ-რუსულ და სომხურ პრესის წარმომადგენლებმა და სხვა მრავალმა, დამდებოდა, როცა მიწაში ჩავასვენეთ დიდებული ადამიანის გვამი. დიდი ამადლევებელი მომენტი იყო, როცა სასახლის ქუჩაზე პროცესია გააჩერეს და სასტუმრო „კაკაზიდან“ ხელით ჩამოიყვანეს მაშინ ავადმყოფი აკაკი წერეთელი, რომელმაც გრძნობით სავსე სიტყვა წარმოთქვა. ბოლოს ატირდა და მიაძახა: “მეც მალე მოვალ შენთან, ილია“. მამადავითზე

სიტყვები წარმოთქვეს: ვაჟა-ფშაველამ „საწყალი ილია, საწყალი ილია!“ მესმის გულსაკლავად წარმოთქმული აქეთ-იქიდან სიტყვები მამათა და დედათა მიერ. საწყალი ილია? არ არის ილია „საწყალი“, ვინაიდან მან აასრულა თავისი მოვალეობა წინაშე თავის ქვეყნისა, იბრძოდა, იღვაწა ჩვენს სასარგებლოდ და დაღლილ-დაქანცული მიებარა ცივ სამარეს, ჩაიყოლა თან ისევ ჩვენი დარდი – დარდი თავის ქვეყნისა... გაიყოლა თან ის ტყვიები, რომელთაც ჩვენ იმას გავუმასპინძლდით, – ჩვენ მიერ დაჩნეული. ჩაიყოლა თან ყველა ეს ჩვენ მიერ მიძღვნილი სასიქადულო ძღვენი, მაგრამ ილია იმდენად ჭკვიანია, იმდენად უყვარს ქართველები და საქართველო, რომ მამა-პაპათა წინაშე დაჰმალავს ტყვიებსაც, წყლულებსაც, რომ ჩვენზე ცუდი არ ათქმევიოს, არ გააჯავროს ჩვენზე ისინი. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ჩვენო იმედო, ჩვენო საყვარელო ილიაჲ!“ („ისარი“, 6 სექტემბერი).

ილია ჭავჭავაძის მკვლელები მალე დაატუსაღეს. ერთი წლის შემდეგ სამხედრო სასამართლომ მათ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. ამ გარემოებამ იმ ხანად გამოიწვია დიდი აღელვება. უპირველეს ყოვლისა, განსვენებული პოეტის მეუღლემ - ოლღამ თადეოზის ასულმა, მხურვალე წერილით მიმართა ტფილისის გენერალ გუბერნატორს და სთხოვა – „ჩემი ქმრის მკვლელთ სიკვდილით ნუ დასჯითო. ამ შესანიშნავმა და კეთილშობილმა წერილმა დიდი გამომხაურება გამოიწვია“.

გამოყენებული ლიტერატურა.

1. ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება - ტფ. 1907.
2. ლასხიშვილი გიორგი. მემუარები - თბ. , 1992.
3. სოციალისტ - ფედერალისტთა პარტიის ცენტრალური ორგანო, ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ისარი“, (1907-08წწ.). 1907 (ავვისტო. სექტემბერი. ოქტომბერი). რედ-გამომცემელი - ი. მჭედლიშვილი.
4. ბაქრაძე, გ. ი. ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია. (1819-1945). - თბ, 1947.
5. ი. ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია - სიტყვარი: 1837–1907წწ. - თბ, 2010.

ცნობიერების ნაკადში დანახული სამშობლო*

(მარიამ კერესელიძის ეპისტოლეების მიხედვით) წერილი 2

მახიამ მაჩხანიშვილი
ფილოლოგიის მეცნ. დოქტ.

მ რომით საქმიანობასთან ერთად პერუში მარიამ კერესელიძე კენუას ენის შესწავლასაც დაეწავა. იგი წერდა: „მე კენუას ვსწავლობ, რომ ამ საწყალ, დაჩაგრულ ხალხთან უფრო ახლოს ვიყო, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით მანკორაში, მანდ კენუა დაუვიწყიათ. მე ხუთ ენაზე ვლაპარაკობ და ვწერ თითქმის ყოველდღე და ეხლა ინდიელების ენას, კენუასაც ვსწავლობ, რადგან აქ კენუას ენაზე ლაპარაკობს ათი მილიონი კაცი. მთავრობა პერუში ოფიციალურად არ სცნობს კენუას და აქ მხოლოდ ესპანური იხმარება ყველაფრისათვის“ (31.08.1960).

მარიამ კერესელიძეს მამის ყველა თვისებასთან ერთად მისი სამწერლო ნიჭიც გამოჰყვა: „14 წელიწადის უკან პატარა, ქართულად დაწერილ ლექსებს ვწერდი, რომელსაც ვმღეროდი ფანდურზე, მიკვირს და გული მტკივა, რომ სრულიად დავიწყებული მაქვს მშობლიური ენა!

ჩემო კარგო, შენ ხომ იცი გონიერათ მამაკაცი ვარ! 2 კვირაში ვიწყებ პატარა ხმადის ფაბრიკას. ჩემთან ერთად საქმეში იქნება ძალიან კარგი ბელგიელი მეგობარი ქალი. აქ უნივერსიტეტში მთხოვეს, რომ ფრანგული ენა ვასწავლო, მაგრამ ჯამაგირი ისეთი პატარაა, რომ მართლა არ მაინტერესებს“ (1.10.58).

„ბოლოს დროს, ორი დრამა დავწერე, ვნახოთ თუ მიიღებენ თეატრში!“ (24.9.58).

მარიამ კერესელიძემ პერუში ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში, 38 წლის ასაკში, ესპანურ ენაზე დაწერა პიესა „მაიტა“, რომლის შესახებაც იგი აღნიშნავდა: „სექტემბრის თვეში აქ პირველ თეატრში დგამენ ჩემს პირველ პიესას-დრამას ესპანურად დაწერილს. გიგზავნი გაზეთს, სადაც იწერება, რომ ქართველი ვარ. ჩემი ფსევდონიმია – ლეო კერელი! იმედია, მეორე დრამა ჩემი დაიდგმება 1960 წელს და თუ კი კარგია, ვინ იცის, იქნებ ევროპაში მიიღონ და... ვინ იცის თუ კი საბჭოთა კავშირში არ მიიღონ? იმიტომ, რომ ეს დრამა პერუს ცხოვრებიდან არის აღებული. მე დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი პიესა „მაიტა“ მიიღებენ თბილისშიც და მოსკოვშიც და ეს იქნება დიდი საშუალება ჩვენი შეხვედრისა“ (03.07.1960).

მარიამ კერესელიძემ თავისი ორი დრამატული პიესიდან, ერთ-ერთი „მაიტა“ თბილისში მამიდას გამოუგზავნა, რომლის შესახებაც იგი თავის ეპისტოლეში აღნიშნავდა: „როგორ მიხარია ჩემი პიესა რომ მიიღე! მე გთხოვ, აუცილებლად ვიდაცას სთხოვე, რომ გადაგვითარგმნონ შენთვის“. ამ წერილიდან ნათლად ჩანს, რომ მარიამ კერესელიძე ბუნებით ალტრუისტი ადამიანი იყო. იგი არა მარტო საქართველოს, არამედ

ყველა დანაგრულ ერის პიროვნული, ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის იბრძოდა.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს გიორგი კერესელიძის 1960 წელს დისადმი – ელენე გლურჯიძისადმი გაგზავნილი ბარათი: „მარიამმა, დასწერა ესპანურად ერთი სათეატრო პიესა. ამ პიესის დადგმა სცენაზე იკისრა ერთმა ცნობილმა თეატრმა. გამგეთ ძალიან მოსწონებიათ. დიდი ხანია რეპეტიციები სწარმოებენ, დეკორაციები მზად არის. 4 ამ თვეს, ე.ი. დღეს, პირველად წარმოდგენა უნდა იყვეს. თუ მწერალმა (ანუ მსმენელმა) საზოგადოებამაც მოიწონა – მათი, მარტასი და მუშუნის მდგომარეობა ცოტათი მაინც გაუმჯობესდება“.

არა მარტო გიორგი კერესელიძე იყო აღფრთოვანებული ძმიშვილის შემოქმედებითი ნიჭით, არამედ მარიამიც ამაყობდა თავისი ბიძით: „რა კარგი და ლამაზია, ლერმონტოვის ლექსი მიმისგან თარგმნილი! მართლა რომ მეც ასე ვარ როგორც იანქარი და მხოლოდ საქართველოში ალბათ სიმშვიდეს ვიპოვებ“ (ლიმა 25.3.58).

გიორგი კერესელიძის გარდა ქართულ მწერლობაში ცდიდა თავის კალამს ლეო კერესელიძეც. ცნობილია, რომ „1918 წელს ჟენევაში გამოვიდა პატარა წიგნი ფრანგულ ენაზე. აქ იყო დასტამბული ლეო კერესელიძის „თამარ მეფე და მისი მეოსანი რუსთაველი“, ფრანგულში მითითებული ჰქონდა, რომ ეს იყო „ფანტაზია“. ზემოხსენებულ კრებულში რამდენიმე ამ ყაიდის ნაწარმოებია, მწერალს ის თავად უთარგმნია. მანამდე, ქართულ ენაზე გაზეთში „ქართულ გაზეთი“ დაუსტამბავს“, – აღნიშნავს პროფესორი რუსუდან ნიშნიანიძე თავის ნაშრომში „ქართული გენერლების ლიტერატურული ტექსტები“.

მასვე ეკუთვნის მოთხრობა „ბაზალეთის ტბა“ და სხვ.

ენით გამოუთქმელი ტკივილი და თანაგრძნობა გამოხატული მამიდისადმი გაგზავნილ 1960 წლით დათარიღებულ მარიამ კერესელიძის წერილში: „ფიქრით სულ შენთან ვარ ჩემო კარგო ადამიანო. რა დღეში იქნები, გენაცვალე, ამ საშინელი ამბავის გაგებით. საწყალი ბიძა, გოგია, იმანაც სამშობლოს სიტკბო არ ეღირსა კიდევ, და ისევ დაიღუპა, საზღვარგარეთ როგორც მამა, როგორც ბევრი ქართველი ადამიანი...“

მივიღე გაზეთები და წიგნები. ვერ წარმოიდგენ რა სიყვარული იქნება ჩემთვის, თბილისის გაზეთი წავიკითხო და თეატრის პროგრამაში ვხედავდე „მაიტა“ მარიამ კერესელიძის პერუს დრამა...“

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. : 2014 №4

მე მგონი „მაიტა“ მშვენიერი კინო სურათიც იქნებოდა. ოხ! ყველაფერი ეცადე გენაცვალე“ (პერუ 1.6.60).

მარიამ კერესელიძისათვის იმდენად საოცნებო იყო საქართველოში დაბრუნება, რომ იგი პერუში მცხოვრებ ჩინელ მკითხავთანაც მისულა, რაზეც მეტყველებს მისი ეპისტოლე: „ამ სამი თვის უკან ერთმა მეგობარმა წამიყვანა ჩინელ გულთმისანთან. ის ამხანაგი ძალიან კულტურული და ჭკვიანი პიროვნებაა და მიკვირდა, ის რომ ჩინელ გულთმისანს ყურს რომ უგდებდა. მეც მივედი ჩინელთან მისი რჩევით და ვკითხე: 1. თუ კი მე და დედა დავბრუნდებით საქართველოში და შენთან ერთად ვიქნებით. 2. თუ კი ჩემი მატერიალური მდგომარეობა გასწორდება. 3. თუ კი ოდეს მე რაღაცა არაჩვეულებრივი საქმეს გავაკეთებ. 4. თუ კი ის სულიერი გზა რომელიც მე ავირჩიე მართალია.“

მე ცხოვრების დიდი ოპტიმისტი ვარ და მე ასე მგონი, რომ კარგი იღბალი მაქვს. გასაკვირველია, მაგრამ ხშირად ძალიან ცუდი მტრები მყოლია და თანაც არაჩვეულებრივი მეგობრები...

ქართული ბალეტი აქ ყოფილა ერთი კვირა, მაგრამ ჩემთვის შეუძლებელი იყო მაგნებთან შეხვედრა! გული მიკვდებოდა და ძალიან ბევრი ვიტირე. ბიბა გოგიას მიეწერე ამის შესახებ.

ვთხოვ ვახტანგი ჭაბუკიანი ინახულე. არაუშავს, ძირითადი საქმე ის ჩვენი შეხვედრაა, გენაცვალე“ (1.10.58).

მარიამ კერესელიძე თავის ეპისტოლეებს ადრესატს 1956-60 წლებში უგზავნიდა პერუდან. ამ ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანია ქართველი ქალის ის სულიერი აღსარება და ტკივილი, რომელიც ამ წლებში შექმნილ ერთ-ერთ წერილშია გადმოცემული: „ჩემი აქ ცხოვრება, ე.ი. საზღვარგარეთ, სულ უმიზნოთ და უინტერესოდ მიმდინიდა. სხვა ჩემსავით ემიგრაციაში დაბადებული ადამიანი შეეჩვივა სხვა ქვეყანას. მე არც ერთ ერს ვერ ვეგუბები, არც სულიერად და არც აზროვნულად. მე მიზიდავს და მაინტერესებს მხოლოდ საქართველო, ის ხალხი რომელიც მანდ ცხოვრობს. მე არ მაინტერესებს ფული, სიმდიდრე, დროს გატარება და საერთოდ ბედნიერება, რომელიც უდიდეს მიზნად დაუდგება თვალწინ ბევრ ხალხს. მე მინდა შინაარსიანი ცხოვრება, მაინც უშინაარსოდ დარჩება ვინაიდან, ეგ ჩემი ხალხი არ არის და მე მაგათვის მუდამ უცხო ვიქნები. თუ კი საქართველოში ვიქნებოდი, რაც უნდა უბრალო მუშაობა რომ მექნეს, მაგალითად გაზის გაკეთება, ეს მაინც რაღაცა შრომა იქნება საქართველოსთვის და ის პატარა ქვა ჩემი ხელით დაწოხილი დარჩება“ (26.09.1956).

მარიამ კერესელიძისათვის მამიდა ელენე იყო არამარტო სისხლისმთავარი ნათესავი, არამედ მისი გულის მესაიდუმლეც, რომელსაც ცხადყოფს 1957 წლით დათარიღებული წერილი: „ახლახან მივიღე შენი წერილი ნიკოს შესახებ. უპირველეს ყოვლისა მინდა გაგიმეორო ჩემი გულითადი მადლობა შენი ზრუნვისათვის. თავის დღეში არ დამავიწყდება ჩემო საყვარელო ადამიანო რაც ჩემი გულისათვის გაგიკეთებია!“

როგორც შემდგომი წერილებიდან ირკვევა, ელენე კერესელიძე – გლურჯიძეს პირადად გაუცვინია მარიამის სულიერი მეგობარი ნიკო ფოჩხუა და მოხიბლულა მისი პიროვნებით. მარიამის მიმართ არც ნიკო ყოფილა გულგრილი და მისთვის ძალიან სასიამოვნო იქნებოდა, თუ აღდგებოდა მათ შორის წერილობითი ურთიერთობა მაინც.

როგორც ეპისტოლეებიდან ირკვევა, მამიდა ელენე ცდილობდა ნიკოსთან შეხვედრით დაეინტერესებინა თავისი ძმიშვილი.

განცვიფრებას იწვევს ეპისტოლეებში გამოხატული სამშობლოს უსაზღვრო მონატრება, სევდა და ტკივილი ემიგრანტი ქართველი ქალისა, რომელსაც სამშობლო არასოდეს ენახა და თავისი ქვეყნის სიყვარული მის გულში მხოლოდ მამის გადმოცემით იყო გადავიკებული.

ეს იყო ის ჯიშინი ქართველი ქალი, რომლის შესახებ გრიგოლ რობაქიძე აცხადებდა: „ჯიში“ ჩვენში თეორია“ კი არაა, როგორც ევროპაში: იგი „სინამდვილეა თვითონ“.

ამ ეპისტოლეებიდან ირკვევა, რომ მარიამ კერესელიძე ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ყველა ნარეკლიანი გზა გაიარა. იყო ეს სხვადასხვა სახელმწიფოებისადმი მიმართული ათასი რეზოლუციები თუ ანტისაბჭოთა საქმიანობა. უცხო ცის ქვეშ საბოლოოდ მან შექმნა და სამშობლოს დაუტოვა: ფრანგულ ენაზე დაწერილი მოგონებები და ესპანურ ენაზე დაწერილი ორი პიესა. რომლის შესახებ მსჯელობას აქ იმ მოტივით აღარ გავაგრძელებთ, რადგან მწვერალი ეკუთვნის იმ ერს, რომლის ენაზეც წერს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მარიამ კერესელიძის პირადი ბარათები ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ეპისტოლარული მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშებია და მკითხველს იზიდავს თავისი უნიკალური დოკუმენტური მასალებით, რომელიც ხასიათდება ემიგრანტული მიმოწერის ზოგადი თავისებურებებით: ნოსტალგიით, სევდით, მონატრებით, წუხილით და ურთიერთდაპირისპირებით. თუმცა მათში იგრძნობა ურთიერთდახმარების სურვილიც, რადგან ალბათ, უცხოეთში ქართველებს უფრო მეტად სიყვარული აძლებინებდათ. ისიც ცხადია, რომ ემიგრანტ მოღვაწეებს, როგორც მარიამ კერესელიძის შემოთქმული წერილებიდან აშკარად ჩანს, გააზრებული პქონდათ ასევე ღონე სულიერისა და ღონე ხორციელის ერთიანობის საჭიროებისა, ამას ისინი ხშირად ვერ ახერხებდნენ, მაგრამ გრძნობდნენ, რომ უცხოეთში ქართველს უფრო სჭირდებოდა ერისათვის დამახასიათებელი მაღალი ღირსების შენარჩუნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახალი თაობა – 1996. 17.07.97
2. კერესელიძე-გლურჯიძე ე, პირადი არქივი: 1956-1960.
3. კედია ს. მასალები პირადი არქივიდან. - თბ. , 2007.
4. ლიტერატურული ძიებანი: ტ. XXVIII. - თბ. , 2007.
5. სულაძე გ, ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები. - თბ. , 2012.
6. ქართული ემიგრაცია – 2013, №1.



პატრიოტიზმისა და ეროვნული ენერჯის საკითხები გერონტი ქიქოძის შემოქმედებაში

ბუჩაძე თაყნიაშვილი

ქართული ეროვნული ენერჯისა და პატრიოტიზმის საკითხებს არა ერთი წერილი მიუძღვნა გ. ქიქოძემ. პუბლიცისტურ წერილებში „ენა და ეროვნული ენერჯია“, „მივხედოთ საკუთარ თავს“, „ეროვნება და ტერიტორია“, „წარმოება და ეროვნული ენერჯია“, „პატარა ერების ხვედრი“ და სხვ. ავტორი ეხება ქართველთა ზნეობრივი ცხოვრების აქტუალურ საკითხებს, საქართველოს ისტორიის ცალკეულ პერიოდებს, ყურადღებას ამახვილებს ერის თვითმყოფადობისა და ეროვნული ენერჯის პრობლემებზე. ეროვნული იდეალებისათვის ბრძოლა გ. ქიქოძეს მიაჩნია ქართველთა ყველა თაობის გადაუდებელ პრობლემად, საქართველოს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხსნისა და მისი ადგილის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. 1914 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ეროვნული ენერჯია“ იგი წერდა: „საქართველოში ეროვნული ენერჯია ჯერჯერობით გაუშლელია, მისი ბუნებრივი სიმდიდრე ჯერ დაუმუშავებელია, მისი ფარული ძალები აუმოდრავებელია“. გ. ქიქოძის აზრით, ცხოვრება დიდი დრამაა, ტიტანურ ძალთა შეტაკება: „ქართველმა ერმა თვით უნდა გასჭედოს თვისი ბედი, მან უნდა აამოძრავოს მატერიალური საწარმოო ძალები და საძირკველი ჩაუყაროს თანამედროვე მეურნეობას“. ქართველებმა უნდა შექმნან ახალი ქართული მწერლობა და ხელოვნება, უამისოდ მას ადგილი არა აქვს თანამედროვე ერთა დიდ კულტურულ ოჯახში.

იმავე წელს გაზეთ „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნებულ წერილში გ. ქიქოძე კვლავ უბრუნდება ეროვნული ენერჯის საკითხს და წერს: „როცა ეროვნული ენერჯია განსაზღვრულ დონე-

ზე აღის, ის ადვილად სცილდება სახელმწიფოს ვიწრო ფარგლებს და საერთაშორისო ფაქტორად ხდება, თანამედროვე საქართველომ უნდა შეიგნოს, რომ ყველაზე დიდი ნაკლი ეროვნებისათვის უენერჯიობა და უნაყოფობაა, და რომ ამ ნაკლს ვერასოდეს ვერ დაფარავს კოსმოპოლიტიკური ფრაზეოლოგია“.

გ. ქიქოძის აზრით, დღევანდელი საქართველო მწუხრის ბინდბუნდში იმყოფება: „ჩვენ თითქოს განველეთ ჩვენი ისტორიის საკმარი ხანა და დღეს ვთვლემთ მწუხრის ბინდ-ბუნდში, გამოსაფხიზლებლად ძლიერი სენსაციები გვესაჭიროება“. საქართველოს ყოველთვის ჰყავდა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდილი მამულიშვილები, მათი მაგალითი დღესაც ასაზრდოებს ქართველთა გონებას და მოუწოდებს თანამედროვეთ ცოცხალი მაგალითებით ასაზრდოონ საკუთარი მოქმედება. „სამშობლოს სიყვარული-წერდა იგი სტატიაში „ომი და უზენაესი მორალი“, - სპონტანურია, ინსტიქტებით განცდილი და არა გონებით განათებული“. სამშობლოს სიყვარული, მისი აზრით, ეს მშობლიური კერის სიყვარულია, მოღუშული ტყეებისა და მომდინარე მდელოების სიყვარულია, ეს არის იმ უცნაური, მისტიური საგნის სიყვარული, რომელსაც საკუთარი კერა ეწოდება. სწორედ საკუთარი კერასთან „მიმოდინ უწყინარნი სულნი წინაპრებისა, ნაზ სმენასა აქ სწვდება წარსულ დროთა ქვითინი და ღიმილი, აქ ციმციმებს სუფთა ჩაუქრალი ლამპარი“. ეხება რა ქართველთა სულიერი ცხოვრების საკითხებს. გ. ქიქოძე აღნიშნავს, რომ ჩვენ წარსულში ტაძრებს ვაშენებდით ღმერთებისათვის, შემდეგ დავიწყეთ შენობების აგება ადამიანებისათვის. „ქართველებში ჯანსაღი ეროვნული ეგოიზმი უნდა ვასაზრდოოთ“, ქართველმა ერმა უნდა შეიგნოს ის ჭეშმარიტება, რომ სიკვდილის ფასით შეიძლება სხვა ზენარი ცხოვრების მოპოვება, სანამ ერს არ შეუგნია, რომ რამოდენიმე ღირსეული წუთი სჯობს უღირს საუკუნეთა მიმდინარეობას, მისი არსებობა უმნიშვნელო და შემთხვევითი მოვლენაა კაცობრიობისათვის. ასეთია მისი რადიკალური მოსაზრება ერის სულისკვეთების ამადლების საკითხებში. წერილში „ეროვნება და ტერიტორია“ გ. ქიქოძე მსჯელობს კულტურის მნიშვნე-



ელობის შესახებ ერის ცხოვრებაში „ქართველს შეუძლია, – წერს იგი, – საქართველოს გარეშე ცხოვრება, მაგრამ მისი კულტურის გარეშე კი – არა“.

ერის სულიერ ერთობასა და ეროვნული ენერჯის შესახებ მსჯელობისას გ. ქიქოძე ბულისტიკივლით წერს: „დღესაც ქართველები ფსიქოლოგიურად ძლიერ ჩამორჩენილი ვართ, უწინარეს ყოვლისა, გვაკლია სისტემური, აუქ-ქარბელი, მიზანშეწონილი შრომის უნარი“. ჩვენ ქართველები, გ. ქიქოძის აზრით, ბუნებით მოუთმენელი ვართ და შემთხვევით და უცაბე-დად გამდიდრებაზე ვოცნებობთ, ამ მხრივ, მისი აზრით, ქართველები უფრო საშუალო საუკუნეების მეკობრეებსა და რაინდებს ვგავართ, ვიდრე თანამედროვე ადამიანებს. სხვა წერილში „ეროვნება და ტერიტორია“, გ. ქიქოძე მსჯელობს ქართველთა ყოველდღიურ ყოფიერებაზე, მისი აზრით, დემოკრატიის აუცილებელი პირობაა ერის სიმდიდრე, მისი ქონებრივი და სულიერი წინსვლა, მაგრამ როდესაც ერი სხვის საწველ ფურად არის გადაქცეული, როცა ის პროლეტარიატის გზაზეა შემდგარი, თავისუფალ ყოფიერებაზე უოცნებია მისთვის უნიადაგოა, ზედმეტი ღირებულება სხვებს აქვს, მას კი მხოლოდ შრომის ხვედრი მიაჩნია, ეს იმას მოასწავებს, რომ ქართველები სხვისი შავი მუშები ვართ“. გ. ქიქოძე იცნობს რა ევროპის ქვეყნებში შრომის განაწილების ფორმებსა და მის ფასს, გულისტიკივლით აღნიშნავს: „სირცხვილით უნდა იწვოდეს ყველა, ვინც საქართველო ამ დღეში ჩააგდო“. ასეთ დასკვნებს მწერალი ადარებს რა, ერთიმეორეს ევროპელი და ქართველი გლეხის შრომას.

ქართველი კაცი თავისი აზროვნებით უნდა გაცდეს ეროვნულ საზღვრებს და კაცობრიობის იდეამდე უნდა ავიდეს. ფილოსოფოსებმა დიდი ხანია აღიარეს, რომ მსოფლიო ერთარსია. დღითა-ბრივი გონიერებით განმსჭვალული გონება ყოველთვის სიკეთეა. ადამიანები გონიერი არსებანი არიან. ისინი არაფრით განსხვავდებიან ურთიერთშორის ეროვნული, სოციალური, ან პოლიტიკური თვალსაზრისით, ყოველგვარი ზღუდე შემთხვევითია. მისი აზრით, ერთი უდიდესი ეთიკური ვალდებულება საყოველთაო სიყვარული, ძმობა და სიბრალულია“.

საერთაშორისო სოლიდარობა სჯობს ქიშკსა და გაუცხოებას ცხადია, თანამედროვე კაცობრიობა მიიღტვის მუდმივი მშვიდობისაკენ. მსჯელობს რა ომის შედეგების შესახებ, გ. ქიქოძე აღნიშნავს: „მსოფლიო ომმა უკუაგდო ზეთისხილის რტო და ფოლადის ჯავრით შეიმოსა, სათნოების ხმა შურისძიების ხმამ დაჩრდილა, მაგრამ სიყვარული და სათნოება არ გამქრალა, გაძლიერდა ეროვნული სოლიდარობა“.

ქართველი ეროვნული ენერჯიას, ეროვნული სულის ძალას იკრებდა საუკუნეთა სიდრმიდან,

მერე კი თანდათან ავიდა თვითშეგნების სიმძლავრე. ეროვნება გ. ქიქოძის აზრით, ცოცხალი ორგანიზმია, ის მწვავე ტიკივლებს განიცდის ვიდრე შესაფერის პოლიტიკურ ფორმას მიიღებს. ეროვნული ენერჯია შეიძლება დაიხარჯოს დაძველებულ სახელმწიფო წყობილებაში ან ბრძოლაში. „ეროვნებას დიდი კულტურის შექმნა არ შეუძლია თუ მას თავისი ისტორიული მისია არ აქვს(?)“ მსჯელობდა რა სამშობლოს სიყვარულის ფენომენზე გ. ქიქოძე აღნიშნავს, რომ სამშობლოს სიყვარული უპირველეს ყოვლისა ტერიტორიის სიყვარულია, იგი უძლეველი გრძობაა. ქართველს, როგორც ცალკე პიროვნებას, შეუძლია მოწყდეს ტერიტორიასაც და ეროვნულ კულტურასაც. საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეს, მის ინტელექტუალურ პოტენციალს შესაძლებლობა აქვს დროთა განმავლობაში ჩადგეს მოწინავე, ცივილიზებული ერების ერთობაში. „ჩვენ, ქართველებს, აღნიშნავს ავტორი, დიდი უპირატესობა და შესაძლებლობები გაგვანჩია სხვა უფრო დიდ ერებთან შედარებით. „ქართველი ხალხისათვის, – წერს იგი, – სრულიადაც არ არის ხელსაყრელი ისეთ ერებში შერევა, რომლებიც ფიზიკურადაც და მორალურადაც დაბალ დონეზე დგანან. ჩვენთვის მორალურ სიკეთეს წარმოადგენს ჩვენი ეროვნული ღირსებანი, ჩვენი პლასტიკური აგებულება და რასიული სილამაზე. გ. ქიქოძის აზრით, ქართველებს ახასიათებთ თავისუფალი სიყვარული და ქედმოუდრეკლობა, ჩვენი რაინდობა მეგობრობასა და სიყვარულში წარმოადგენს ჩვენს ეროვნულ ღირსებას. „ჩვენი სულიერი მოკრძალება – წერს იგი, დედაკაცის წინაშე, ისეთ მორალურ სიკეთეს წარმოადგენს, რომ ღირს მისთვის ბრძოლა და სიკვდილი. ჩვენი ნაკლი, ჩვენ ის უნდა ვძლიოთ დამოუკიდებელი ეთიკური შემოქმედების შემწვობით“.

საქართველოში, ისევე, როგორც სხვა პატარა ქვეყნებში, ალბათ შეუძლებელია აბსოლუტური სამართლიანობისა და მშვიდობის მიღწევა, „მუდმივი მშვიდობიანობა, მისი აზრით, ჰესპერი დების ბალია რომელიც ყველას ეხმანება, მაგრამ ჯერ არავის უფლება არა აქვს, ქართველებს მოგეთხოვოს, რომ ამ ბაღში სხვებზე ადრე ჩვენ შევიდეთ და ოქროს ვაშლები მოვწყვიტოთ.“

გ. ქიქოძე საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს სწავლა-აღზრდისა და გონებრივი შრომის შესახებ. ამ კატეგორიებს იგი მიიჩნევს ჩვენი ერის გაძლიერებისა და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების უცილობელ პირობად. იგი გულისტიკივლით უყურებს ქართულ მიწაზე უცხოელთა პარაზს: „რა მნიშვნელობა აქვს ქართულ ენაზე სწავლებას, თუ ჩვენი სამშობლოს ტერიტორია უცხოელებით ატრელებდა, მიზანშეწონილი შრომის უნარი გვაკლია, სხვები კლუბებში და გასართობ სახლებში დასასვენებლად მიდიან, ჩვენ კი იქ გამოუსვლელად ვაღამებთ. გ. ქიქოძე ყოველ თავის წერილსა თუ ესსეში გულისტიკივლით წერს საქართველოს ბუნებრივ სიმ-

დიდრეზე, მისი გამოყენების აუცილებლობაზე: მისი აზრით, ეროვნული დოვლათის უქონლობას ხალხის სულიერი და სორციელი დაბეჭავება მოსდევს, როცა ხალხი ბიოლოგიურად ძლიერია, მასში ძლიერია პატრიოტიზმიც: „პატრიოტული გრძნობა უფრო ძლიერია პატარა ხალხში – წერს იგი, – ვიდრე დიდში, სიყვარულის საგანი ყოველთვის ახლობელი და ხელშესახები უნდა იყოს, დიდი სახელმწიფოები კი ხშირად უსახდერო და თვალშეუწვდენელი ტერიტორიების სახეს ღებულბენ, ასეთ ტერიტორიებზე პატრიოტიზმის ადგილს ქვეშევრდომობით შეცვლა იჭერს“. ძნელია ავტორის ამ მოსახრებას აბსოლუტურად დაეთანხმო, ერთი რამ კი უდავოდ ყურადსაღებია: ავტორი საქართველოს მაგალითით მსჯელობს, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „დიდ სახელმწიფოებში“ ნაკლებად იყოს გაღვივებული პატრიოტიზმის გრძნობა.

თავის ნაშრომში „ეროვნული ენერჯია“ (1919) გ. ქიქოძე მსჯელობს ეროვნული ენერჯიის წყაროებსა და მის მიზანმიმართულ გამოყენებაზე.

„გადაჭარბებული ინდივიდუალიზმი ასუსტებს ეროვნულ ენერჯიას – წერს იგი, – ჰარმონიულად დამთავრებული ადამიანები ახლა ნაკლებად არიან, როდესაც რაიმე სახელმწიფოებრივი მოწოდებაა, მას უნდა მოჰყვეს ეროვნული ენერჯიის აფეთქება“. აგრძელებს რა ეროვნული ენერჯიის შესახებ მსჯელობას, გ. ქიქოძე აღნიშნავს, რომ ძველ საქართველოში უფრო მეტად იყო წარმოჩენილი უტეხი ენერჯია. ჩვენ, ქართველები უფრო ციდან ჩამოვარდნილ არსებებს ვგვგვართ, ქართული ენა ჩვენი სულის გარეგანი სახეა. ავტორის აზრით, მთელი ჩვენი ისტორია სულიერი ნათესავების ძიების მაგალითია.

1905 წელს უურნად „მოგზაურში“ გამოქვეყნებულ სტატიაში გ. ქიქოძე ეროვნულ ენერჯიას უკავშირებს ეკონომიკური აღორძინების საკითხებს და აღნიშნავს, რომ ეკონომიკური ძლიერება სულიერი სიძლიერის მანკვენებელი არ არის. ეკონომიკური ძლიერების წყაროდ ავტორს მიაჩნია ქართული სოფლის სიძლიერე და გულისტკივილით წერს: „ქართული სოფელი კარგავს თავის მამა-პაპურ ელფერს, მათ ადგილზე ბატონდება უცხოეთის კაპიტალი, რაც მოასწავებს ნაციონალურ გადაგვარებას, აზიური ივერია ისტორიის უფსკრულში იკარგება, მის ადგილს იკავებს ევროპული, კაპიტალისტური საქართველო“.

გ. ქიქოძის აზრით, პატრიოტული გრძნობა და სამშობლოს იდეა დაიხრდილა და გააქრა მე-13 საუკუნეში, მონღოლების შემოსევის შედეგად, მისი ადგილი დაიჭირა თემისა და პროვინციის

იდეამ. ახლა კი ახალი საქართველო, მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის შეგნებულად იბრძვის ეროვნული იდეალებისათვის. ამ იდეალებს იგი უკავშირებს წარსულ თაობათა საუკეთესო ანდერძს. „ამ ანდერძში ძვირფასია გაერთიანებული საქართველოს იდეა, ის არამარტო მშვენიერი და ამადლებულია ზნეობრივად, არამედ მოქმედი და ნაყოფიერია სოციალურადც“.

გ. ქიქოძეს მართებულად მიაჩნია, რომ ეროვნული ენერჯიის გაძლიერებასა და პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებას ესაჭიროება შთაგონებისა და აღფრთოვანების წყარო. ასეთ წყაროდ იგი მიიჩნევს ახალი ქართული მწერლობის, ხელოვნებისა და კულტურის აყვავებას. თავის იდეებს გ. ქიქოძე ფილოსოფიური მსჯელობით ამყარებს უფრო მოგვიანებით „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნებულ სტატიებში. ჩვენი მდგომარეობის სიღუბს იგი, მისი აზრით, იმაშია, რომ ჩვენ პოლიტიკური ძალა არა გვაქვს იმისათვის, რომ ეროვნული წარმოება ფეხზე დავაყენოთ. „ჩვენი ქვეყნის ბუნება – წერს იგი, უზომოდ მდიდარიც არის ქალწულებრივად ხელუხლებელიც, ჩვენი მდინარეები და ჩანჩქერები უფასო ენერჯიას მოგვცემენ წარმოების ასაყვავებლად“ (1915წ.).

საუკუნეების წინათ გ. ქიქოძის მიერ ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე ჩამოყალიბებული იდეები, აზრები და დასკვნები პატრიოტობასა და ეროვნული ენერჯიის შესახებ თავისი არსით პირდაპირ ეხმაურება თანამედროვე საქართველოს ეროვნულ ღირებულებას, მათი დაცვისა და მოვლა-პატრონობის უსპეტაკეს მისიას.

გ. ქიქოძის თხზულებათა ძირითადი გამოცემები

1. რჩეული თხზულებანი ორ ტომად: ტ. 1-2. - თბ., 1963-1964
2. ალექსანდრე ყაზბეგი - თბ., 1946. - 23 გვ.
3. ერეკლე II - თბ., 2011-168 გვ.
4. ეროვნული ენერჯია. - თბ., 1919.- 255 გვ.
5. ეტიუდები და პორტრეტები. - თბ., 1958. - 355 გვ.
6. თანამედროვის ჩანაწერები. თბ., 2003. - 144 გვ.
7. ლიტერატურული ნარკვევები. - თბ., 1938. - 194 გვ.
8. მოგონებები: სიტყვები და წერილები. - თბ., 1956 -358 გვ.
9. ნიკოლოზ ბარათაშვილი. - თბ., 1946 - 19 გვ.
10. პატარა ერის ხევდრი. - თბ., 2003 - 316 გვ.
11. პოლიტიკური წერილები. - თბ., 1920 - 31 გვ.
12. ქართული ლიტერატურის ისტორია. - თბ., 1947- 335 გვ.
13. წერილები, ესეები, ნარკვევები - თბ., 1985 - 600 გვ.
14. წერილები ხელოვნებაზე - თბ., 1936 - 120 გვ.



აკაკი წერეთელი

(ცხოვრებისა და შემოქმედების ეპიზოდები)

ბუნიაძე სტეფანე

სრა მგონია, იყო ქართველი, ცხოვრობდნენ საქართველოში და არ იცნობდნენ ქართველი ხალხის უსაყვარლესი პოეტის, აკაკი წერეთლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მის შემოქმედებას, მის „ცა – ფირუზ, ხმელეთ – ზურმუხტით“ მოვარაყებულ პოეზიას, ეროვნული სულისკვეთებით აღფერებულ, უფაქიზეს ლექსებს, მაგრამ ჩვენი ჟურნალი ვალდებულია თვლის თავს, რომ ღირსეულად აღნიშნოს პოეტის საიუბილეო თარიღი – დაბადებიდან 175 წელი და ძვირფას მკითხველს შეახსენოს პოეზიის უგვირგვინო მეფედ წოდებული დიდი პოეტის ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები.

ზემო იმერეთის ერთ-ერთ უღამაზეს კუთხეში, საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორში, რომელიც მდებარეობს პატარა, გიჟმაჟი მდინარე ჩიხურის გაღმამოღმა გორაკებზე, 1840 წელს, 9 (21) ივნისს, დაიბადა აკაკი წერეთელი.

წერეთლები ცნობილი თავადები იყვნენ. საქართველოს საისტორიო წყაროებსა და მხატვრულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით XVII–XVIII საუკუნეებში, ხშირად გვხვდება ამ გვარის გამოჩენილ პირთა სახელები. ამ პერიოდში ისინი იმერეთის სამეფო კარზე განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ და სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ.



აკაკის მამა კარგი მოჭადრაკე, საკმაოდ ჭკვიანი, გონებასხვილი და მოსწრებული მოსაუბრე ყოფილა, ცოტა ენამწარეც და ახირებული ხასიათისა. მაგრამ სასახლეში ის ქალბატონზე უფრო მეტად ჰყვარებიათ. გარეშეებიც დიდი სიყვარულით ექცეოდნენ თურმე როსტომს და „მთავრობაც დიდ პატივსაც სცემდა“. 1847 წელს როსტომი დაუნიშნავთ ქუთაისში მთავრობის მიერ დაარსებული „იმერეთისა და გურიის თავადაზნაურობის უფლებათა გამრჩევი კომისიის“ დეპუტატად. ამ კომისიის მრავალ საქმეთა შორის როსტომ წერეთლის ხელმოწერა გვხვდება 1853 წლის 26 ივლისს შედგენილ მოწმობაზე.

დედა – ეკატერინე, იყო ცნობილი ფეოდალის ირაკლი აბაშიძის ასული, ივანე აბაშიძე კი იმერეთის მეფის სოლომონ პირველის (სოლომონ დიდის) ასულის – დარეჯანის შვილი იყო.

ეკატერინეს დიდი ღვაწლი მიუძღვის შვილებისა და, კერძოდ, აკაკის აღზრდა-განათლებაში. ჭკვიანი და იმ დროისათვის განათლებული ქალბატონი არ ანებიერებდა შვილებს სმირი აღერსითა და ხვევნა-კოცნით, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ბავშვის ფიზიკურ აღზრდას. მომავალ პოეტს არ არიდებდნენ არც სიცივეს, არც სიცხეს, არც გარეთ დამისთევას და მინდორ-ტყეში ხანგრძლივად ყოფნას. „სულ ფეხშიშველა და თავშიშველა დავრბოდი მინდორში, – გადმოგვცემს აკაკი, – არც გაცივების გვეშინოდა და არ შიმშილისაო“. დიდი პოეტი თავისი სიცოცხლის მთელ მანძილზე სპეტაკად და სათუთად ატარებდა დედისადმი ღრმა პატივისცემას და უსახლგრო სიყვარულს...

აკაკის მშობლებს ხუთი შვილი ჰყავდათ: ანა, დავითი, იასონი (შინაურობაში-ილიკო), აკაკი და მავრა (შინაურობაში-მატა).

ძველი ჩვეულების თანახმად, პატარა აკაკი აღსაზრდელად იქვე ახლო სოფელ სავანეში, გლეხის – ფასრსადან ყანჩაველის ოჯახში მიძას – მანო სადუნიშვილს მიაბარეს. სადაც იგი

იზრდებოდა უღარიბესი გლეხის ბავშვებთან ერთად, ისლით გადახურულ უფანჯრო-უსარკმლო ხის სახლში. ასეთ გარემოში აღზრდამ უდიდესი როლი შეასრულა მომავალი პოეტის ფიზიკურ, ზნეობრივ და გონებრივ განვითარებაზე.

ხუთი-ექვსი წლისამ, – მოგვითხრობს აკაკი, – ძალიან კარგად ვიცოდი, თუ როგორ უნდა პირუტყვს ყურისგდება, ფრინველის მოვლა, სადილ-ვახშმის მზადება, გაცრა-გამტყიცვა, გამოცხობა, სხვადასხვაგვარ შეჭამადის მომზადება და სხვანი. შესწავლილი მქონდა, თუ როდის და როგორ უნდოდა: ხვნა-თესვა, თოხნა, მკა, სხვლა და სხვანი... განსაკუთრებით უყვარდა პატარა აკაკის სამწყემსურში წასვლა: „გათენდებოდა თუ არა, – წერს აკაკი, – უქუდო, ფეხშიშველა გავრბოდი მწყემსებისაკენ და დაღამებამდე იქა ვრჩებოდი“.



მომავალი პოეტი, მინდვრად, გლეხის ბავშვებთან ერთად, დილიდან დაღამებამდე ატარებდა დროს მრავალფეროვან თამაშობასა და სიმღერა-გართობაში.

აკაკიმ უფროსი დის, ანას ხელმძღვანელობით ადრე შეისწავლა ქართული წერა-კითხვა, რუსული კითხვა კი დედამ ასწავლა. ბავშვობიდანვე ძლიერ გატაცებული იყო წიგნების კითხვით. ყოველ დილას, საუზმის შემდეგ, მიუჯდებოდა ხოლმე წიგნებს და კარგა ხანს კითხულობდა. 8-10 წლის ბავშვს უკვე რამდენჯერმე ჰქონდა გადაკითხული „ვეფხისტყაოსანი“, პროფესორ დავით ჩუბინიშვილის მიერ პეტერბურგში გადმოცემული ქართული ლიტერატურის ქრესტომათია და სხვ.

„ვეფხისტყაოსანმა“ იმდენად გაიტაცა პატარა აკაკი, რომ მან თამაშობა დაივიწყა და მთელ დღეებს წიგნების კითხვაში ატარებდა.

აკაკის პირველი გამგზავრება ქუთაისში ერთ არანეულებრივ შემთხვევასთან იყო დაკავშირებული. ერთხელ, ზამთრის პირას, აკაკი და მისი პატარა ფარეშები თურმე მშვილდ-კოდალას აკეთებდნენ. „ქარაფის ხეს რომ ვაკოპიტებდი, – წერს აკაკი, – დავიცვილე წაღდი, დავიკვრე კოჭში და შუაზე გავიპე. ტკივილს ისე არ შევეუწუხებოვარ, როგორც შიშს: ვაი თუ გამიწყურენ – მეთქი. მოვაგროვე აბლაბუდა, დავიდევი სქლად გაჭრილზე, ზედ ბამბა დავიდევი და შევიკარი მაგრად. მინდოდა არავისთვის გამემხილა, მაგრამ იმ დამეს თურმე ქვეშაგებში შემხსნოდა და სისხლის ტბა დამდგარიყო. რასაკვირველია, გაიგეს, მიაქიმეს და ნახევარი წლის განმავლობაში ტკივილი არ დამცხრომია, ბოლოს მოვრჩი, მაგრამ ძარღვები კი ისე დამისუსტდა, რომ მუხლი მომეღუნა და დავკუტდი. ბევრი მეაქიმეს, მაგრამ არა მეშველა რა. იმ ხანებში მამანემი დეპუტატად დაინიშნა ქუთაისის სათავადაზნაურო კომისიაში. დედაჩემმა ურჩია, რომ მეც წავეყვანე ქუთაისში და ექიმებისთვის ეჩვენებინა ჩემი თავი. რადგანაც ფეხის გამართვა არ შემეძლო, ქალის უნაგირზე შემსვეს, ქალივით გადამადებინეს შეხუთული ფეხი და ისე წამიყვანეს. ქუთაისამდე ორი დღის სავალი იყო. გზაში უნაგირზე თურმე ფეხი დამეზიდა, შეკრული ძარღვი გამეხსნა. ჩავედი თუ არა ქუთაისში, ფეხი გამემართა. აღარც ექიმი დამჭირვებია და აღარც წამალი“.

გიმნაზიაში მიბარებამდე პატარა აკაკის, როგორც ჩანს, სახლში ამზადებდნენ. „გიმნაზიაში შესვლისას, – იგონებდა პოეტი, – ხუცური ვიცოდი, მხედრული წერა-კითხვა შესწავლილი მქონდა და რუსულ ამოსაღებშიდაც გატეხილი მქონდა თვალი დედაჩემის წყალობით“.

აკაკი გიმნაზიაში მიუბარებიათ 1850 წლის დამლევს. აქედან იწყება სწორედ ის ახალი ხანა მის ცხოვრებაში, რომელსაც იგი „მტანჯავს, დამწავრებს და გამაუკულებს“ უწოდებს. თუ გავეცნობით სახაზინო გიმნაზიაში გამეფებულ სასტიკ რეჟიმსა და სწავლა-აღზრდის მეთოდებს, გასაგები გახდება რატომ გაჰყვა აკაკის მთელი სიცოცხლის მანძილზე ასე მწარე და უსიამოვნო მოგონებად სასწავლებელში გატარებული ბავშვობის დღეები.

აკაკი თავის „თავგადასავალში“ გვაცნობს იმ ადამიანებს, რომლებიც სამწუხაროდ, პედაგოგების სახელს ატარებდნენ და საშინელ გავლენას ახდენდნენ აღსაზრდელებზე.

თავისი აღმზრდელებიდან აკაკი ასახელებს მხოლოდ რამდენიმეს, – იმათ, ვინც ყველაზე უფრო დამახასი-

ათებელ და კოლორიტულ ფიგურებს წარმოადგენენ. ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებლებს შორის. ასეთები იყვნენ: რუსული ენის მასწავლებელი ტროე, საპეგა და პანიზოვსკი; მათემატიკური საგნების მასწავლებელი პოლონელი როდზიევიჩი. ფრანგული ენის მასწავლებელი მუსიე ტურესი, გიმნაზიის დირექტორი კოცებუ. ტროეს და როდზიევიჩის გამოკლებით ეს მასწავლებლები პრაქტიკული გამტარებლები იყვნენ თავისი დროის მახინჯი პედაგოგიური სისტემისა. გიმნაზიაში სწავლის დროს აკაკი ძალიან გაუტაცებია პოეტი მიცკევიჩის პატრიოტულ ლექსებსა და პოემებს. განსაკუთრებით აუღელვებია ლიტველი ხალხის თავდადებული რაინდის კონრად ვალენროდის გმირობას, რომელმაც სამშობლოს გულისთვის დაივიწყა თავისი პირადი ბედნიერება, დატოვა ოჯახი, საყვარელი ცოლი და წავიდა მოსისხლე მტრების, ტევტონების ბანაკში. აქ თავისი მოჩვენებითი ერთგულებით ნდობა და სიყვარული დაიმსახურა და ბოლოს მთავარსარდლის პოსტსაც მიაღწია. მოხერხებულ დროს კი, როდესაც ტევტონებმა, კონრადისავე მეთაურობით, ხელახლა გაილაშქრეს ლიტვის დასარბევად, კონრადმა გაანადგურა მათი ჯარი და, შურისძიების ნიშნად, ცეცხლსა და მახვილს მისცა მათი ქვეყანა. ამ პოემის შინაარსმა გადააწყვეტინა აკაკის გიმნაზიიდან გამოსვლა. ეს გადაწყვეტილება მამასაც გაანდო თურმე. როსტომს ძალიან გახარებია ეს ამბავი და უთქვამს: „შენი ნებაა, შვილო მე შენი ხნისას ცოლი მყავდა და ოჯახს ვეკიდო“. მაგრამ ასე არ შეუხედავთ ამ საქმისათვის ოჯახის სხვა წევრებს და ნაცნობ-ნათესავებს. აკაკი წერს, რომ მამისაგან თანხმობა მივიღე თუ არა, „მაშინვე გამოვედი სასწავლებლიდან, რითაც ყველა გავაკვირეო“.

ქუთაისის ყოფილი კლასიკური გიმნაზიის არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით ჩანს, რომ როსტომ წერეთელს 1859 წლის 7 თებერვალს ქუთაისის გუბერნიის სასწავლებელთა დირექტორ პესოჩინსკის სახელზე თხოვნა შეუტანია შვილის გიმნაზიიდან გაყვანის შესახებ.

დირექციას როსტომის თხოვნა დაუკმაყოფილებია და აკაკისთვის მიუცია მოწმობა.

გიმნაზიიდან გამოსვლის შემდეგ იგი გამოეთხოვა დედ-მამას, თავის მშობლიურ სახლ-კარს და გაუღვა შორეულსა და უცნობ გზას – რუსეთისაკენ!

მშობლებმა უცხო ქვეყანაში მიმავალ შვილს საგზაოდ ხუთასი მანეთი მისცეს და თან ერთგული მსახური ივანე კირკიტაძე გააყოფეს. „ბევრის არმცოდნეს და სრულიად არაფრის მნახველს, – გვიამბობს პოეტი, – უნდა ზღვა გამევილო, ხმელეთი გადამეღაჩა და ერთი ბიჭის ამარა ჩავსულიყავ პეტერბურგში, სადაც ჩემი ძმა მეგულებოდა „კანვოი“-ში მოსამსახურედ“.

ჩავიდა თუ არა პეტერბურგში, აკაკიმ პირდაპირ თავის ძმას ილიკოს მიაშურა.

პეტერბურგში, სამოციანი წლების დამდეგს, ოცდაათამდე ქართველი სტუდენტი სწავლობდა.

უფროსი კურსის სტუდენტებად ითვლებოდნენ: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ლოდობერიძე, ბესარიონ ლოდობერიძე და სხვები. აკაკის (ამ დროს ემთხვევა კირილე ლორთქიფანიძის ჩასვლაც) ჩასვლიდან ორი წლის შემდეგ, ქართველ სტუდენტთა დასს მიემატნენ კიდევ ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი. პეტერბურგის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული აკაკის

პირად ცხოვრებასთან, მის შემოქმედებასთან. სამოციანი წლებიდან დაწყებული, ბოლომდე აკაკი ხშირი სტუმარი იყო ამ ისტორიული ქალაქისა, 1861 წლის იანვარში აკაკი წერს თავის პირველ პოემას – „რუსეთუმეს“, რომლიდანაც ორი თავი გამოქვეყნდა „ცისკარში“.

„ეს ვრცელი პოემა იყო, ამბობს აკაკი, – აქ ახალი თაობის ტიპად ჩემი თავი მყავდა გამოხატული და ძველი თაობის ტიპად ჩემივე ოჯახი“.

1861 წლის 19 თებერვალს გამოცხადდა ცნობილი მანიფესტი საგლეხო „რეფორმის“ შესახებ და ამ დღის შემსახარად ამბავს აკაკი ეხმაურება ლექსით „მუშური“, სადაც უდიდესი სიძლიერით არის გამოხატული ყმა გლეხობის დაჩაგრული მდგომარეობა. ეს ლექსი, საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარებამდე ორი წლით ადრე დაიბეჭდა.

შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად აკაკი ემზადებოდა უნივერსიტეტში კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებელი გამოცდების ჩასაბარებლად. თავისუფალ მსმენელთათვის უნივერსიტეტში სავალდებულო არ იყო ოთხ წელს სწავლა: როცა კანდიდატის ხარისხი სურდათ, მაშინ ჩააბარებდნენ გამოცდას და წარადგენდნენ საკანდიდატოს. თემად აკაკის აულია

„ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხი. (ინტერესი „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერული ანალიზისადმი აკაკის დიდხანს არ განელებია და იგი ხშირად კითხულობდა ლექციებს მასობრივი მსმენელებისათვის). აკაკის ეს თემა უნივერსიტეტს მოუწონებია და მისი ავტორი საკანდიდატო დიპლომის ღირსად უცენია, მაგრამ აკაკის, როგორც თავისუფალ მსმენელს, უნდა წარედგინა გიმნაზიის კურსის დამთავრების მოწმობა, რაც არ წარუდგენია და შესაბამისად არც დიპლომი მიუღია.

1862 წელს აკაკი წერეთელი ჩამოვიდა სამშობლოში.

რუსეთიდან დაბრუნებულ აკაკის დიდი სიხარულით შეგებნენ მშობლები და ნათესავები. განსაკუთრებით მგრძობიარე იყო დედა ეკატერინე. რომელსაც ბევრი ცრემლი დაუღვრია თავისი უმცროსი, უსაყვარლესი ვაჟის ნახვაზე. მალე აკაკი გაემგზავრა ქუთაისში, რომელიც პოეტს იმავე პროვინციად მოეჩვენა, როგორც დატოვა.

ქუთაისში აკაკი ხშირად დადიოდა ნიკოლაძეების ოჯახში, ძალიან მეგობრობდა ნიკო ნიკოლაძის დებს, მას ძლიერ უყვარდა მათ მხიარულ, მეგობრულ წრეში საათობით და ზოგჯერ მთელი დღეობით დარჩენა. „ქუთაისის თეთრი ხიდის სიახლოვეს, – წერს რუსუდან ნიკოლაძე-რიონის მაღალ ნაპირზე იდგა ბაბუაჩეყნის ძველი, ნახევრად დანგრეული ხის სახლი, მისი მშვენიერი, წყალზე გადამყურე აივანი“. ამ სახლთან აკაკის ბევრი საუკეთესო მოგონება აკავშირდება. მაგრამ განსაკუთრებით წმინდა იყო მის ხსოვნაში მოგონება ამ სახლის ერთი ბინადრისა – ეს იყო ანასტასია ნიკოლაძე. მეგობრული გრძობა ამ ქალისადმი აკაკიმ შეუბღალავად შეინახა მთელი სიცოცხლის მანძილზე. ნ. ნიკოლაძე, ახსიათებს რა აკაკის დამოკიდებულებას ანიკასადმი, წერს: „ეს იყო „ჩერნიშევსკისებული“ მეგობრობა რჩეული ბუნების, გულისა და გონების ქალთან, სიყვარულით სავსე პატივისცემით აღბეჭდი-

ლი“. კერძო წერილებში პოეტი მას სანუგეშო მეგობარს უწოდებს. „თვით ანიკამ კი, შეიძლება თამამად ითქვას, მთელი თავისი გული და პირადი ცხოვრება შესწირა ამ მეგობრობას, აკაკის ჩანგსა და პიროვნებას. და შესწირა მისებურად: სრულად და უნაშთოდ; და ისე ჩუმად, ისე გულჩათხრობილად, რომ ეს არავის არ სცოდნია დანამდვილებით, გარდა მის და თვით აკაკისა“. ნიკოლაძეებისა და ხელთუფლიშვილების წრეში აკაკი პოულობდა გულწრფელ მეგობრულ პატივისცემას, პოეზიისა და კულტურის სიყვარულს, სამშობლოსადმი ერთგულებისა და სამსახურის სამაგალითო ნიმუშებს...

მწერლების გაცნობით დაინტერესებული აკაკი ქუთაისიდან 1862 წლის ზაფხულში გაემგზავრა თბილისში.

1863 წლის დასაწყისში კი იგი დროებით ემშვიდობება თავის ქვეყანას და მიემგზავრება რუსეთისაკენ.

1864 წელი აკაკიმ მოსკოვში გაატარა. როგორც ჩანს. იგი ამ ხანებში პეტერბურგშიც იყო, სადაც უნივერსიტეტში წარადგინა თავისი საკანდიდატო შრომა „ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის შესახებ“. იგი ისევე დაბრუნებულია მოსკოვში და, როგორც თავად აღნიშნავს „ჩემი თავგადასავალიში“, ჯვარი დაუწერია კიდევ ნატალია ბაზილევსკაიაზე. ამ მოულოდნელი ფაქტის შესახებ თავად აკაკი წერს:

„ნურავინ ნუ დაინიშნებს: მომავალში ამას ვიზამ, თუ იმას! მე გადაწყვეტილი მქონდა გუნებაში, რომ ცოლი არ შემერთო და მერე ისიც უცხოელი, მაგრამ შემთხვევას ყველაფერი შესძლებია“

საინტერესოა შემდეგი ჩანაწერიც: „ჩემმა მტრებმა და მათმა ამოღებმა, სხვა რომ ვეღარა მოახერხეს რა, დაჰყარეს ხმა, რომ აკაკიმ ცოლის მზითვეი მილიონები აიღო და გაფლანგაო! მაშინ, როდესაც თვალით არა მინახავს რა. ეს ცილისწამება დღესაც ბევრს მართალი ჰგონია ჩვენში“.

ცოლის შერთვის შემდეგ აკაკი წერეთელი საბოლოოდ დაბრუნდა სამშობლოში და საცხოვრებელ ადგილად ქუთაისი არჩია.

მან უარი თქვა სამოხელეო სამსახურზე და მთლიანად ლიტერატურულ ცხოვრებას მიეცა, აქტიურად ჩაება ხალხისა და სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

1889 წელს ქუთაისის საადგილმამულო ბანკის საზოგადო კრებამ აკაკის შესთავაზა ბანკის დირექტორის თანამდებობა, მაგრამ პოეტმა კატეგორიული უარი განაცხადა ამ საპატიო თანამდებობის დაკავებაზე. კრებას მადლობა გადაუხადა და თავისი უარი შემდეგნაირად დაასაბუთა: „მე რომ დირექტორობა ვიკისრო, საკუთრად მე მოხელეობას უნდა დაეუდგა გული და ეგ იქნება ჩემთვის ბორკილი, თუმცა ოქროს ბორკილი ჩემთვის პირადად სარგებელია, მაგრამ მაინც ბორკილია და იმ საქმეში ხელის შემშლელი, რომელსაც მე ამდენი ხანია ვემსახურები“.

ამრიგად, აკაკი წერეთელი არსად, არასდროს სამსახურში არ შესულა და მთელი სიცოცხლე ქვეყნისა და ხალხის ინტერესებისათვის იბრძოდა. არ დაშრეტილა მისი შემოქმედების აღმზრდელითი ძალა. მარადიულია მისი ლექსების ეროვნული სულისკვეთება!



„ჭკვიანი“ თუ „ჭიანი“

ლექსი „ვეფხვისა და მოყმის“ ერთი ეპიზოდის გაგებისათვის

შოთა ბაჩურონი

პედ. მეცნ. დოქტ.

„**ლ**ექსი ვეფხვისა და მოყმისა“ რომ დიდი, ბრწყინვალე ნაწარმოებია, ამაზე არავინ დაობს. ამ ბალადით, კულტურის არაერთ სხვა მარგალიტთან ერთად, სამართლიანად იწონებს თავს ქართველი ერი.

მინდა შენიშვნა გამოეთქვა ბალადის ერთი ფრაზის მიმართ – „არც ვეფხვი იყო ჯაბანი, არც ჩემ შვილ შახვდა ჭკვიანი“, უფრო ზუსტად – ფრაზის ბოლო სიტყვის გამო, რამდენადაც იგი ამ ფრაზაში უჭკუოს ნიშნავს და არაფრით არ ესადაგება ბალადის გამირს, ქებულ (როგორც ქვემოთ ვნახავთ) კაი ემას.

დარწმუნებული ვარ, რომ თავდაპირველად ბალადაში ჭკვიანი კი არა, ჭიანი იქნებოდა. ჭიანი, რა თქმა უნდა, ჭიანის, მატილიანის ნიშნავს, მაგრამ ეს სიტყვა ავადმყოფის, სუსტის მნიშვნელობითაც იხმარება (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 8, სვეტი 1250).

აქ დედას იმის თქმა უნდა და ამბობს კიდევ (თუ სიტყვას არ გავეუმრუდებთ), რომ ვეფხვი კი ვეფხვია, მაგრამ არც მისი შვილი გახლდათ უძღური და ამიტომაც აღესრულა კაცურად.

ვნახოთ, რა კონტექსტში ზის ეს ფრაზა, რა უძღვის და რა მოსდევს მას, და რამდენად ლოგიკური იქნებოდა, რომ იგი მართლაც ირონიული, ჭაბუკის სიმჩატის გამომხატველი ყოფილიყო:

„ჩემ შვილს ხმლით, იმას ტოტითა დღე დაუბნელდათ მზიანი, არც ვეფხვი იყო ჯაბანი, არც ჩემ შვილ შახვდა ჭკვიანი, მათ დაუხოცავთ ერთურთი, არ დარჩნენ სირცხვილიანი“

(ქართული ხალხური პოეზია, რჩეული, შემდგენელ-რედაქტორი ალექსანდრე გომიაშვილი. 1975, გვ. 6).

ამონარიდის პირველსავე სტრიქონში ნაქვია ორივე მებრძოლი – მოყმეცა და ვეფხვიც (დედა თავისთავში პოულობს ძალას – სამართლიანი იყოს), მათ ხომ „დღე დაუბნელდათ (რიგ ვარიანტებში არის დაუდამდათ) მზიანი“. დღე აქ სიცოცხლეს ნიშნავს, ისევე როგორც სიტყვებსა და თქმებში: დღეგრძელობა (დიდხანს სიცოცხლე), დიდი დღე მოგცა ღმერთმა (დიდხანს გაცოცხლოს), მის დღეში (მის სიცოცხლეში), დღემოკლე (რაც ცოტახანს ცოცხლობს) და სხვ. მზიანი დღე კი ურცხვენელ, ვაჟკაცურ სიცოცხლეს გულისხმობს, და არა მზის ჩახნახს იმ ტრაგიკულ დღეს. არც დაუბნელდათ ნიშნავს შემოღამებას, მზის ჩახვლის დროს, – ეს ამბავი გვიან დამით მოხდა. ასე რომ მზიანი დღის დაბნელება ურცხვენელი, ნათელი სიცოცხლის დასასრულია.

აქ რომ ჩვეულებრივი სიკვდილი იგულისხმებოდეს, არ გვექნებოდა „ჩემ შვილს ხმლით, იმას ტოტითა“,

რადგან ხმლით ჭაბუკი კი არა, ვეფხვი დაიდუბა, ტოტით კი ჭაბუკი.

მაშასადამე, მოყვანილი ნაწვევების პირველი ფრაზა კმაყოფილებას, ქებას გამოხატავს. სწორედ ამ ქება-მოწონებას მოჰყვება საკამათო ფრაზა – „არც ჩემ შვილ შახვდა ჭკვიანი“. მესამე ფრაზა კი პირდაპირი ქებაა, ყოველგვარი მეტაფორის გარეშე: „მათ დაუხოცავთ ერთურთი, არ დარჩნენ სირცხვილიანი“. განა რაიმე ლოგიკას ექვემდებარება მეორე სტრიქონის ირონია, შუა მოთქმაში ნახსენები უჭკუობა?

პირველ და მესამე სტრიქონებს შორის, რომლებშიც აშკარა მოწონებას ვხედავთ, უცხო სხეულად ზის ყოველად უადგილო წკიპურტი, რაც, ვიმეორებთ, არც რაიმე ლოგიკით არის გამართლებული, და არც მგლოვიარე მშობელს შეუძლია ირონიული იყოს მკვლარი შვილის მიმართ. პირიქით, იგი არაერთ საქმეარ სიტყვას უძღვნის მას და ამაყობს მისით: „შენც იმის საფერ ყოფილხარ, ხმალი ქნევაში გაგიცვდა“, „ამის მეტს აღარ გიტირებ, შენ არ ხარ სატირალია“, „ერთი შვილ მაინც გაგზარდე ვეფხვებთან მეომარია“.

ბალადის გამირი რომ ქებული ვაჟკაცი იყო, ნათლად ჩანს დედის მოთქმის ასეთი ფრაზიდან: „ლაშქარში, მეგობარშია არ იყავ საწუნარია“ (იგივე წყარო, გვ. 7). სადმე გაგონილა, რომ ჭკუნაკლებ კაცს კარგი მოლაშქრის, ან კარგი მეგობრის სახელი ჰქონოდა? მეომარს მკლავის ძალაზე არანაკლებ (თუ მეტად არა) სჭირდება ჭკუა, მოსაზრება.

რაც შეეხება დედის მორიდებულ გამონათქვამებს – „არც ჩემ შვილ შახვდა ჭიანი“, „არ იყავ საწუნარია“ – ეს თავშეკავება (არა ტრაბახი) კაი ყმების ერთ-ერთი აუცილებელი თვისება იყო, რასაც სწორედ ასეთი მანდილოსნები უნერგავდნენ შვილებს.

ჭკუა (მოხერხება) ნათლად ჩანს ჭაბუკის ბოლო, საბედისწერო ბრძოლაშიც. ის გვიან დამით გადააწყდა ვეფხვს. ცნობილია, რომ კატისებრნი ნახტომით დააცხრებიან მსხვერპლს. ვაჟი ინსტინქტურად „ფარსა იფარებს“, რომელიც ვერაფერს შევლის: ვეფხვი იბრძვის ღონიერი ტორებით, ბასრი კლანჭებით... მან ჯაჭვის პერანგი შემოაფლითა ჭაბუკს, რომელსაც უკვე მისხლი სდის. ასეთ ვითარებაში წარმოუდგენლად ძნელია ხმლის ამოღებაც და მოქნევაც, მაგრამ მოყმე ახერხებს ამას. პირველად სწორედ ვეფხვი იღუპება. თვითონ ჯერ ისევ ფეხზეა და, მომაკვდავი, დასაწოდ ადგილს ეძებს, – „თავად კლდის თავზე შემოწვა მოყმე სულამომდინარი“.

ჭაბუკი სწორედ ჭკუამ, საბრძოლო გამოცდილებამ იხსნა უსახელო სიკვდილისგან.

მე ასეთი გრძნობა მაქვს, რომ ეს ლექსი სადღაც წამიკითხავს „ჭიანით“. არა მგონია, ეს ჩემი მიგნება იყოს, იმდენი ცნობილი პიროვნების, ამაგდარი ფოლკლორისტიკის ხელშია გამოვლილი ეს ლექსიცა და მთელი ხალხური შემოქმედებაც. მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, ვერცერთ გამოცემაში, აკაკი შანიძიდან („ხალხური პოეზია“, 1931) და ვახტანგ კოტეტიშვილიდან („ხალხური პოეზია“, 1934) მოყოლებული დღემდე, ჭიანი ვერ ვნახე. სასკოლო სახელმძღვანელოებიც გავსინჯე – ჩემი მოწაფეობის დროიდან (50-იანი წლები) აქამდე, მაგრამ ჭიანს ვერ მივაგენი. ყველგან ჭკვიანია (ან ჯკვიანი, რაც არაფერს ცვლის).



ლიტერატურის რამდენიმე მასწავლებელსაც ვკითხე, როგორ გესმით-მეთქი „არც ჩემ შვილ შახვდა ჭკვიანი“. – ვეფხვს არ უნდა შეებოდაო. როგორ? ადამიანს ხომ მხეცის ყნოსვა არა აქვს, რომელსაც შორიდანვე შეუძლია განსაზღვროს – სად რა ნადირია.

(ესეც ვთქვათ: ის ბრძოლა რომ არ მომხდარიყო, ეს ბაღადა შეიქმნებოდა? ტრაგედიას მოჰყვება დედის გლოვა, და სწორედ მის მოთქმაშია თითქმის ყველაფერი, რითაც ასე ბრწყინავს ეს ხელთუქმნელი ნაწარმოები. თუმცა ჩვენ აქ სხვა საკითხზე ვმსჯელობთ).

ახლა საკუთრივ მხატვრულ-შემოქმედებითი კუთხითაც შევხედოთ საკითხს. ნაწარმოები ხომ მიზანმიმართული უნდა იყოს, ლაიტმოტივთან დაუკავ-

შირებელი დეტალებისა და წიაღსვლების გარეშე თოფს თუ ახსენებ, ეს თოფი უნდა გაგარდესო, უთქვამს მცოდნე კაცს..

რა კავშირშია ჭკუანაკლებობის ხსენება ბაღადის ქარგასთან? არც რაიმეთი მოტივირებულია, და არც რამე განვითარებას პოვებს. მართლაც ხინჯად არის განხეილი ტექსტში. მთელი ბაღადა სწორედ საპირისპიროს გვიჩვენებს.

დაბოლოს, გრამატიკული პოზიციიდანაც შევაფასოთ საეჭვო ფრაზა. სინტაქსური ფორმულა არც-არც, როგორც წესი, ერთი და იმავე კატეგორიის მოცემულობას (მოქმედებას, მდგომარეობას, თვისებას) უარყოფს:

„არც არავის ყმა ვყოფილვარ, არც არავინ ყმად მყოლია“ (ხალხური). ორივე მხარეს უარყოფილია ერთი და იგივე მდგომარეობა, ყმობა.

„არცა დააგდო ტირილი, არცა რა გაიგონა მან, არცა გახლიჩა ბაგეთათ თავი ვარდისა კონამან“ (რუსთველი). აქ სამი არც გვაქვს და სამივეგან ერთი და იგივე – ტარიელის ყურადღებაა უარყოფილი გარშემო მყოფთა მიმართ.

„ღმერთმა ხომ იცოდა, რომ არც ერთი იყო არაბი და არც მეორე – ვენეციელი“ (უიარაღო, „მამულუკი“). ორივე მხარეს ერთი და იგივე, ეროვნული კუთვნილებაა უარყოფილი.

განსახილველ ფრაზაში კი დარღვეულია კანონზომიერება: ერთ მხარეს სისუსტეა უარყოფილი, მეორე მხარეს – გონიერება... კანონზომიერება ადღებება, თუ ჭკვიანი კი არა, ჭიანი გვექნება ტექსტში, – ორივე მხარეს სისუსტე იქნება უარყოფილი.

ყველაფერი იმაზე მატყველებს, რომ ჭკვიანი არ უნდა ჰქონოდა ამ სტრიქონების გამომოქმედლს.

მაგრამ პირველსავე მოქმედს შეიძლებაოდა ჭიანი ჭკვიანად აღექვა. მოქმელი კი რამდენი იყო, სანამ ბაღადა ჩაიწერებოდა. ჩამწერის შეცდომაზე არ არის გამორიცხული. ამიტომ შეცდომები იშვიათი როდია. მაგალითად, ვახტანგ კოტეტიშვილის ხსენებულ გამოცემაში ვკითხულობთ: „შავვარდი ვეფხვსა ნაწილსა“, „ხმაღმა დაკუნა ძვალისა“, რაც სათანადოდ იქნა გასწორებული (ნაწილსა, დაკუნა) სხვათა გამოცემებში.

ჭკვიანს ვარიანტის დონეზეც არა აქვს არსებობის უფლება, იმდენად უაზროა მოცემულ კონტექსტში.

ეს ლექსი თარგმნილია რამდენიმე ენაზე. კარგია, თუ მთარგმნელებმა გვერდი აუარეს ამ უადგილო ჭკვიანს და შეუღალხავად გადაიღეს ნაწარმოების გმირული პათოსი.

ჩემი წინადადება ასეთია: მიეთითოს ბიბლიოთეკებს – სათანადოდ შეასწორონ ეს ლექსი თავიანთ ფონდებში (შავი, გაუხუნარი მეღნით), რათა მომდევნო გამოცემებში მექანიკურად არ გადავიღეს დაუკვირვებლობით გამრუდებული ფრაზა.

აუცილებელია ტექსტის შესწორება სასკოლო სახელმძღვანელოებშიც.



მაიტხველათან მუშაობა

სამკითხველო დარბაზები მკითხველთა სამსახურში

(№42 ბიბლიოთეკაში)

მანანა ხაჩიჭაშვილი

იანე ბობოჩაძე

ჯეთიან ნუაიძე

„მეცნიერება არის კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის ერთობლიობა“, ხოლო ბიბლიოთეკა ამ ცოდნის საცავს წარმოადგენს.

ბიბლიოთეკათმცოდნეობასა და საბიბლიოთეკო პრაქტიკაში მკითხველებთან მუშაობას წამყვანი ადგილი უკავია. აქ კითხვა განხილვა როგორც საზოგადოებრივი მოთხოვნაა, ხოლო ბიბლიოთეკა ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების ორგანიზატორია.

მკითხველებთან მუშაობა ბიბლიოთეკაში განსაკუთრებული ინტენსივობით წარმოებს სამკითხველო დარბაზებში.

სამკითხველო დარბაზი ეწოდება ბიბლიოთეკის ისეთ სტრუქტურულ დანაყოფს, სადაც მკითხველები მუშაობენ იმ ლიტერატურაზე, რომელიც მათ ადგილობრივი სარგებლობისათვის ეძლევათ. დარბაზებში მკითხველები ამუშავებენ არა მარტო წიგნებს, არამედ პერიოდულ, კარტოგრაფიულ, გრაფიკულ გამოცემებს, მუსიკალურ ლიტერატურას, აუდიოვიზუალურ საშუალებებს.

აბონემენტთან შედარებით დარბაზს ის უპირატესობა გააჩნია, რომ აქ მკითხველს იმ ფონდით შეუძლიათ სარგებლობა, რომელთა სახელში გატანა ბიბლიოთეკის შინაგანწესით აკრძალულია, პირობითად მას დარბაზული მომსახურება ეწოდება. მკითხველთა მოთხოვნების დაკმაყოფილება მიმდინარეობს როგორც დარბაზში, ისე აბონემენტზე, რაც აბონემენტისა და დარბაზის წინაშე მდგარ ამოცანებს აერთიანებს.

მკითხველთა უმეტესობა დარბაზში სასწავლო პროფესიული მიზნებით მუშაობს. მკითხველთა ნაწილი კი დარბაზში მხოლოდ პერიოდიკის გასაცნობად მოდის. დარბაზსა და აბონემენტს შორის კიდევ ის ძირითადი განსხვავება არის, რომ აბონემენტზე განსაზღვრული რაოდენობის წიგნები გაიცემა, ხოლო დარბაზში არც რაოდენობა და არც განსხვავებული სახის ლიტერატურის გაცემა შეზღუდული არ არის. აქ მკითხველებს შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკის მთელი ფონდით, მიიღონ ბიბლიოთეკარისა და ბიბლიოგრაფის კონსულტაცია ოპერატიულად, გარდა ამისა, ბიბლიოთეკარი აკვირდება მკითხველის ზრდას და მისი



ინტერესების შესწავლას ბიბლიოფსიქოლოგიაში მიღებული ლოგიკური ნორმების მიხედვით, როგორცაა სწავლა ზოგადიდან – კერძობითისაკენ, ნაცნობიდან – უცნობისაკენ, ადვილიდან – რთულისაკენ.

მკითხველთა კატეგორიების მიხედვით არსებობს: 1. საერთო, 2. სპეციალიზებული, დარბაზები ფონდის შემადგენლობის მიხედვით: უნივერსალური და დარგობრივია. აგრეთვე არსებობს კარტოგრაფიული, გრაფიკული გამოცემების, მუსიკალური, ბიბლიოგრაფიული გამოცემების, მიკროფილმების და სხვა. ბოლო წლებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დარბაზების კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვას.

დარბაზების ეფექტური მუშაობა დიდად არის დამოკიდებული გამოფენების მოწყობის ორგანიზაციაზე, რომლებიც ეძღვნება მნიშვნელოვან ისტორიულ თარიღებს: გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებას და ახალი წიგნების მიღებას ბიბლიოთეკაში. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ გამოფენები ხელს უწყობს ბიბლიოთეკის ფონდის გახსნას კითხვადობისა და ბრუნვადობის კოეფიციენტის ზრდას.

42-ე ბიბლიოთეკაში გვაქვს ორი სამკითხველო დარბაზი: 1. საბავშვო I-IX კლასის მოსწავლეთათვის, 2. მოზრდილთა ყველა კატეგორიის მკითხველთათვის. ორივე დარბაზი არის საერთო, სადაც მუშაობენ ყველა კატეგორიის, ასაკისა და პროფესიის ადამიანები.

საბავშვო ბიბლიოთეკაში მომსახურება დიფერენცირებულია, რადგან აქ სამკითხველო დარბაზში პირველი კლასის მოსწავლე მისთვის უცნობ სამყაროში პირველად შემოდის. ბიბლიოთეკარის პროფესიონალიზმსა და ქცევის კულტურაზე დიდად არის დამოკიდებული ბავშვის ადაპტაცია ბიბლიოთეკაში, აუცილებელია ბიბლიოთეკარისაგან თბილი და ფაქიზი დამოკიდებულება მოსწავლისადმი, გასაუბრებას მასთან თან უნდა ახლდეს ღამაზად დასურათებულ წიგნების გაცნობა, რომლებიც თვალსაჩინოდ უნდა იყოს გამოფენილი დარბაზში. აქვე აუცილებელია მკითხველისათვის წიგნით სარგებლობის წესების გაცნობა, კითხვის კულტურის თანმიმდევრული ჩამოყალიბება, მოგზაურობა ნაცნობი თუ უცნობი ზღაპრების სამყაროში

II-III კლასის მოსწავლეებს, ჩვენი ბიბლიოთეკის პრაქტიკიდან გამომდინარე, ძირითადად აინტერესებთ ზღაპრები, პატარა ლექსები და მოთხრობები. ბიბლიოთეკარი ყურადღებით აკვირდება მათ ინტერესებს, მოთხოვნილებებს და აუცილებელია გემოვნებით შეურჩიოს ბიბლიოთეკაში არსებული მისთვის საინტერესო ლიტერატურა.

IV-V კლასის მოსწავლეების უმეტესი ნაწილი ცდილობენ არ შემოიფარგლონ სკოლის სახელმძღვანელოში არსებული მასალით ან მასწავლებლის მითითებით და ბიბლიოთეკარის აქტიური დახმარებით და თავიანთი სურვილით გაიმდიდრონ და აიმაღლონ ცოდნის დონე. აქ აუცილებელია ბიბლიოთეკარის მიერ მოსწავლისათვის შერჩეული იქნეს ინფორმაცია ამა თუ იმ მწერალზე, მხატვარზე, მუსიკოსზე, გამოჩენილ ადამიანებზე, ცხოველებზე, ისტორიულ ძეგლებზე და სხვა

VI-VII-VIII კლასის მოსწავლეები უკვე კარგად ფლობენ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, თანდათან უყალიბდებით ინტერესები და ამ შემთხვევაში ბიბ-

ლიოთეკარის როლი – შეარჩიოს მათთვის საინტერესო თემაზე აქტუალური ლიტერატურა გადაწყვეტა.

2014 წელს საბავშვო განყოფილების დარბაზი მოემსახურა 337 მკითხველს, დასწრება შეადგენდა 3188, გაცემა შეადგენს 3447 ეგზემპლარს. მომავალში იგეგმება საბავშვო განყოფილების კომპიუტერული ტექნიკითა და საცნობარო ლიტერატურით შევსება.

42-ე ბიბლიოთეკა ემსახურება ლოტკინის დასახლებაში მდებარე 129-ე, 190-ე და წმ. მეფე თამარის სახელობის სკოლა პანსიონის მოსწავლეებს, რომელთა უდიდესი ნაწილი არის ჩვენი ბიბლიოთეკის მოზრდილთა განყოფილების მკითხველები. კოორდინაციულ მუშაობაში ერთობლივად ამ სკოლის ბიბლიოთეკარებთან ერთად ვატარებთ მასობრივ ღონისძიებებს: ხატვის კონკურსებს, ვიქტორინებს, შემოდგომის ზეიმს, ლიტერატურულ საღამოებს, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი ბიბლიოთეკის თანამშრომლის შვილები და შვილიშვილები. ასეთი ურთიერთშეთანხმებული და ერთობლივი მუშაობა ხელს უწყობს მოზარდებში საბიბლიოთეკო კითხვისადმი დაინტერესებასა და წიგნის სიყვარულის აღზრდას.

დარბაზს ესაჭიროება საცნობარო-სარეკომენდაციო ფონდით გამდიდრება და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა.

№42 ბიბლიოთეკის დარბაზი მოზრდილთათვის ემსახურება ზემოთჩამოთვლილი სკოლების გარდა გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებს და მიკრორაიონში მცხოვრებ ყველა კატეგორიის მკითხველებს. მიკრორაიონში ქართველების გარდა ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები: რუსები, სომხები, იუზიდები, აზერბაიჯანელები და სხვა. ისინი ჩვენი ბიბლიოთეკის აქტიური და სასურველი მკითხველები არიან. ამ ბიბლიოთეკაში აღიზარდნენ ცალკეული ოჯახების მთელი თაობები: მშობლები, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და სხვა.

გასულ წელს თბილისის მერიისა და მთავარი ბიბლიოთეკის ძალისხმევით სამკითხველო დარბაზში დაიდგა ახალი კარადები, რომელმაც კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა დარბაზის დიზაინი. ამან საშუალება მოგვცა დარბაზის თანამშრომლებს გაგვეწმინდა, გაგვეშალა და განყოფილებების მიხედვით მოგვეთავსებინა არა მარტო ჩვენი, არამედ შემოერთებული №31 ბიბლიოთეკის დარბაზის ფონდი. ეს ფაქტი ყველა წინასწარი მონაცემით გაზრდის მკითხველთა რაოდენობას და დარბაზის ფონდის ბრუნვადობის კოეფიციენტს.

2014 წელს მოზრდილთა სამკითხველო დარბაზი მოემსახურა 500-მდე მკითხველს, რომელიც გვემაზე მეტია. მკითხველთა დასწრება 3722, ხოლო წლის განმავლობაში ისარგებლეს 4726 ერთეულით, რომელშიც შედიოდა არა მარტო წიგნები, არამედ პერიოდიკა და უმეტესი მათგანი სარგებლობდა კომპიუტერული მომსახურებით. დირექცია გვპირდება, რომ შემდგომში კომპიუტერების რაოდენობა გაიზრდება. აუცილებელია აღინიშნოს დარბაზის მკითხველთა აქტიურობა ჩვენს მიერ შემოდებული სოციოლოგიური კვლევის ჩატარებისას, რომელიც ტრადიციად იქცა ბიბლიოთეკაში და გვეხმარება არსებული პრობლემების გამოვლენასა და გამოსწორებაში.

ბავშვთა ჯიოსვა

ყურადღება, ბიბლიოთეკაში ბავშვი მოვიდა

ნანაიი იუხსანაშვილი

„**ბ**ავშთა საბიბლიოთეკო მომსახურებას საქართველოში მდიდარი ტრადიციები გააჩნია. ამის ნათელსაყოფად შეიძლება მოვიხმოთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული სტატიები, ბავშვთა კითხვის ამსახველი მასალები. ბავშვ მკითხველს იმთავიდანვე ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაარსებულ სახალხო სკოლებში. ქართველი ავტორების მიერ იწერებოდა ყმაწვილთათვის განკუთვნილი ნაწარმოებები. ქართველი კლასიკოსების შემოქმედებაში ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა საბავშვო ნაწარმოებების შექმნას. ქართულ საბავშვო ლიტერატურას გააჩნია მდიდარი ისტორია; ამ ნაწარმოებებზე აღიზარდა და დღესაც იზრდება ქართველი ბავშვი, ბევრ მათგანს ყრბაში წაკითხული კვლავ იზიდავს, ხელმეორედ კითხულობს.

ბიბლიოთეკაში ბავშვი მკითხველის მოსვლას გულთბილად ხვდებიან ბიბლიოთეკარები. საუბრობენ მასთან, ურჩევენ მისი ასაკისათვის საინტერესო გამოცემებს, ზღაპრებს, ილუსტრირებულ მასალებს. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ბიბლიოთეკაში პირველად მოსული ბავშვი. იგი ცნობისმოყვარეობით აკვირდება ბიბლიოთეკის გარემოს, წიგნების გამოფენებს, ყველა სახის თვალსაჩინოებას, რაც საბავშვო წიგნს და ბავშვთა კითხვას უკავშირდება. ბიბლიოთეკარი ღიმილით ხვდება პირველად შემოსულს მასთან საუბრისას არკვევს მის საკითხზე ინტერესს. ბიბლიოთეკარს კარგად ახსოვს, რომ ბავშვთა დიდი ნაწილი სწორედ ოჯახში ეზიარება კლასგარეშე ლიტერატურას; ოჯახურ გარემოს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის მკითხველად ჩამოყალიბების პროცესში. ოჯახების დიდ ნაწილს, სადაც ბავშვი იზრდება, გემოვნებით შერჩეული საბავშვო წიგნები გააჩნია. სწორედ ოჯახიდან ეჩვენა ბავშვი კლასგარეშე წიგნების კითხვას. ბიბლიოთეკარი პირველ საუბარში არკვევს ბავშვის მიდრეკილებას, მის ინტერესს წიგნისადმი. აზუსტებს, რა აქვს წაკითხული, რომელი უნარის ნაწარმოებები მოსწონს, რომელი პერსონაჟები ახსოვს და ა.შ. თუ ბიბლიოთეკაში პირველად მოსულ ბავშვს არაფერი არა აქვს წაკითხული, გარდა სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ტე-

მიმართულებას გულისხმობს: პირველი, რომ ბიბლიოთეკარმა დააზუსტოს რა უნარის, რომელი მწერლის ნაწარმოებით შეიძლება დაინტერესოს მკითხველი, მეორე – ბიბლიოთეკარი ახლოს უნდა გაცენოს ბავშვს, როგორც პიროვნებას, ჩაწვდეს მის სულიერ სამყაროს როგორც შეუძლია ისეთი ტაქტიკითა და სიფრთხილით, რომ ბავშვმა ნაკლებად იგრძნოს პირველი შეხვედრის უხერხულობა. ბიბლიოთეკარი ფრთხილად, გარკვეული ტაქტიკით წარმართავს პირველ საუბარს. საუბარი არ უნდა ატარებდეს გამოკითხვის ხასიათს, გამორიცხულია კატეგორიული ტონი. პირველი საუბრის შემდეგ ბიბლიოთეკარი სთავაზობს შერჩეულ წიგნს, უხსნის, თუ რატომ შეურჩია ეს გამოცემა; ბავშვმა ამ შემთხვევაში უნდა გამოიჩინოს გარკვეული ინტერესი შერჩეული წიგნისადმი. პირველი წიგნის გაცემას ასევე უნდა გააჩნდეს სარეკომენდაციო ხასიათი. აფორმებს რა წიგნს მკითხველის ფორმულარში, ბიბლიოთეკარი გზადაგზა უხსნის ბავშვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს. შეუძლებელია პირველად მოსულ ბავშვს ბიბლიოთეკარმა დაავალოს, თუნდაც სთხოვოს შთაბეჭდილების დაწერა წაკითხულზე. შთაბეჭდილების წერა უფრო მოზრდილ ბავშვთან, საშუალო და უფროსი კლასების მოსწავლეებთან არის შესაძლებელი, ის ბავშვი მკითხველი, რომელიც გარკვეული პერიოდის მანძილზე სარგებლობს ბიბლიოთეკით, ხალისით წერს შთაბეჭდილებას, მონაწილეობს საბიბლიოთეკო ღონისძიებებში, დამოუკიდებლად ირჩევს მისთვის საჭირო და საინტერესო გამოცემებს.

ბიბლიოთეკარის პედაგოგიური ტაქტი, მისი უნარი ბავშვთან მუშაობისას მელაენდება სწორედ ბიბლიოთეკაში პირველად მოსულ ბავშვთან ურთიერთობის პროცესში. ბიბლიოთეკარი საამისოდ წინასწარ ემზადება, იცის, როგორ წარმართოს პირველი საუბარი ისე, რომ დიდი დრო არ დაკარგოს და მიიღოს საჭირო მონაცემები ბავშვი მკითხველის შესახებ, რათა შემდგომში გაუადვილდეს მასთან მუშაობა. პირველი საუბრის კონსტრუქციულად წარმართვა სწორედ რომ ხელშეწყობაა. აქ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ბიბლიოთეკარის სამეტყველო კულტურას, მის უნარს – ბავშვის საკითხავი ინტერესი და შემდეგ ჩამოაყალიბოს საკუთარი შეხედულებაზე ისეთი კრიტერიუმებით, რომელიც მას გაუადვილოდეს სხედილობა, რომელი წიგნი შეურჩიოს ბავშვს.

ბიბლიოთეკაში პირველად მოსულ ბავშვს შეიძლება გავაცნოთ მისი ასაკობრივი ჯგუფისათვის განკუთვნილი გამოცემები, რომლებიც ცალკეა გამოყოფილი თაროზე. ამ დროს დიდია ბავშვის ცნობისმოყვარეობა. ბავშვს აინტერესებს ფერადყდიანი, ილუსტრირებული გამოცემები, მსხვილი შრიფტით, ფერადოვანი ასოებით გაფორმებული ტექსტები. ბიბლიოთეკარი ყოველდღიურად აკვირდება ბავშვის ყოველ მოძრაობას, აინტერესებს რომელ წიგნზე შეაჩერა დიდხანს ბავშვმა ყურადღება, რომელი დააბრუნა თავის ადგილზე გადაფურცვლის გარეშე. დამოუკიდებლად წიგნის არჩევის პროცესი ბიბლიოთეკარისაგან მოითხოვს, ერთის მხრივ, წიგნის შინაარსის გააზრებას, მის შესაბამისობას ბავშვის ინტერესთან და, მეორე მხრივ, იგი აკვირდება ბავშვს, ეცნობა მის ინტელექტუალურ დონესა და შესაძლებლობებს, თუ რამდენად შეესატყვისება მის მიერ არჩეული წიგნი ბავშვის საკითხავ ინტერესს, ბიბლიოთეკარი თანმიმდევრულად უზრუნველყოფს ბავშვს წინასწარ შერჩეული გამოცემებით. ამ პროცესში ფრიად მნიშვნელოვანია პედაგოგიაში მიღებული მეთოდები: ადვილიდან რთულზე, ნაცნობიდან უცნობზე გადასვლის ხერხი, რომელიც ასე აუცილებელია ბავშვთა კითხვის სწორი კალაპოტით წარმართვის პროცესში.



ქსტებისა, ბიბლიოთეკარი უფრო რთული ამოცანის წინაშე დგება. ამ შემთხვევაში პირველი წიგნის შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის, როგორც მკითხველის ჩამოყალიბების პროცესში. პირველი საუბარი ამ შემთხვევაში ორ

ჩვენი პატარა საამაყო მეზობარი

ათუხ აუანიძე

მომდინარე წლის 27 იანვარს თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში გაიმართა ლიტერატურული საღონის „საგულისონის“ (ხელმძღვ. ც. ქოჩეჩაშვილი) საღამო, მიღწეული თბილისის 175-ე საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლის ლელა თოთაძის პოეტური შემოქმედებისადმი. 17 წლის მოსწავლე – პოეტი სანიმუშო მოსწავლეა, მისი მრავალმხრივი ნიჭიერება სკოლისა და ბიბლიოთეკის ჩარჩოებს გასცდა.

ლექსების წერა მან ადრეული ბავშვობიდან დაიწყო. ჯერ კიდევ მეორე კლასში იყო, რომ გამოქვეყნდა პატარა კრებული „ოცნება“, რომლითაც ნორჩი პოეტი თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში ლიტერატურულ საღონში წარსდგა მკითხველთა წინაშე. ამის შემდეგ ის ამ ბიბლიოთეკის ყველაზე აქტიურ მკითხველად იქცა და დღემდე სისტემატური ურთიერთობა აქვს მასთან.

გადიოდა წლები. გოგონა გაიზარდა, დაიხვეწა, უამრავი ლექსითა და ჩანახატით, ზღაპრითა და მოთხრობით გაამდიდრა თავისი შემოქმედება. მისი ლექსები პერიოდულად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში: „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „ჩიორა“, „რაეო“, გამოქვეყნდა კრებულებში: „ლექსო, ზიარო სულისა“, „ჩემი ვაჟა“, „ოდიშხერი“, „ჩემი თავგადასავალი“ და სხვ.

ლელას სხვადასხვა მნიშვნელოვან კონკურსში წარმატებით აქვს მიღებული მონაწილეობა. ასეთებია, მაგალითად: მთავარი ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებული ნორჩ მკითხველთა შემოქმედებითი კონკურსი (2010); წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ქართული ენისა და ლიტერატურის ოლიმპიადა (2011); მწერალთა კავშირისა და ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ერთობლივი ლიტერატურული კონკურსი (2014); განსაკუთრებით საგულისხმო იყო რევაზ ინანიშვილის სახელობის კონკურსში მონაწილეობა და პრიზი მონაწილეობისათვის „ორი თოლია“... აი, სწორედ ეს

უკანასკნელი გახდა მიზეზი თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში ლელას შემოქმედებითი საღამოს გამართვისა.

საღამოს უძღვებოდა საღონ „საგულისონის“ ხელმძღვანელი ცისანა ქოჩეჩაშვილი. დონისძიებას მრავალი სტუმარი ესწრებოდა. დამსწრენი სიამოვნებით უსმენდნენ ბავშვური ხმით, მაგრამ ღრმა გონიერებითა და შინაარსით შეთხზულ ლექსებს.

მრავალფეროვანია ლელას შემოქმედება. მთავარი თემა სამშობლოა. თავისი ქვეყნის სიყვარული ახალგაზრდა პოეტ ქალიშვილს სკოლაში შესვლის დღიდან მოსდევს. გულიდან გამოსული მისი ლექსები მთელ ქართულ სამყაროსაც ეხმიანება და მშობლიურ მიწა-წყალს შეწირული ვაჟკაცების დედების ცრემლებს.

დარბაზი გულისყურით უსმენდა ნიჭიერ, მგზნებარე პოეტ ქალიშვილს. ყველა აღფრთოვანებული იყო ახალგაზრდა შემოქმედით.



სიტყვით გამოვიდნენ: ლელას კლასის ხელმძღვანელი ნანა ოკუჯავა, მსახიობი ლამზირა ჩხეიძე, პროფ. ინგა ფილაური-ლორია, ჟურნალისტი თამრიკო კაპანაძე. ახალგაზრდა პოეტის ლექსები წაიკითხეს: თამარ მეფის სახ. სკოლა პანსიონატის წარმომადგენელმა ლუკა ლომსაძემ, სკოლა „ივერიის“ წარმომადგენელმა გ. ხუცურაულმა, გელოვანის სახ. ბიბლიოთეკის მკითხველებმა ანა და გურამ ლაფაჩებმა, თამარ ბაინდურაშვილმა და სხვებმა.

სადამო დაამშვენა თბილისის მოსწავლეთა ეროვნული სახლის ხალხური სიმღერის გოგონათა ანსამბლმა (ლოტბარი ნანა ცხვარაძე).

დასასრულ, ლელამ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და გამოთქვა იმედი, რომ ის მთელი ძალით ეცდება გაამართლოს ეს პატივისცემა, რომელიც მას დამსწრეებმა მიაგეს.

ჩვენი რედაქცია ამ ღონისძიებას ესმაურება იმით, რომ მკითხველებს ვთავაზობთ ლელა თოთაძის 2 ლექსს, რომელიც ავტორმა თავად გააცნო მსმენელებს.

ჩემშია ლექსი...

ჩემშია ლექსი...

მე კი მასში ჩუმად ვიხრჩობი,

ჩემს გულში ცივა...

სად არის ღმერთი?!

მზეს ეშინია, მე კი სიტყვით სიყვარულს ვწონი,

ნელა ჩამოდის მდუმარების

დღისფერი ცრემლი...

ჩემშია ლექსი!

ააელვებს ღიმილით ქუჩებს,

ცეცხლს წაუკიდებს გრძნობებს ცრემლის პატარა წვეთი.

სადაც სევდაა, სიხარულიც იქნება იქვე.

სადაც ცრემლია, იქ ღიმილიც იქნება ერთი...

ჩემშია ლექსი!

ზამთრის ღამე

ამ ღამით ქუჩებს სითეთრე მოსავს, ფიფქების მტვერში ავდარი ხვნეშის, და გამვლელები ზამთრის სუსხისგან იმალებიან თბილ ქურთუკებში.

ქარის ზუზუნში ჭაღარა კაცი გათოშილ ხელებს ბურტყუნით ისრეს, რომ ხელთათმანიც კი ვეღარ აღდობს სიცივისგან გაყინულ თითებს.

ამ დაუნდობელ, უგულო ღამით უბედურ მგზავრებს უხმოდ მიჰყვება ფანჯრის მინაზე შუბლმიდებული ცხრა წლის გოგონას ბავშვური მზერა.

ყოველი წამი გრძელდება წლობით და საუკუნის მდინარეს ერთვის, ზეცას მომწყდარი ობოლი ფიფქი მისი ოთახის ფანჯარას ეკვრის.

მთვარე ივსება სამყაროს ღვინით, შორს, მომავალში, მას რომ დაათრობს, ნეტავ, საზამთროდ ქურქი მოისხას, თორემ ცხოვრების ფიფქი დაათოვს.

ის ცხრა წლისაა, და ჯერ არ იცის, რომ ყოველ ნაბიჯს ბრძოლა მოჰყვება.

უცხო ნადველით გასცქერის გამვლელთ, სანამ დედოკო ზღაპარს მოყვება.

სუსხიან ქარის უგულო სტვენა ვერაფრით აღწევს მის ცხოვრებამდე, ფიქრობს ზაფხულზე და მოგზაურობს ოცნებებიდან ოცნებებამდე...

ამ ღამით დაძრწის ქუჩებში ქარი, დგება ფიქრების კორიანტელი,

მისი ფანჯრიდან ფიფქებად მოდის ბრმა ოცნებების მკრთალი ფანტელი.

მდუმარე ქუჩებს მოსავს სითეთრე, და მთვარის შუქზე ავდარი ხვნეშის, გამვლელები კი ზამთრის სუსხისგან მალავენ გულებს თბილ ქურთუკებში.

ბიბლიოთეკა ცხოვრების კვალდაკვალ

(თბილისის №7 საქალაქო ბიბლიოთეკა)

თიხი ქაუშაძე

სხალი საზოგადოებრივი ფორმაციის დამკვიდრების პერიოდში, ბევრი რამ შეიცვალა ადამიანთა ცხოვრებაში. ისევე როგორც საზოგადოების მომსახურების სხვადასხვა სფეროები, მათ შორის საჯარო ბიბლიოთეკებიც. ისინი ეძებენ მკითხველთა მომსახურების ინოვაციურ ფორმებსა და მეთოდებს. სასურველია არ ჩამოვრჩეთ იმ ახალ გამოწვევებს, რაც ცხოვრებამ შემოგვთავაზა. წლის დასაწყისშივე განისაზღვრა ბიბლიოთეკის მარკეტინგული სტრატეგია, რაც გულისხმობდა როგორც არსებული, ასევე პოტენციურ მკითხველთა მოთხოვნების შესწავლას, საინფორმაციო წყაროების დროულ მიწოდებას, განახლებასა და კრეატივს. ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა, ახალი საინფორმაციო წყაროები, მომსახურების მასშტაბი, კომპიუტერული ტექნიკა, კვალიფიციური კადრები – ეს ყველაფერი ერთად იყო ის კომპონენტები, რომელმაც უზრუნველყო წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის წარმატებული მუშაობა. ტრადიციული საბიბლიოთეკო ფორმების (გამოფენები, საუბრები, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, სარეკლამო, საინფორმაციო ფურცლები, ახალი წიგნების პრეზენტაციები, შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან, სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებები) გარდა ბიბლიოთეკა ჩართული იყო ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე სხვადასხვა სოციალურ აქციაში. ასეთი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წამოწყებული აქცია „არა – ბიო ნარკოტიკს“. მომზადდა ღონისძიება. „ჯანმრთელი ცხოვრების წესი“. ამ თემაზე ძალიან საინტერესო ლექცია წაიკითხა მოწვეულმა სტუმარმა, ჯანმრთელობის ექსპერტმა ინა ვაჩიბერიძემ. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს რაგბის ნაკრების წევრები – შალვა მამუკაშვილი, გიორგი ბეგაძე, დავით გურგენაძე, რომელთაც უპასუხეს მსმენელთა შეკითხვებს და მოუწოდეს ახალგაზრდებს იცხოვრონ ჯანმრთელი ცხოვრების წესით.

ბიბლიოთეკა გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ერთობლივ აქციას „მწვანე მომავალი“. მოეწყო გამოფენა „მწვანე სამყარო“. დაუკავშირდით სამინისტროს და მათ მიერ გადმოცემული 20 მუხის ნერგი დაერგეთ დიდმის ტერიტორიაზე. ასევე ჩავერთეთ საზოგადოებაში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ აქციებში. საღამოზე „არა ძალადობას“ მოწვეულ იქნა რეჟისორი ბიძინა რაჭველიშვილი ფილმით „ლომა“.

გაიმართა დისკუსია ძალადობაზე რეჟისორს, კინომცოდნე ლ. გელაშვილსა და მაყურებელს შორის. აქციით „ქალზე ძალადობა დანაშაულია“ გაკეთდა პლაკატი და მოწოდება საქართველოს ბიბლიოთეკარებისადმი ამ პრობლემის წინააღმდეგ გაერთიანებისაკენ.

მონაწილეობა მივიღეთ პროექტში „მოსხვილადე წიგნები“. ასევე ბიბლიოთეკის ნორჩ მკითხველებთან ერთად აღინიშნა დაუნიზმის საერთაშორისო დღე. მოეწყო გამოფენა „ჭრელი წინდები“.

წლის ბოლოს ბიბლიოთეკა შეუერთდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თვით მართველობის და GMB CLUB-ის ერთობლივ საქველმოქმ-



ედო აქციას საახალწლო საჩუქრები გადავცით 17 (აქედან 12 ბავშვი) წვერისაგან შემდგარ სოციალურად დაუცველ ოჯახს. ამ აქციებში მონაწილეობით ბიბლიოთეკის მიზანი იყო გვეჩვენებინა ბიბლიოთეკის გახსნილობა, ჩართულობა, სოლიდარობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი. ვყოფილიყავით ფოკუსირებული ინოვაციებზე, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ბიბლიოთეკა-ბექტრანუნდის – ამაღლებას. 2014 წელს ბიბლიოთეკაში მომზადდა ორი პროექტი. 1) „წიგნი სულის საზრდო“ – გათვლილი სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეებზე, ბავშვებზე, პენსიონერებზე, რომლებიც ობიექტური მიზეზების გამო (ჯანმრთელობა) ვერ ახერხებენ ბიბლიოთეკაში სიარულს, თუმცა აქვთ თანამშრომლობის სურვილი.

დასაწყისში საკორდინაციო ჯგუფის მიერ მოხდა ბენეციფიარების მოძიება გაცნობა სურვილების დაფიქსირება ანუ საინფორმაციო ბაზის ჩამოყალიბება შემდგომ კი დაიწყო მათი უზრუნველყოფა ბიბლიოთეკაში არსებული მათთვის საინტერესო წყაროებით. პროექტის ფარგლებში საქმიანი ურთიერთობა დავამყარეთ დილომში არსებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სკოლასთან. „პირველი ნაბიჯი“ პროექტის ეს ნაწილი ხორციელდებოდა ლადო ასათიანის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკასთან ერთად. ორივე ბიბლიოთეკა გაერთიანებული ძალებით ვაწვდიდით მათ საბავშვო წიგნებს, ჟურნალებს. სკოლა სტუმრობდა ლადო ასათიანის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკას სადაც მათ სახეიმო, საინტერესო შეხვედრა მოუწევს. სამწუხაროდ, პანდუსის უქონლობის გამო ჩვენთან მათი სტუმრობა ვერ მოხერხდა. წლის ბოლოს ჩატარებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ გარდა საინფორმაციო წყაროებით უზრუნველყოფისა, შეხვედრებისა, ზემოთ ჩამოთვლილ ბენეფიციარებს საზოგადოებასთან ადაპტირების ჩართულობის სასიამოვნო შესაძლებლობა მიეცათ. პროექტი გაგრძელდება 2015 წელსაც. ბიბლიოთეკა გამოეხმაურა გამომცემლობა „დიოგენეს“ ინიციატივას, რომელმაც 2014 წელი წიგნიერების წლად გამოაცხადა. ლიტერატურის პოპულარიზაციისა და მკითხველთა მოზიდვის მიზნით, მომზადდა პროექტი „წიგნით საზოგადოებისაკენ“. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ ბიბლიოთეკის გარშემო მყოფი ორგანიზაციების, დაწესებულებების, მარკეტინგების, ბანკების თანამშრომლები. ისინი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების გამო, შეზღუდული არიან დროში და ვერ ახერხებენ ბიბლიოთეკის საგანძურით სარგებლობას, მიუხედავად მათი დიდი სურვილისა. საინფორმაციო ბაზის შექმნის შემდეგ მათ მიეწოდებოდათ ჩვენი ფონდის შესაბამისი დაბეჭდილი კატალოგები. არჩევანის შემდგომ ხდებოდა ადგილზე მომსახურება პროექტის ანალიზმა აჩვენა, რომ წლის განმავლობაში ბევრად გაიზარდა ბიბლიოთეკის ცნობადობა.

გაიზარდა მომსახურების არეალი, მკითხველთა რაოდენობა, წიგნის ბრუნვა, ამდღა მკითხველთა ხარისხობრივი კონტიგენტი და ბოლოს „მომსახურება ადგილზე მიტანით“ – სასურველი და სასიამოვნო აღმოჩნდა სამიზნე ჯგუფისათვის, რამაც მოგვცა საფუძველი პროექტის შემდგომ წელსაც გაგრძელებისა. ასევე 2014 წელს ბიბლიოთეკაში შეიქმნა კინო-კლუბი „დავსხდეთ სამოვართან და ვისაუბროთ კინოხელოვნებებზე“, (წამყვანი – კინომცოდნე ლევან გელაშვილი. ფილმების ჩვენების მერე მიმდინარეობდა დისკუსია წამყვანსა და მსმენებელს შორის. პროცესს თან ახლდა გამოფენა „ფილმად ქცეული წიგნები. კლუბის მუშაობამ კიდევ უფრო კრეატიული განაღდა ბიბლიოთეკის მუშაობა და ამიტომ გადაწყდა ამ მიმართულების განვრცობა. 2015 წელს მას დაემატა ახალი პროექტი „კეთილი ზღაპრების კალათა“, რომელიც თბილისის №11 საბავშვო ბავა-ბაღში მიმდინარეობს. საბავშვო

ბაღის დირექციასთან, ფსიქოლოგთან შეთანხმებით ხდება ფილმებისა და წიგნების შერჩევა სასკოლო ასაკის აღსაზრდელებისათვის. ზემოთ ხსენებული პროექტების მეშვეობით ბიბლიოთეკამ მკითხველთა ყველა ასაკობრივი ჯგუფი მოიცვა საინტერესო და მრავალ ფეროვანი იყო წლისა და საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები. საახალწლო ზეიმი „წელი



ახალწლი“ ლიტერატურულ მუსიკალური კომპოზიცია „ვით უკვდავება დედა ერთია“, პოეტ ვაჟა ოთარაშვილის პოეზიის სადამო „ჩემი ლექსებით შენზე ვლოცულობ“, კონფერენცია „წიგნი ცოდნის საგანძურია“.

წმინდა ნიკოლოზის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მხატვრის ნიკოლოზ კოკაიას ნამუშევრების გამოფენა.

საბიბლიოთეკო კვირეულის ღონისძიებები: ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „ვისი გორისა ხარ. „(მხარეთმცოდნეობა) ასევე ლიტერატურულ მუსიკალური კომპოზიცია „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“ (საქართველოს ტერიტორიების დაკარგვით გამოწვეული ტკივილი), ლიტერატურული სადამო „სევდის შემგროვებელი“ – (მიძღვნილი გ. ჩოხელის შემოქმედებისადმი). განსაკუთრებით მინდა გამოვეყო ჩეხეთის საელჩოს თანადგომით საბიბლიოთეკო

კვირეულის და ევროპის დღეების ფარგლებში მოწუბილი ჩეხეთის ლიტერატურის კვირეული. იგი დაგვირგვინდა ღონისძიებით „მორალისტი პოლიტიკოსი“, მიძღვნილი ჩეხეთის რესპუბლიკის ეროვნული გმირის პირველი პრეზიდენტის ვაცლავ შაველის ხსოვნისადმი. სადამოს ესწრებოდნენ ჩეხეთის საელჩოს სრული წარმომადგენლობა, ჩეხეთის რესპუბლიკის სრულფუნქციონირებელი ელჩი ტომაშ პერნიცკის ხელმძღვანელობით. მანვე გააკეთა საინფორმაციო ხასიათის პრეზენტაცია „ვიმოგზაუროთ ჩეხეთში (ფოტო სტენდების მეშვეობით) რომელიც საელჩომ წარმოადგინა.

სადამო დაასრულა ცნობილმა ჩეხმა პიანისტმა მარტინ მაქსიმილიან კაიხერმა, ჩეხური კლასიკური მუსიკით. ამდენად ეს იყო გასული წლის მუშაობა და ვიმედოვნებთ 2015 წელი უფრო საინტერესო იქნება.



თანამშრომლობის ნიშნით

ინბა მაჭიახვიცი

2007 წლიდან ჭიათურის სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-შემოქმედებითი ცენტრის დაქვემდებარებაში იმყოფება ჭიათურის 15 სოფლის საკლუბო-საბიბლიოთეკო დაწესებულებები (ხრეთი, ზოდი, დარკვეთი, რცხილათი, ქვაციხეთხვისი, რვანი, პერევისა, ბერეთისა, სვერი, ხვაშითი, თვალუეთი, მანდაეთი, ცხრუკვეთი, ნიგოზეთი), რომლებიც აქტიურად არიან ჩართული კულტურის ცენტრის შემოქმედებით ცხოვრებაში. აქვთ სამუშაო გეგმები, პროგრამები და განხორციელებული პროექტები. ჩვენი ცენტრის სპეციალისტები მჭიდროდ თანამშრომლობენ სოფლის სკოლებთან, რისი დასტურიცაა არაერთი საგანმანათლებლო პროექტი ბავშვების მონაწილეობით, რომელიც მიზნად ისახავს მოზარდებში წიგნის პოპულარიზაციას, კითხვის კულტურის დამკვიდრებას და ახალგაზრდა თაობის ბიბლიოთეკაში მოზიდვას.



„რწმენა დედაა ყოველ სიკეთეთა“, „როგორ მესახება ხვალინდელი საქართველო“, „ბუნების მესაიდუმლე“, „ჩემპიონატი ჭადრაკში“, „დედაც სიცოცხლის დიდო საწყისო“, „შეხვედრა პედაგოგებთან“, „შეხვედრა მრავალშვილიან დედებთან“, „გოიყვარდეს წიგნი“, „გაზაფხულის პოეზია“, „ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ“, „მათ გმირობას დავიწყება არ უწერია“, „ჩვენი ცოდნის ლამპარი“, „ილია ჭავჭავაძის საღამო“, „მობრძანდით წიგნთან დაგამეგობრებთ“, „სახალწლო კარნავალი“, ეს არის მცირედი ნაწილი იმ პროექტებისა, რომლებიც აღნიშნულ ბიბლიოთეკებში ხორციელდება.

ძალიან საინტერესო გახლდათ ი. ნონეშვილის, რ. ამაღლობელის, ნ. დუმბაძის, ნიკო გომელაურის, გ. ლეონიძის, გ. ტაბიძის, ფ. დოსტოვესკის წიგნების განხილვები, რომლებიც საზოგადოებას თვითონ ბიბლიოთეკარებმა წარუდგინეს.

კულტურის ცენტრის დირექტორის ბატონ ირაკლი გიორგაძის ინიციატივით აღნიშნულ სოფლის ბიბლიოთეკებს რეგულარულად მიეწოდებათ პერიოდული გამოცემები: „საქართველოს ბიბლიოთეკა“, „ლიტერატურული საქართველო“, „საპატრიარქოს უწყებანი“, „მკურნალი“, „სარკე“, – რაც კიდევ უფრო ზრდის მკითხველის რაოდენობას, ხელს უწყობს მჭიდრო კავშირს ბიბლიოთეკასა და მკითხველს შორის.

ჩვენი ცენტრის სპეციალისტების ძალისხმევით სოფლის კლუბები და ბიბლიოთეკები იქცა ნამდვილ ცოცხალ ორგანიზმად, სადაც ხშირად იმართება წიგ-

ნის პრეზენტაციები, აღორძინდა ქორეოგრაფიული წრეები, თეატრალური სტუდიები.

აღნიშნული საკლუბო-საბიბლიოთეკო დაწესებულებების თანამშრომლებს აწესდებოდათ ჩატარდათ ტრენინგ – სემინარები. მოწვეული გახლდათ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის მკითხველთა მომსახურების სამსახურის უფროსი, ქალბატონი მანონი ხორავა. ტრენინგის მიზანი იყო საბიბლიოთეკო ფონდების ფორმირება, საბიბლიოთეკო რესურსების მართვა და ეფექტური გამოყენება, საბიბლიოთეკო მომსახურება, ანბანური, თემატური და საგნობრივი კატალოგების შექმნა და პერიოდულად მისი რედაქტირება.

ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

საინტერესო გახლდათ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს წამყვანი სპეციალისტის, ექსპერტ მაკა თაქთაქიშვილის მიერ ჩატარებული ტრენინგი, რომელიც ეხებოდა საკლუბო დაწესებულებებისათვის პროექტების მომზადებას და განხორციელებას, კლუბური გარემოს შექმნას, მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობას შემოქმედებით საქმიანობაში მათი ნიჭის და შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 20 დეკემბერს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის მთავარ ბიბლიოთეკასა და ჭიათურის რაიონის სასწავლო – საგანმანათლებლო კულტურულ-შემოქმედებით ცენტრს შორის. მემორანდუმის ფარგლებში „მთავარი ბიბლიოთეკა“ სთავაზობს „კულტურის ცენტრს“ ა) უსასყიდლოდ ისარგებლოს საკონფერენციო დარბაზით და ასევე ბიბლიოთეკათშორისი მომსახურების აბონემენტით; ბ) „მთავარი ბიბლიოთეკა“ გადასცემს ჭიათურის კულტურის ცენტრს მისთვის არაპროფიტული ან ფონდებიდან გარიცხული ლიტერატურის ჭარბ ეგზემპლარებს; გ) „მთავარი ბიბლიოთეკა“ და „კულტურის ცენტრი“ უზრუნველყოფენ გაცვლით ფონდებთან ხელმისაწვდომობას და ბიბლიოთეკათშორის წიგნთგაცვლას; დ) „მთავარი ბიბლიოთეკა“ და „კულტურის ცენტრი“ შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმარებიან და ცოდნას გაუზიარებენ ერთმანეთს არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით; ე) „მთავარი ბიბლიოთეკა“ და „კულტურის ცენტრი“ ერთობლივად მოაწვობენ პროფესიულ შეხვედრებს, სემინარებს, კონფერენციებს; ვ) „მთავარი ბიბლიოთეკა“ და „კულტურის ცენტრი“ გაუზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას ციფრულ სისტემაში, ელექტრონულ გამომცემლობაში, ინფორმაციის შექმნასა და შენახვაში, მათ დაარქივებასა და დაცვაში, კატალოგიზაციასა და ტექნიკურ უზრუნველყოფაში.

სასიხარულოა, რომ კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაში არსებული სოფლის ბიბლიოთეკებმა გასული წლის 28 დეკემბერს მონაწილეობა მიიღეს ბიბლიოთეკების ვაუჩერიზაციის პროექტის ფარგლებში გამართულ გამოფენაზე „წიგნი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“, დიდი მადლობა გვინდა გადაუხადოთ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას იმისათვის, რომ მოგვცა საშუალება უშუალოდ მიგველოთ მონაწილეობა და შეგვერჩია წიგნები.

საზვილიშვილო საჩუქარი

მანანა საბანელიძე

3 როფესორი ოთარ ოსაძე ნაცნობი და საყვარელი სახელია ყველა იმ პიროვნებისათვის, რომელსაც უსწავლია და დაუმთავრებია საქართველოში არსებული ერთადერთი ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტი, რომელიც „სამწუხაროდ“ დღეისათვის აღარ არსებობს.

ბატონ ოთარ ოსაძის პროფესიონალურ, საინტერესო და ემოციებით დატვირთულ ლექციებზე აღიზარდა მთელი თაობები, რომლებიც დღესაც მუშაობენ საქართველოს ყველა კუთხის საბიბლიოთეკო სისტემაში.

იგი არა მარტო თავისი დარგის პატრიოტი და პროფესიონალია, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა საბიბლიოთეკო დარგში მეცნიერული ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების გამოცემას, არამედ მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე კარტოთეკების სახით შეაგროვა უძვირფასესი მასალა ცოდნის ყველა დარგიდან. ბატონ ოთარ ოსაძის პატრიოტიზმი ჩვენი დარგისადმი იმაშიც გამოიხატება, რომ მას სურს მთელი თავისი ნაღვაწი ხელმისაწვდომი გახდეს ფართო საზოგადოებისათვის. ამ მიზნით მივესალმებით მის გადაწყვეტილებას აღნიშნული მასალა გადმოეცეს ქალაქ თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანებას, (დირექტორი ციალა კალმახელიძე), კერძოდ კი, ამ გაერთიანებაში შემავალ №42 ბიბლიოთეკას, რადგან ბატონ ოთარ ოსაძეს იმედი აქვს, რომ ამ ბიბლიოთეკაში მომუშავე

მისი ყოფილი სტუდენტები და ამჟამად კოლეგები სათუთად შევინახავთ, მოვუვლით, რედაქტირებას გავუკეთებთ და სისტემაში მოვიყვანთ ამ უნიკალურ მასალას. იმედია, რომ მომავალში შევესრულებთ ბატონ ოთარის მის ოცნებას ამ მასალის წიგნებად გამოცემის შესახებ, მით უმეტეს, რომ ამის დიდი გამოცდილება ბატონ ოთარ ოსაძეს გააჩნია. ამ მასალის ნაწილი წიგნების სახით უკვე გამოცემულია ბატონ ოთარის ავტორობით და ერთ-ერთი ასეთი წიგნის „თბილისი და თბილისელები“-ს რედაქტორი ქალბატონი ციალა კალმახელიძეა.

ამ მასალის ბატონ ოთარის სახლიდან ჩვენს ბიბლიოთეკაში გადმოტანის ორგანიზებისთვის მადლობას ვუხდით ქალბატონ ციალა კალმახელიძეს და მის მოადგილეს ბატონ ზურაბ მაჭარაშვილს.


კარტოთეკები ათასობით რუბრიკას და რუბრიკის ქვეშ მოთავსებულ უამრავ მასალას მოიცავს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცოდნის ყველა დარგიდან.

ბიბლიოთეკარისა და ბიბლიოგრაფის უპირველესი მოვალეობაა სისტემაში მოვიყვანოთ, მკითხველებისათვის გასაგები და მისაწვდომი გაგხადოთ და პროპაგანდა გაუწიოთ ამ საშვილიშვილო მასალას, რათა პროფესორ ოთარ ოსაძის ნაღვაწით ისარგებლონ საზოგადოების ფართო ფენებმა დიასახლისიდან დაწყებული მეცნიერამდე.

საჭარო ბიბლიოთეკები ადგილობრივი განვითარებისათვის

3 როექტი „საჯარო ბიბლიოთეკები ადგილობრივი განვითარებისთვის“ 2014 წლის აპრილში დაიწყო. პროექტის დაწყებას წინ უძღოდა თითქმის ერთწლიანი დაგეგმვის და მოლაპარაკებების ეტაპი. შედეგად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX) Beyond

Access პროგრამის ფარგლებში და მათი ფინანსური მხარდაჭრით, მოხდა საპილოტე პროექტის ინიცირება. პროექტის ფარგლებში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI).



ნუკრიანის განახლებული ბიბლიოთეკის გახსნა

პროექტის მიზანია ბიბლიოთეკებისთვის ახლებური ფუნქციის მინიჭება, მათი ტრანსფორმაციის გზით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროექტის გუნდი მიზნად ისახავს ბიბლიოთეკა გახადოს ყველასთვის მიმზიდველი და საყვარელი ადგილი, სადაც ტრადიციული საბიბლიოთეკო მომსახურების გარდა, ხელმისაწვდომი იქნება კომპიუტერები, უფასო ინტერნეტი, სივრცე შეხვედრებისა და დისკუსიებისთვის და ეს ყველაფერი – კომფორტულ გარემოში. ამასთანავე, ბიბლიოთეკის ახლებური მოდელი ითავლისწინებს სახელმწიფო და კერძო სერვისების სოფელში მიღების საშუალებას, რაც ბიბლიოთეკებში საზოგადოებრივი ცენტრის კონცეფციის დანერგვით ხდება შესაძლებელი.

გადაწყვეტილების მიღება, თუ რომელი ბიბლიოთეკები უნდა ჩართულიყვნენ საპილოტე პროგრამაში, საკმაოდ რთული აღმოჩნდა. პროექტის დაწყებას წინ უძღოდა რამდენიმე თვის მისამზადებელი სამუშაოები, მივლინებები, ბიუჯეტის დაგეგმვა. შედეგად, საწყის ეტაპზე, გადაწყდა ორი სოფლის ბიბლიოთეკის (სოფელი ნუკრიანი, სიღნაღის მუნიციპალიტეტი; სოფელი ხიდისთავი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი) სრულად განახლება, აღჭურვა და მათთვის დამატებითი ღირებულების შექმნა (სარემონტო სამუშაოები, ავეჯი, ტექნიკა, წიგნები, ტრენინგები ბიბლიოთეკარებისთვის, სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა). გარდა აღნიშნული ორი სოფლის ბიბლიოთეკისა, სამიზნედ შერჩეულ იქნა ხულოს და ზუგდიდის მუნიციპალური ბიბლიოთეკები. საჭიროებებიდან გამომდინარე, ხულოს ბიბლიოთეკისთვის გამოიყო ტექნიკა, წიგნები, და ავეჯი, მოხდა ბიბლიოთეკის ინტერნეტით უზრუნველყოფა და ბიბლიოთეკარების ჩართვა IREX-ის მიერ ორგანიზებულ ინტერნეტ ტრენინგებში, ზუგდიდის ბიბლიოთეკას გადაეცა წიგნები, ხოლო



ხიდისთავის განახლებული ბიბლიოთეკის გახსნა

მასში დასაქმებული ბიბლიოთეკარები ჩაერთვნენ ინტენსიური გადამზადების პროცესში, რომელიც სამ ეტაპად განხორციელდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკების განვითარება ადგილობრივ დონეზე ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) წინაშე საქართველოს მთავრობის მიერ 2014-2015 წლებისთვის აღებულ ვალდებულებებს შორის არის წარმოდგენილი და, შესაბამისად, წარმოდგენს ეროვნული მნიშვნელობის პრიორიტეტს.

სარემონტო სამუშაოები ბიბლიოთეკებში 2014 წლის ოქტომბერში დაიწყო. პარალელურად შეირჩა სერვისების გამცემი ოპერატორები სოფელ ნუკრიანის და სოფელ ხიდისთავის ბიბლიოთეკაში განსათავსებელი საზოგადოებრივი ცენტრისთვის, ხოლო ბიბლიოთეკარებს ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგების სამი ფაზა, რაც ძირითადად, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური და თანამედროვე საბიბლიოთეკო მართვის უნარ-ჩვევების შექმნას ისახავდა მიზნად. საბოლოოდ, ხიდისთავის ბიბლიოთეკის / საზოგადოებრივი ცენტრის გახსნა დაიგეგმა 2015 წლის 27 თებერვალს, ხოლო ნუკრიანის – 5 მარტს. ხიდისთავი ნოდარ დუმბაძის მშობლიური სოფელია.

ამ ფაქტის გათვალისწინებით, დაიგეგმა გახსნის დღის ღონისძიებები. ბიბლიოთეკა, საქართველოს იუსტიციის მინისტრთან, ქალბატონ თეა წულუკიანთან ერთად, გახსნა ნოდარ დუმბაძის ქალიშვილმა – ქეთევან დუმბაძემ. ბიბლიოთეკაში მოეწყო ნოდარ დუმბაძის კუთხე და, რაც მთავარია, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა განახილავს ინიციატივა, რომ ბიბლიოთეკას ეწოდოს მწერლის სახელი. გახსნის ცერემონიას, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ესწრებოდნენ სხვადასხვა პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. გახსნის ღონისძიების მონაწილეებმა, მინისტრთან ერთად, დაათვალიერეს განახლებული ბიბლიოთეკა, სადაც უკვე შეუძლიათ მიიღონ, 200-ზე მეტი სახელმწიფო სერვისი, ასევე კერძო სექტორის რიგი სერვისები (მათიკომის და ლიბერთი ბანკის მომსახურებები) და კომფორტულ გარემოში ისარგებლონ უფასო კომპიუტერებით და ინტერნეტით, განახლებული წიგნადი ფონდით და შეხვედრების ოთახით.

5 მარტს იუსტიციის მინისტრმა, კახეთის გუბერნატორთან ერთად, გახსნა ნუკრიანის ბიბლიოთეკა / საზოგადოებრივი ცენტრი. ღონისძიებას ესწრებოდნენ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, პარტნიორი ორგანიზაციები და, – რაც მთავარია, ადგილობრივი მოსახლეობა. აღსანიშნავია, რომ ნუკრიანი გამოჩენილი მხატვრის – დავით კრაწაშვილის მშობლიური სოფელია. მინისტრმა მუნიციპალიტეტის რწმუნებულს შესთავაზა ინიციატივა, ბიბლიოთეკისთვის ადრეულ ასაკში გარდაცვლილი მხატვრის სახელი მიენიჭებინათ.

იქიდან გამომდინარე, რომ ნუკრიანის ბიბლიოთეკა მდებარეობს ნუკრიანის კულტურის სახლის შენობაში, სადაც რამდენიმე ოთახი აქვს დათმობილი ორგანიზაციას „ნუკრიანის სახელისნოები“ (სოციალური საწარმო, სადაც სოციალურად დაუცველი ქალები არიან დასაქმებულები და თექვისგან ამზადებენ სხვადასხვა აქსესუარებს და სათამაშოებს), ბიბლიოთეკის გახსნის დღეს მოეწყო აღნიშნული ნამუშევრების გამოფენა.

რაც შეეხება მიმდინარე აქტივობებს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხულოს ბიბლიოთეკის ინტერნეტით აღჭურვის სამუშაოები, რაც, საუარაუდოდ, 2015 წლის აპრილის ბოლოს დასრულდება; ხოლო ზუგდიდში აპრილის შუა რიცხვებში იგეგმება შეხვედრა, სადაც მოხდება პროექტის და სამომავლო გეგმების გაცნობა ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

საპილოტე პროექტი სრულდება 2015 წლის მაისში, მაგრამ პროექტის გუნდი, IREX-ის Beyond Access პროგრამასთან და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით, აქტიურად მუშაობს პროექტის გაგრძელებაზე, რომლის ფარგლებშიც, უფრო მეტი ადგილობრივი ბიბლიოთეკის ჩართვა იგეგმება. პროექტის გუნდი იმედოვნებს, რომ აღნიშნული ინიციატივა ღირებულ წვლილს შეიტანს ბიბლიოთეკის მნიშვნელოვანი ფუნქციის ეფექტურად განხორციელებაში, რაც მხოლოდ თანამედროვე მიდგომების, საუკეთესო პრაქტიკისა და ტექნოლოგიური მიღწევების ინტეგრირების გზით არის შესაძლებელი.



სტუმრები ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმში

ქეთევან ბაიუშვილი

2015 წლის 24 თებერვალს ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმში ხალხმრავლობა იყო. ამ დღეს მუზეუმს სტუმრობდა ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკის სალიტერატურო სალონი „საგულისონი“. საზოგადოება კარგად იცნობს ამ სალონს. მასში გაერთიანებული არიან ქართველი მწერლები, პოეტები, მსახიობები, ჟურნალისტები. ისინი ხშირად იკრიბებიან ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკის დარბაზში და მართავენ სხვადასხვა შეხვედრებს ცნობილ თუ ახალბედა პოეტებთან, მსახიობებთან და სხვა. ამჯერად კი სალონის ხელმძღვანელმა, ცნობილმა კულტურის მუშაკმა ქალბატონმა ცისანა ქოჩეჩაშვილმა წვევრებს შესთავაზა თბილისის ყველა მუზეუმის მონახულება – ეროვნული კულტურის უკეთ გაცნობის მიზნით. სწორედ ამ კეთილშობილური იდეის პირველი ნაბიჯი გახლდათ ეს ღონისძიება. საქმე ის არის, რომ 24 თებერვალი თანამედროვეობის ცნობილი ეთნომუსიკოლოგის ედიშერ გარაყანიძის დაბადების დღეა. სწორედ ამიტომ, მოსულ სტუმრებს ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმის ხელმძღვანელობამ ექსკურსიასთან ერთად დიდი ქართველი მეცნიერის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოც შესთავაზა.

ედიშერ გარაყანიძემ ფასდაუდებელი ღვაწლი გასწია ქართული ხალხური მუსიკის შესწავლის, პოპულარიზაციისა და შესრულების საქმეში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ქართველთა მუსიკალური ცნობიერება შეცვალა და რევოლუციური გარდაქმნები მოახდინა ხალხური სიმღერის შემსრულებლობაში; დაამკვიდრა ეთნომუსიკოლოგიის ახალი ტიპი – შემგროვებელი, შემსრულებელი, მკვლევარი, პედაგოგი. აღადგინა უძველესი რიტუალები – ალილო და ჭონა, თითქმის ფეხით შემოიარა საქართველო და ჩაწერა და გადაიღო უამრავი მივიწყებული სიმღერა, ცეკვა თუ რიტუალი. მან სრულიად ახლებური ანსამბლები შექმნა – „მთიები“, „მზეთამზე“ და „ამერ-იმერი“, რითიც განსაზღვრა მეოცე საუკუნის ხალხური მუსიკის შემსრულებლობისა და მუსიკალური ფოლკლორისადმი მიდგომის „გრამატიკული წე-

სები“. სადაც უპირატესობა ავთენტური მღერის მანერასა და სინკრეტულ შესრულებას ენიჭება. დაამკვიდრა ხალხური სიმღერის აუდიო-ჩანაწერიდან შესწავლის დღემდე შეუცვლელი მეთოდი.

მუზეუმში მოსული სტუმრები თავდაპირველად საექსპოზიციო დარბაზებს გაეცნენ. საღამო გახსნა მუზეუმის დირექტორმა ბატონმა რევაზ კოტრიკაძემ. მოისმინეს ინფორმაცია მუსიკალური საკრავების როლისა და დანიშნულების შესახებ საქართველოში, შემდეგ კი მუზეუმის ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომლების ეკა შოშიაშვილისა და სოფო კოტრიკაძის მიერ მომზადებული ვიდეო მასალა ნახეს, რომელიც ედიშერ გარაყანიძის მოღვაწეობას ეძღვნებოდა. თანამედროვეთ – მეგობრებსა თუ ნაცნობებს კარგად გვახსოვს ედიშერის დაბადების დღეები: მაჩაბლის ქუჩაზე გათენებამდე ისმოდა საუკეთესო, რჩეული ქართული ხალხური სიმღერები და მიუხედავად თებერვლის სუსხისა, მეზობლები ფანჯრებს აღებდნენ, რათა „მთიებისთვის“ მოესმინათ. ამიტომაც მუზეუმის თანამშრომლებმა გადაწყვიტეთ ეს ტრადიცია არ დაგვერღვია და მოვიწვიეთ ანსამბლები: „მთიები“, ქალთა „ნანი-ნა“ და „სათანაო“, რათა საუკეთესო ქართული სიმღერით აღგვენიშნა ძვირფასი კოლეგისა და მეგობრის დაბადების დღე.

საღამოს ესწრებოდა მსოფლიოს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი საქართველოში ქალბატონი ალა ახოტა. საღამოს დასასრულს, მან მადლობა გადაუხადა ლიტერატურული სალონისა და მუზეუმის ხელმძღვანელობას ასეთი მშვენიერი საღამოსთვის. სამადლობელი სიტყვები წარმოთქმეს დამსწრეებმა, პოეტმა ეთერ აფაქიძემ ქართული ტრადიციებისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა, ხოლო ქალბატონმა ცისანა ქოჩეჩაშვილმა მადლობასთან ერთად, გაიხსენა ედიშერ გარაყანიძესთან თანამშრომლობა. მუზეუმის დირექტორმა – რევაზ კოტრიკაძემ კი საზოგადოებას აუწყა, რომ ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმში მოეწყობა ედიშერ გარაყანიძის შემოქმედების ამსახველი, მისივე სახელობის ოთახი.

დამსწრეთაგან მრავალმა გამოთქვა სამომავლოდ მუზეუმთან თანამშრომლობის სურვილი.

ტექნოლოგიური სიახლეები საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში

ხადია, როგორც ყველა სტუდენტს, მეც ხშირად დამჭირვებია ბიბლიოთეკა სხვადასხვა დავალების შესასრულებლად. მასხოვს, რომ გაცილებით უფრო მეტი დრო წიგნის ჩემამდე მოღწევას სჭირდებოდა, ვიდრე – თვითონ კითხვას და მეცადინეობას. გქონიათ ისეთი შემთხვევა, როცა ბიბლიოთეკაში მთელ დღეს ველოდით გამოწერილ წიგნს და ამ დროს საათი გატყობინებდათ, რომ სამუშაო საათები დასრულდა და კითხვას ვეღარ მოასწრებდით? მტკრიან კარტოთეკაში კოდის ძებნა, შემდეგ სპეციალური ბარათის შევსება და წიგნის უსასრულოდ ლოდინი დარბაზში – ეს ყველაფერი ჩემი სტუდენტობის შემაღენელი ნაწილი გახლდათ.

სწორედ ამიტომაც ცოტათი მშურს კიდევ იმ სტუდენტების, რომლებიც გაისად დასხდებიან საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზებში და სასურველ წიგნს საათების მაგივრად, რამდენიმე წუთში მიიღებენ.

და იცით, რატომ? მომავალი სასწავლო წლისთვის პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოში პირველად ყველაზე ინოვაციურ საბიბლიოთეკო სისტემას, SIERRA-ს დანერგავს. SIERRA კომპანია Innovative-ის მიერ შექმნილი რეკოლუციური და დროის დამზოგველი ინტერირებული საბიბლიოთეკო სისტემაა.

წარმოიდგინეთ კომპიუტერული პროგრამა, რომელში მუშაობის დროსაც ბიბლიოთეკაში მიუსვლელად, სახლიდან ან ნებისმიერი სხვა ადგილიდან, სადაც ინტერნეტი, შეარჩევ სასურველ გამოცემას მილიონზე მეტი წიგნიდან, მარტივად მონახავ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერს, წიგნის კოდს, შემდეგ კი ჯაგშნი მას, წიგნის გატანის თარიღსა და გაცემის ადგილს დარბაზში. რას აკეთებს ამ დროს ბიბლიოთეკარი? ის თავის პროგრამაში ხედავს, რამდენი ადამიანი დგას ერთი წიგნის რიგში, რამდენმა გაიტანა და რამდენმა დააბრუნა ესა თუ ის გამოცემა და რომელი წიგნი რომელ არქივშია განთავსებული. რამდენიმე ხნის მერე მკითხველი დებულობს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას, რომელშიც წერია, რომ სასურველი წიგნი მას უკვე ამა და ამ დარბაზში ელის. ერთადერთი, რაც მკითხველს მოეთხოვება, ბიბლიოთეკის იმ კონკრეტულ დარბაზში მისვლა და კითხვაა. მკითხველს ასევე შეუძლია საიტი მობილურით ან პლანშეტით გახსნას და, სპეციალურად, გაჯეტებისთვის მორგებული ინტერფეისით მარტივად განახორციელოს ესა თუ ის ოპერაცია.

ნებისმიერ ორგანიზაციაში რაღაც ეტაპზე ყოველთვის დგება სიახლეების დანერგვის

საჭიროება. მით უმეტეს, ისეთ ორგანიზაციაში, როგორცაა ქვეყნის უდიდესი ბიბლიოთეკა. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად უამრავი სერვისი გადადის ციფრულ მომსახურებაზე. „სწორედ ამიტომაც, სასურველი ინფორმაციის მიღება ყველა დაწესებულებაში, რამდენადაც სამუშაოს სპეციფიკა ამის საშუალებას იძლევა, მაქსიმალურად უნდა გაადვილდეს“, აღნიშნავს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, გიორგი კეკელიძე.

ის ამბობს, რომ ადრე თუ გვიან მსგავსი ტიპის განახლება გარდაუვალი იქნებოდა, მით უმეტეს, ისეთი მნიშვნელოვანი დაწესებულებისთვის, როგორცაა ბიბლიოთეკა.

„ძირითადი პრობლემა, რაც აქამდე გვაჩერებდა ინოვაციური ტექნოლოგიური ცვლილებების დასაწყებად, იყო ფინანსები, თუმცა ახლა ესეც მოვაგვარეთ. ჩვენი აზრით და ამაში ბიბლიოთეკის პერსონალიც და მკითხველიც დამეთანხმება, ეს სიახლე ბიბლიოთეკისთვის ყველაზე პრიორიტეტული და დროული იყო“ – ამბობს კეკელიძე.

საიდან დაიწყო იდეა

პროგრამა SIERRA კომპანია Innovative-ის პროდუქტია. კომპანია 1978 წელს დაარსდა. მის მიერ შექმნილი პირველი პროდუქტი სრულად შეესაბამებოდა კომპანიის სახელწოდებას.

დღესდღეობით Innovative-ს ანგარიშზე უკვე 2400-ზე მეტი საბიბლიოთეკო სისტემაა შექმნილი, რომელიც 9500 ბიბლიოთეკაშია დანერგილი მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ანუ საუბარია დაახლოებით, 66 ქვეყანაზე. მაღალკვალიფიციურ ბიბლიოთეკარებს სრულად აქვთ ბიბლიოთეკების მიმართ არსებული ყოველდღიური მოთხოვნები გაცნობიერებული და რეგულარულ ტექნოლოგიურ გაუმჯობესებებს თავიანთ პრაქტიკაში გამუდმებით ნერგავენ. ეს კი, მოსახერხებელია უამრავი ადამიანისთვის, რომლებსაც 21-ე საუკუნეში არასდროს აქვთ საკმარისი დრო – სტუდენტებს, მეცნიერებს, მკვლევარებს და სხვა რიგით მკითხველებს.

პროგრამა ყველანაირი სიდიდის ბიბლიოთეკისთვის მუშაობს. მასზე წვდომა შესაძლოა ნებისმიერი სიმძლავრის კომპიუტერიდან ან მობილური მოწყობილობიდან განხორციელდეს. მენიუ რეგულირებადი და კომფორტულია. ის მორგებულია კონკრეტულ ოპერაციაზე ისე, რომ თითოეული რგოლი – ეს იქნება მკითხველი თუ ბიბლიოთე-

კის თანამშრომელი, მხოლოდ მისთვის საჭირო ფუნქციებს ხელახლავს.

სწორედ ესაა კომპანია Innovative-ს სახელწოდების ზუსტი გამართლება – ტრადიციულ საბიბლიოთეკო სამუშაო დღეს ამცირებს და ფუნქციონალურად უფრო დატვირთულს ხდის, – გამარტივებული დიზაინის, დახვეწილი საძიებო სისტემის და ვებ-საიტის ნავიგაციის მქონე ინოვაციური პროგრამა SIERRA უზრუნველყოფს სამუშაოს გამარტივებას როგორც მკითხველისთვის, ასევე – ბიბლიოთეკის პერსონალისთვის. გარდა ბეჭდური გამოცემებისა, პროგრამას აქვს მხარდაჭერა ელექტრონული წიგნებისთვისაც.

რას ხელახლავს მკითხველი პროგრამაში? – მკითხველი რეგისტრირდება და მარტივ და მოსახერხებელ ინტერფეისში საძიებო სიტყვების გამოყენებით სასურველ წიგნს პოულობს, მონახავს მის შიფრს და თავისი პროფილით ჯავშნის წიგნს, დარბაზს, სადაც წიგნს მიიღებს და დასვამს თარიღს. შეკვეთის გაუქმება ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი.

ბიბლიოთეკარის რგოლი

ტრენინგები ბიბლიოთეკარებს რეგულარულად უტარდებათ მწარმოებელი კომპანიის მიერ. ახალი პროგრამა ბიბლიოთეკების თანამშრომლებისგან ახალ უნარებს მოითხოვს. ტრენინგები აგვისტომდე გაგრძელდება.

პროგრამა თითოეულ ბიბლიოთეკაზე მაქსიმალურადაა მორგებული. SIERRA-ს უამრავი შესაძლებლობიდან კონკრეტული ბიბლიოთეკა მხოლოდ მისთვის საჭირო ფუნქციებს არჩევს. გარდა ამისა, პერსონალს შეუძლია პროგრამაში გუგლის მრავალფეროვანი აპლიკაციებიც დააყენოს.

ბიბლიოთეკარები ამავე პროგრამაში შეძლებენ ახალი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების ატვირთვას; ის დააკვირდება, კონკრეტულად, რამდენი მკითხველი ელოდება ამა თუ იმ წიგნს და მათ რიგითობას; ის ასევე უზრუნველყოფს მკითხველებისთვის შეტყობინებების დაგზავნასაც. შესაბამისად, გამარტივდება ბიბლიოთეკისთვის საჭირო ამა თუ იმ სტატისტიკის სწრაფად გამოთვლა. მარტივი და მოსახერხებელი პროგრამის წყალობით ეს პროცესი უფრო სწრაფი გახდება, ვიდრე – მანამდე იყო.

SIERRA-ს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დანერგვაზე უკვე მუშაობს ბიბლიოთეკის IT-პროგრამისტთა ჯგუფი. სულ მალე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა იქნება საქართველოში პირველი ბიბლიოთეკა, რომელიც მკითხველს განახლებული, გამარტივებული და ინოვაციური ტექნოლოგიებით მოემსახურება.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი და ციფრული ბიბლიოთეკა „იერიელის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, რუსუდან ასათიანი ამბობს, რომ ინოვაციების დანერგვა მხოლოდ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკით არ შემოიფარგლება.

„ჩვენ ვვიდულობთ ისეთ სისტემას, რომელშიც სამომავლოდ შესაძლებელია, რომ ქვეყნის გაერთიანებული კატალოგი გაკეთდეს“. – აღნიშნავს რუსუდან ასათიანი. „წარმოიდგინეთ, ერთიანი საბიბლიოთეკო სისტემა – ამ ერთ ბაზაში მოიპოვებს ინფორმაციას ერთი ჩვეულებრივი კომპიუტერიდან საქართველოში მოქმედი ყველა ბიბლიოთეკის ფონდების შესახებ“.

მომავალში დაგეგმილია მოლაპარაკება სხვა ბიბლიოთეკებთანაც. ეტაპობრივად, ფინანსების გათვალისწინებით, საქართველოში არსებული ყველა ბიბლიოთეკა ამ სისტემაში გაერთიანდება.



მხატვარი და წიგნი

მხატვრის მიერ გაცოცხლებული პერსონაჟები

ნაქსანეჩა ცოხია

საბავშვო მხატვრობა, მით უმეტეს წიგნის ილუსტრირებისას – ეს ურთულესი საქმეა როცა ბავშვი წიგნს კითხულობს ან უკითხავენ, მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თავის წარმოსახვას მიესადაგოს ის სახეები თუ გარემო, რომელიც მას წარმოუდგება გონებაში. ეს თუ ასე არ არის, ბავშვში ისაღვურებს გაუცნობიერებელი უკმარისობის გრძნობა, რამაც შეიძლება მის მიერ წიგნის შინაარსზე დამოკიდებულებაც კი განაპირობოს, ხოლო ნახატი თუ დაემთხვა მის წარმოდგენებს-პირიქით: ძლიერდება ბავშვის ემოციები და მისი დამოკიდებულება მოცემული წიგნისადმი სავსებით მისაღები და სასიამოვნო ხდება. ამას მნიშვნელოვანი როლი უკავია თვით წიგნების წარმოების პროცესში. ამისთვისაცაა, რომ ბავშვთა კითხვის სპეციალისტები წიგნების პროპაგანდის დროს უხვად იყენებენ საილუსტრაციო მასალას.

მხატვრის მიერ ამის გათვალისწინება, შესაფერისი მანერისა და სტილის გამონახვა დიდ ოსტატობას მოითხოვს. როგორცადაც არ უნდა იყოს, ყველა ბავშვი ინდივიდია და მათი შეხედულებაც სავსებით პირადულია. სწორედ აქაა საჭირო „ოქროს შუალედის“ პოვნა, როცა რამე კეთდება ყველასათვის, დაახლოებით საყოველთაოდ მისაღები უნდა იყოს, საყოველთაოდ განზოგადებული. ეს დიდ ტალანტს

მოითხოვს ხელოვნისაგან. წიგნის ილუსტრირების დროს ისიც გასათვალისწინებელია, კერძოდ, რომელი პერსონაჟი, რომელი სიტუაცია, სიუჟეტის რომელი მონაკვეთი უნდა იქნეს დასურათებული, რომ ბავშვს ნაწარმოებზე ერთიანი და მწყობრი წარმოდგენა შეექმნას.



მსოფლიო ლიტერატურაში წიგნის ილუსტრირების არაერთი შედეგია არსებობს. ქართული წიგნიც მრავალ საინტერესო მასალას იძლევა ამ თვალსაზრისით, თუმცა ბევრი ჩავარდნაც გვაქვს. ბიბლიოთეკებს არაერთი წიგნი მიუთითებიათ, როცა მათი წაღება-არწაღების ბედს წიგნის გაფორმება წყვეტს.

მე არ შემიძლია და არც ვაპირებ კონკრეტული მაგალითების საფუძველზე რაიმე ანალიზი გავაკეთო, მინდა ჩემი პირადი დამოკიდებულება გამოვხატო ბავშვთა წიგნის ერთ-ერთ შესანიშნავ ილუსტრატორზე, რომლის ნამუშევრებმა დიდი წარმატება მოიპოვა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში, ჩემში კი დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

მხატვარმა ნინო ჩაკვეტაძემ იმთავითვე მიიპყრო ყურადღება თავისი სტილით და მანერით, როგორც კი სამხატვრო ასპარეზზე გამოვიდა.

დაიბადა 1971 წელს, 1986-1990 წლებში თბილისის ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში სწავლობდა, ხოლო სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე, რომელიც 1996 წელს დაასრულა, ის სწავლების პერიოდში ჩაება შემოქმედებით საქმიანობაში, საზოგადოების სამსჯავროზე აქტიურად გამოჰქონდა თავისი ნაშრომები, მაგალითად, მონაწილეობდა „ქარვასლაში“ გამართულ გამოფენა-5-ფერწერაში (1993). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ახალგაზრდა მხატვრისათვის 1994 წელს გერმანიაში ქალაქ ერფრუტში გამართულ გამოფენა- „ქართველ მხატვრებში“ მონაწილეობა. საგულისხმოა, რომ ნინო ჩაკვეტაძე აკადემიის დამთავრების მეორე წელსვე (1997) საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი გახდა.

2003 წელს საქართველოს ეროვნულ გალერეაში გაიმართა სამხატვრო აკადემიის 1996 წელს კურსდამთავრებულთა ფერწერული გამოფენა, სადაც უკვე მკვეთრად გამოიხატა მხატვრის შემოქმედებითი პალიტრა, მისი თემატური მიდრეკილება და სტილი.





ერთ-ერთ ინტერვიუში ნინო ჩაკვეტაძე გულწრფელად ლაპარაკობს თავის დამოკიდებულებაზე საბავშვო მხატვრობასთან: „ვფიქრობ, ამ სამყაროში ჩემი თავი ვიპოვე... მე მოყვარული ფოტოგრაფი ვარ და ჩემი ფოტოების ძირითადი თემაც ბავშვთა პორტრეტებია... ვფიქრობ აქვე დავრჩები საბავშვო მხატვრად“.

ვინც ნინო ჩაკვეტაძის შემოქმედებას იცნობს, დაგვემოწმება, რა დიდი სიყვარული, სათნოება, ჰუმანიზმი და ბავშვთა სულის ცოდნა გამოსჭვივის მასში. რაც მთავარია, ბავშვთა სამყარო აქ როდია უფროსისაგან დანახული და გაგებული. მხატვარი თითქოს სულაც არ ჩანს, ბავშვები „მოძრაობენ, განიცდიან, ოცნებობენ, წუხან, უხარიათ, რაღაც აინტერესებთ, გაცდებიან რჩებიან, დაკვირვებით ათვალიერებენ ირგვლივ ყოველივეს, ტირიან თუ იცინიან... რაც ყველაზე მაღალშემოქმედებითად მეჩვენება-ეს არის ტიპაჟთა ურთიერთდამოკიდებულების გამომხატვის ჩვენება, მათი გამომეტყველების ასახვა, რაც ასე ნიჭიერად არის შესრულებული ნინო ჩაკვეტაძის ნახატებში.

ნინო ჩაკვეტაძე რასაც არ უნდა ხატავდეს-უცხოური თუ ჩვენური თემატიკის მიხედვით – როგორც შემოქმედი, ყოველთვის ეროვნულია, ქართული სულით აღსავსე, ახლობელი და ჩვეული. მისი ნახატები მოსწონთ და იხიბლებიან როგორც ბავშვები, ისე დიდებიც. მხატვრის ესთეტიკაც ამ მომენტს არის დაქვემდებარებული. იგი ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს: „...მე ყველასათვის ვხატავ, ამ შემთხვევაში ასაკს არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია, ადამიანი როგორ დაინახავს და შეიგრძნობს ჩემს შემოქმედებას, განურჩევლად იმისა, ბავშვია ის თუ მოზრდილი“.

ზრდასრული ადამიანისათვის – ახალგაზრდა იქნება ის თუ მოხუცი, ნინო ჩაკვეტაძის ნახატები არ შეიძლება ესთეტიკური სიამის აღმკვეთი არ იყოს. იმდენი რამის აღმოჩენა შეუძლია მათში ადამიანს: თავისი წარსული, ბავშვური განცდები, თავგადასავლები, მოგონებები, წარსულის ილუზიები... და ბოლოს, მხატვრის ტექნიკური ოსტატობაც ხომ თავისთავად მომხიბვლელია-სხივისა და ჩრდილების თამაში, ყალმის სისადავე, ფერთა გამა, გამოხატვის უნარი.

ძნელია, განსაზღვრო, პატარებს რატომ მოსწონთ ასე ძალიან ქალბატონ ნინოს ტიპაჟები თუ პერსონაჟები. ამას ნამდვილად ფსიქოლოგიური ანალიზი და მოვლენათა საფუძვლიანად შესწავლა ესაჭიროება, რაც პროფესიონალის კომპეტენციაა და უსაშველოდ



მიძიმე საქმეს წარმოადგენს. მაგრამ ბავშვებთან მუშავე სპეციალისტების დაკვირვებას თუ დავეყრდნობით, შეიძლება ზოგი რამ გადაჭრით ითქვას ამ მიმართულებით. მაგალითად, ჩემი პირადი დაკვირვებით, ნინო ჩაკვეტაძის საბავშვო ნახატები ერთგვარად „ოქროს შუაღელის“ ნამდვილი გამოხატულებაა. სხვათა შორის, ბავშვებს სულაც არ მოსწონთ ძალიან „ბავშვურად დახატული სურათები“- ე.წ. იმიტაციებით მართლა ბავშვების დახატულია ეს სურათები. ზუსტი პორტრეტული მსგავსების წმინდა რეალისტური გრაფიკული თუ ფერწერული სურათები კი მათთვის „მძიმეა“, ნაკლებად საინტერესო და სახალისო. აქ კი ისეთ უჩვეულო, თანაც ბუნებრივზე შეხამებას სთავაზობენ, არ შეიძლება არ მოიხიბლონ, თავიანთ წარმოსახვებს არ შეუფარდონ ის, რასაც ხედავენ, ადვილად არ გაიგონ რთული განცდები, თავიანთი მოთხოვნილებების რეალიზაცია არ მოახდინონ.

უჩვეულოდ აღნიშნის ღირსია, რომ ნ. ჩაკვეტაძის ნახატები თავიანთი გარეგანი თუ შინაგანი თვისებებით სავსებით გამორჩეული ნამუშევრებია. ეს არაერთგზის იქნა აღიარებული სხვადასხვა გამოფენაზე, როგორც იყო: პერსონალური გამოფენა გალერეაში TMS- (2004), პერსონალური გამოფენა გალერეა „ვან-დიში“ (2013). ჯგუფური გამოფენა გალერეა „ვანიში“ (2014). პერსონალური გამოფენა საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში (2014).

ჩვენი მკითხველისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ნინო ჩაკვეტაძის, როგორც მხატვრის, მოღვაწეობა წიგნის ილუსტრაციებზე. მხატვარი ამ სფეროს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და დიდ დროსაც ახარჯავს, თვითონ ინტერვიუს დროსაც აცხადებს: „საბავშვო ლიტერატურაზე მუშაობა ჩემი ერთ-ერთი საყვარელი საქმეა. როდესაც აფორმებ საბავშვო წიგნს, დიდი სიფრთხილე და დაკვირვება გმართებს, ბავშვი აუცილებლად გიპოვის შეცდომას. ამიტომ ტექსტს დიდი ყურადღებით ვკითხულობ“.

ყოველივე ეს აშკარად ჩანს მის ილუსტრირებულ წიგნებში, რომლებიც ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ დაბეჭდა. ამ გამომცემლობასთან მას ძალიან მჭიდროდ შემოქმედებითი ურთიერთობა აქვს. მისი ილუსტრირებით გამოცემულ წიგნებს კარგად იცნობენ ჩვენი მკითხველები – „ბერძნულ-რომაული მითები“, (მ. მიქელაძე, ჯ. ქარჩხაძე), „ბიძია სევას ამბები“ (ჯავახიშვილი), „მონტებულუ ანუ ელის არაჩვეულებრივი მოგზაურობა“ (მ. თვარაძე), პირველ-მეორე კლასის „დედა ენა“ (ნ. გორდელაძე, გ. ჩხენკელი), „დედა, მამა, 8 წლის ბავშვი და საბავშვო მანქანა“ (ანე ეკატერინე ვესტერლი), „ციცინათელები“ (იან კარაფიატი), „პატარა ქალაქის ზღაპრები“ (გ. პეტრი-აშვილი).

ცხადია, ამით არ შემოიფარგლება ნინო ჩაკვეტაძის შემოქმედების დიაპაზონი, არ ამოიწურება მის მიერ შექმნილ ნაშრომთა რიცხოვნება, რაც მისი შემოქმედების ანალიზისათვის არის საკმარისი ის, რაც ითქვა, მაგრამ ჩვენ ეს არც დავგისახავს მიზნად, გვინდა, ჩვენს მკითხველს გავაცნოთ ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი შემოქმედი, რომლის საქმიანობა უშუალოდ წიგნთანაა დაკავშირებული, რომელიც ჩვენს პროფესიასთან მჭიდროდ ურთიერთობაში არის, რომლის შემოქმედებასაც კარგად უნდა ვიცნობდეთ და ვიყენებდეთ მუშაობაში.

იღუმალი სამყაროს დიასახლისი

ბიბლიოთეკას მართლაც შეიძლება ეწოდოს იღუმალების სამყარო. მასში თავმოყრილია სხვადასხვა სახისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაციის წყაროები, უამრავ ავტორთა ნააზრევი. ამ სამყაროს პატრონობს და მართავს ბიბლიოთეკარი. იგი გონივრულად წარმართავს წიგნსა და მკითხველს შორის ურთიერთობას, ურჩევს, აცნობს სიახლეებს. ბიბლიოთეკა, როგორც ორგანიზებული ცოდნის ტაძარი, მკითხველთათვის გონებრივი განვითარების, ინფორმირებისა და დასვენების ნამდვილი დაწესებულებაა, ხოლო ბიბლიოთეკარი ამ სამყაროს მეგზური, გამამდიდრებელი და მკითხველებთან ურთიერთობის ჭეშმარიტი სპეციალისტია. პროფესიონალი ბიბლიოთეკარის შესახებ მადლიერების გრძობით წერენ მკითხველები, ადამიანები, რომლებიც წიგნის უკიდურესო სამყაროში გზას იკვლევენ ბიბლიოთეკარის დახმარებით. ასეთი წერილების რიცხვს განეკუთვნება საერთაშორისო ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის“ ბიბლიოთეკის მკითხველთა წერილი ბიბლიოთეკარის – ლილი გორდელაძის შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ. ქალბატონი ლილი, როგორც პროფესიონალი ბიბლიოთეკარი, გამოცდილი სპეციალისტი, მასობრივი ღონისძიებების უსაჩინოესი წარმმართველი, „კათარზისის“ მკითხველებს შორის სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტით. „კათარზისის“ ბინადარი ბიბლიოთეკაში არჩევენ მათთვის სასურველ გამოცემებს, ეცნობიან ახალ პერიოდულ გამოცემებს. ბიბლიოთეკარი ახლოს იცნობს თითოეული მკითხველის ინტერესს, მის ცხოვრებას ეხმარება ატმოსფეროს. ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებული წარმატებული მუშაობის ნათელსაყოფად საკმარისია მოვიშველიოთ იტალიელი ბიზნესმენის ჩანაწერი, რომელიც მან დატოვა შთაბეჭდილებების წიგნში: „სულ რაღაც ათიოდე წუთი დაეყავი ამ მშვენიერ გარემოში, რამაც ჩემში დიდი შთაბეჭდილება დატოვა, თანაც დამხვდა მშვენიერი, თმაშვერცხლილი ქალბატონი, რომელმაც ჩემი ბეზია და ბაბუა გამახსენა“.

ქალბატონ ლილის შემოსვლა დაწესებულებაში ნამდვილი ზეიმია „კათარზისის“ ბინადართათვის. 86 წელს გადაცილებული ავთანდილ ასპანიძე ხელების აწევით და კრძალვით ესაღმება იღუმალების სამყაროს დიდ დიასახლისს – ქალბატონ ლილის. იგი ხომ მათზე ზრუნავს, ალამაზებს მათ სულიერ სამყაროს. ბიბლიოთეკის მკითხველები აქტიურად მონაწილეობენ საბიბლიოთეკო ღონისძიებებში, რომლებიც ხშირად იმართება „კათარზისის“ ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკარი გონივრულად არჩევს ღონისძიების თემატიკას, ნაბიჯ-ნაბიჯ ამზადებს მის თითოეულ ეპიზოდს, დეტალს. ღონისძიებაში თავიანთ შესაძლებლობებს ავლენენ მკითხველები, ღონისძიების წინამძღოლი ორგანიზება უხამებს ერთიმეორეს ზეპირ და თვალსაჩინო ფორმებს, რაც უფრო მიმზიდველია და ვეპქურს ხდის ყოველ ღონისძიებას.

ბიბლიოთეკარი საუბრობს დინჯად, სწორი ქართულით, რაც მიანიშნებს მის წიგნიერებასა და ინტელექტზე. მეორე მსოფლიო ომის თემატიკაზე ჩატარებულ ღონისძიებაზე დამსწრენი თვალცრემლიანი სიტყვებით იხსენებდნენ იმ ქარცეცხლიან დღეებს. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ჯემალ სულთანოვილი სიამაყით გაიხსენა ბევრი საბრძოლო ეპიზოდი, ისაუბრა რევაზ ჯაფარიძის წიგნის „ვენების კვირის“ პერსონაჟებზე. ასეთი საუბრები და ეპიზოდები ხშირია ბიბლიოთეკის პრაქტიკაში. ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდი სისტემურად ივსება ახალი გამოცემებით, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ქალბატონის მთავარ ბიბლიოთეკას (გენერალური დირექტორი ციალა კალმახელიძე). მკითხველები ერთხმად აღიარებენ, რომ ქალბატონ ლილის მიერ ჩატარებული ღონისძიებები გამოირჩევა ღრმა პატრიოტული თემატიკით, ხოლო ის, როგორც ხელმძღვანელი და წამყვანი, იმავე დროს მსახიობიც, რეჟისორიცა და ორგანიზატორიცაა.

„კათარზისის“ ბიბლიოთეკის შთაბეჭდილებათა წიგნში ბევრი საინტერესო ჩანაწერია, სადაც მადლიერების სიტყვებითაა გადმოცემული ლილი გორდელაძის პროფესიული საქმიანობა, მისი ცოცხალი, ადამიანური ურთიერთობა „კათარზისის“ ბინადრებთან. მკითხველები მას ახასიათებენ როგორც „ლამაზ, სიმპათიურ ქალბატონს“, „წიგნისა და საქმის ერთგულს“. ქალბატონი ლილის ღრმად შინაარსიანი საქმიანობის შესახებ შთაბეჭდილებების წიგნში დაცულია დამსწრეთა ჩანაწერები: საქართველოს ტელევიზიის „ინფო“ ცხრის თანამშრომლების, აკადემიკოს ნიკო მუმლაძის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის დავით სოლომნიშვილისა და სხვების. „ჩემი სულიერი საზრდო თქვენ ხართ, ამ იღუმალი სამყაროს სათნო, სანუკვარი და ულამაზესი ყველა დიასახლისთა შორის, თქვენ ჩემთვის წიგნის დედოფალი ხართ“ – ასეთი ეპითეტებითა ჰყავს შემკული ქალბატონი ლილი აკადემიკოს ლამარა ლომიძეს. „სათნოება უფლისაგან ბოძებული საგანძურია, უფალს თქვენთვის ეს საგანძური არ დაუშურებია“ – წერს ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი მერი ჯანდიერი. ასეთი და მსგავსი სიტყვები უშურველად და დიდი პატივისცემითაა ჩაწერილი ბიბლიოთეკის შთაბეჭდილებების წიგნში. მკითხველთა აზრი, მათი გულთბილი დამოკიდებულება ბიბლიოთეკარისადმი, მათი აქტიური მონაწილეობა ბიბლიოთეკის ცხოვრებაში მეტ ხალისსა და ენერჯის მატებს ბიბლიოთეკარს, ამ საქმისათვის დაბადებულსა და მგზნებარე სულისკვეთების პიროვნებას – ქალბატონ ლილი გორდელაძეს. მისი საქმიანობისა და პიროვნების შესახებ წერილს ხელს აწერენ:

მანანა ქოიავა, ეთერ მანგოსშვილი, ოთარ კობალიანი, ჯემალ ბაშარაული, იოსებ ხუცურაული, თამარ ვაშაკიძე, რუსუდან ნაგლიაშვილი



„ნიბნის დედა - ყველას დედა“!

თამაზ ხაჯანაძე

ყვე რამდენიმე წელია, ხშირად ვსტუმრობ თბილისის მთავარ ბიბლიოთეკას. აქ არსებული ლიტერატურული სალონი „საგულისონის“ (ხელმძღვანელი ცისანა ქონჩაშვილი) მართლაც რომ საგულისხმო, გულმისასვლელი კლუბია. საინტერესო, შემეცნებითი ხასიათის საღამოებზე სულეირად ვმადლდები, ვიზრდები და ბევრს ვსწავლობ. ახალი მეგობრებიც შევიძინე, ჩემი რედაქტორობით გამოშვებული ჟურნალი „გონების თვალში“ წარუდგინე საზოგადოებას და ჩემი მოსწავლეებიც ბევრი გამორჩეული, საინტერესო ადამიანი, პოეტი, მწერალი, ჟურნალისტი და მასახირო გაეცანით და შევიყვართ. ამ დამდღელი, მძიმე ინფორმაციული საკითხებით გარემოცულთ, აქ ნამდვილად გვეძლევა ამოსუნთქვის საშუალება და ერთგვარ ოაზისადაც მიგვანია ეს მყუდრო, წიგნის სიყვარულით გაჯერებული გარემო. მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი არ არის.

ბრწყინვალე საღამოებისაგან მიღებული საოცარი შთაბეჭდილებებით დატვირთულს, შინ დაბრუნებისას, ხშირად მიფიქრია, ნეტავ ვინ ხელმძღვანელობს-მეთქი ამ ბიბლიოთეკას, ვინ არის ის უხინარი ხელი, გული, თავი, თუ თვალი, რომელიც შორიდან, თან ასე დიდებულად, უხმაუროდ წარმართავს ამას ყველაფერს.

ჩემს შეკითხვებზე პასუხი ყოველთვის მოკლე იყო და ლაკონური: ეს გახლავთ ქალი ქველმოქმედი (მგონი, არც ისე ბევრი იცის ჩვენმა ისტორიამ!), ქალი - თბილისის საპატიო მოქალაქე (ერთადერთი საბიბლიოთეკო სივრცეიდან), ქალი - „სიყვარულის ორდენის“ მფლობელი (ასეთი რამ ჯერ არავის გაუგია!), ქალი - „იმედის“ გმირი (კი, ბატონო, ასეთი გვსმენია, მაგრამ ქალბატონი ციალას მსგავსი? არა მგონია!).

მეტისმეტად დამაინტრიგებელი პასუხებია, ინტერესების აღმძვრელი, არა? პოდა, გამიჩნდა სურვილი, მენახა, ახლოს გამეცნო ეს დიდებული ქალბატონი, მეტი გამეგო მის შესახებ, მით უმეტეს, რომ დიდება მყავდა კალმახელიძე, სუფთა, წკრილა, ქათქათა და საყვარელი, კულტურული და მორიდებული, მაგრამ ეს ისე, თორემ მთავარი მაინც ჩემი პროფესიული ინტერესიცაა, რომლის დაკმაყოფილებამ უამრავი დიდებული ადამიანის გაცნობის შესაძლებლობა მომცა და უამრავი ბედნიერი წუთი მანუქა ცხოვრებაში. და, აი, ვახაფხულზე, მარტში, მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, ყვავილების ზღვაში ჩაძირული ქალბატონი ცისანა ქონჩაშვილის საიუბილეო საღამოზე, სადაც ბოლო არ უჩანდა მომლოცველთა ემოციებს, სიტყვა მისცეს ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორს, ქალბატონ ციალა კალმახელიძეს!

თვალეზად და მზერად ვიქეცი, სმენა, გონება უნებურად გახდა უფრო მობილიზებული. მე დარბაზში, საპატიო სტუმართა შორის დავემებ უცნობ, მაგრამ სასურველ სახეს. ის კი თურმე კარებთან დგას მოკრძალებით, მორიდებით. წარმოიდგინეთ, თურქ არც კი ზის (ნახეთ, სტუმართმოყვარეობის რა ხარისხია? მთავარია, სტუმარი იჯდეს, თავად ხომ შინაურია, მასპინძელია!) ღმერთო ჩემო, ეს რა სასწაულია, რა უბრალო, რა საყვარელი, საქმიანი, ღმილად ქვეული, ენამჭკვერი, იუმორით სავსე ქალბატონი დირექტორი წარსდგა ჩვენ წინაშე!

შეგვურებდი, ვუსმენდი ამ დახვეწილ, ნატიფ ქალბატონს, და მივხვდი, რატომ იგრძნობა, რატომ სუფევს ასეთი

საოცარი გემოვნება, წესრიგი და ჰარმონია ბიბლიოთეკის მძიმე კარების შეღებისთანავე რომ მოხვდება თვალში ადამიანს! მივხვდი, ისეთივე ხალხი ჰყავს ირგვლივ შემოკრებილი, როგორც თავდალა - ლალი და საქმიანი, გემოვნებიანი და ჭკვიანი, დირსეული და განათლებული, წიგნიერი და გონიერი. დამეთანხმებით, ნამდვილად ვერაფერი შეედრება ასეთ ადამიანებთან ურთიერთობას!


ეს ყველაფერი თითქოს ერთი შეხედვითაც ადვილად ამოსაცნობი და შესაცნობია, მაგრამ მე ხომ უფრო მეტი მიხდოდა მცოდნოდა მის შესახებ? და, აი, „მშველელიც“ გამიჩნდა - „პალიტრა ტვ-ს“ გადაცემა: სტუმრად მარიკა დარჩიასთან! რა უბრალო, თან როგორი საქმიანი ქალი წარსდგა მაყურებლის წინაშე ამ გადაცემის შემდეგობით! რამდენ საკითხს უწყვეტს თურმე შეჭირვებულ ადამიანებს, რამდენ სიკეთეს აკეთებს, რამდენი საქმე იმ მშვენიერ საღამოებს, ჩვენ რომ ვერ ესწრება თურმე იმ მშვენიერ საღამოებს, ჩვენ რომ ვერ ვგამდიდრებს და გვაგვებს, ვფიქრობდი და უკვე მიყვარდა ეს ღვთისნიერი ქალბატონი. ისიც გულწრფელად მახარებდა, მეამაყებოდა, თუნდაც ერთი წვეთი სისხლი მაინც რომ იყო ჩემში კალმახელიძეებისაგან გენეტიკურად გადმოცემული!

მაღე ტელეკომპანია „იმედის“ არანეგულბრივი პროექტის, „იმედის გმირების“ მიერ გადაღებული გადაცემაც გამიჩნდა ეკრანზე! ბევრი საინტერესო, უჩვეულო, ერთი შეხედვით წარმოუდგენელი ამბები შევიტყვე ამ გადაცემის ავტორთა მეშვეობით!

დღეს, კაცობრიობის განვითარების ამ ურთულეს პერიოდში, როდესაც საკუთარ თავზე უფრო მეტად ფიქრობენ ადამიანები, ვიდრე სხვებზე, როგორ შეუძლია ასე იზრუნოს თანამშრომლებსა და მათ შეილებზე, უხინაო ადამიანებზე ამ სიფრიფანა ქალბატონმა, როგორ ასერხებს ცხოვრებისა და არსებობის ასეთი პირობები შეუქმნას უპოვარო, აცხოვროს, კვებოს, კომუნალური გადასახადებიც გადაუხადოს, ექიმის, წამლის საქმეც მოუგვაროს, ამდენი სიკეთე აკეთოს, ამდენი ქველმოქმედება შესძლოს და უკან არაფერს ელოდოს, არაფერს ითხოვდეს, ოცნებისა და ზღაპრების დონესაც ცდება უთუოდ, მაგრამ, ფაქტია, ეს ნამდვილად ასეა. როგორც ჩანს, ადამიანთა ოცნებებისთვის ხორცშესხმა, კომფორტის შექმნა და რეალობად ქცევა, მისთვის ჩვეული, ბუნებრივი მოთხოვნილებაა.

ვუსმენდი ქალბატონ ციალას მიერ გადარჩენილ ადამიანთა ისტორიებს, ვუსმენდი, თავად როგორ მსჯელობდა საბიბლიოთეკო საქმიანობის დახვეწასა და გათანამედროვეებასთან შერწყმულ მის საოცარ პროექტებზე და კიდევ ერთ რამეს მივხვდი: იგი არა მარტო წიგნის შესაშური სიყვარულითა და მოვლა-პატრონობით, ყველას სიყვარულითა და მოვლა-პატრონობითაა დაკავებული და სიყვარულის ორდენის ღირსეულად მატარებელ, მრავალტიტულოვან ქალბატონს, ჩემგან სრულიად დამოუკიდებლად, მისი საქმიანობიდან და ცხოვრების სტილიდან გამომდინარე, კიდევ ერთი ტიტული შეემატა ბუნებრივად: ქალბატონი ციალა კალმახელიძე, ჩემი აზრით, დამსახურებულად გახლავთ „წიგნის დედა, ყველას დედა“!

ღმერთმა უშველოს, მოყვასის სიყვარული, მლოცველი და დამფასებელი არ მოეშალოს, უამრავი სიკეთეც უხვად ეკეთებინოს ღვთის მადლით გაჯერებულს, ყველა დალოცვილი უმყოფოს, ვინც მისთვის ძვირფასია და საყვარელი, და ყოველის შემძღობს იმაჯიკ კიდევ მრავალი წელი ღირსეულად ეტრებიანოს, ამინ!



როგორ აღვადგინოთ გაუქმებული ბიბლიოთეკები

ბუჩხა თაყნიაშვილი

1991-92 წლების შემდეგ საქართველოში გაუქმდა საბიბლიოთეკო სისტემაში გაერთიანებული სხვადასხვა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკების ნახევარზე მეტი. აღარ ფუნქციონირებენ ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, ჯანმრთელობის დაცვის, პროფკავშირული, პარტიული, და ზოგიერთი სპეციალიზებული ბიბლიოთეკები. ყველაზე მეტად დაზარალდა საჯარო (ყოფილი მასობრივი) ბიბლიოთეკების ქსელი. მათი რაოდენობა 4200-დან წლითი-წლით მცირდებოდა. ყველაზე დიდი რაოდენობით ამ ტიპის ბიბლიოთეკები დაიხურა 2003, 2008, 2011 წლებში. დღეისათვის მოქმედი საჯარო ბიბლიოთეკების რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 700-ს, როგორც ცნობილია, საჯარო ბიბლიოთეკების ქსელი აგებულია ტერიტორიული პრინციპით, ისინი ადგილმდებარეობის მიხედვით უზრუნველყოფენ ყველა სოციალური ფენის უფასო საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურებას. საჯარო ბიბლიოთეკების დახურვა განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორით:

1) ქვეყანაში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ბიბლიოთეკები მოექცნენ ახალ სოციალურ და ეკონომიკურ გარემოში. საქართველოში განვითარებულმა სოციალურმა მოვლენებმა და პოლიტიკურმა ვნებათაღელვამ ბევრწილად განაპირობა მათი დახურვა-გაუქმება, ლიკვიდაცია, გამსხვილება, ძარცვა. ბიბლიოთეკებს თანდათან გამოეცვალათ ეკონომიკური საფუძვლები, რაც ნაკარნახევი იყო საბაზრო ეკონომიკის პირობებით.

2) საჯარო ბიბლიოთეკების ის რაოდენობა, რაც მემკვიდრეობით დარჩა საბჭოთა პერიოდიდან, არ იყო საჭირო და აუცილებელი. წინა პერიოდში საბიბლიოთეკო ქსელი ვითარდებოდა ყოველგვარი სტანდარტებისა და პარამეტრების უგულებელყოფით. ბიბლიოთეკები წარმოადგენდნენ იდეოლოგიურ დაწესებულებებს. პარტიულ იდეოლოგიას წიგნის საშუალებით უნდა მიეღწია თითოეულ სოფლამდე, თითოეულ მოქალაქემდე, ცხადია, ასეთი რაოდენობის ბიბლიოთეკებს სახელმწიფო ვერ შეინახავდა.

3) ამ პერიოდისათვის არ იყო შემუშავებული ბიბლიოთეკების ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები. არ იყო გამოკვეთილი ბიბლიოთეკების ფუნქციები და მისი როლი დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის

საქმეში. თუმცა მოგვიანებით მიღებულმა კანონმა საბიბლიოთეკო საქმის შესახებ არსებითად ვერ შეაჩერა საბიბლიოთეკო ქსელის შეკვეცა-შემცირება.

4) ბიბლიოთეკების მართვის ბერკეტების გადატანამ ვერტიკალური დონიდან ჰორიზონტალურ დონეზე, ანუ ბიბლიოთეკების დაფინანსებამ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, ასევე ბევრწილად განაპირობა ბიბლიოთეკების დახურვა. ამ თვალსაზრისით, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ადგილი ჰქონდა სუბიექტურ მიდგომებს, სახელმწიფო მოხელეთა თვითნებობას, რაც იწვევდა მოსახლეობის კონსტიტუციური უფლებების შელახვას;

5) სასოფლო ბიბლიოთეკების გაუქმებას ხელი შეუწყო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სპეციალურმა წერილმა (2007), რომელიც ნებას რთავდა ადგილობრივ ხელისუფლებას სოფლის ბიბლიოთეკების ფონდები დროებით შეეტანათ საჯარო სკოლებში. ეს წიგნები ამჟამადაც შეკრული ფორმით აწყვია სკოლების სარდაფებში. ამ მხრივ სოფლის ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი დაიხურა შიდა და ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთის, აჭარისა და კახეთის ზოგიერთ მუნიციპალიტეტში.

6) დახურული ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ვერ აკმაყოფილებდა მკითხველთა მომსახურების პირობებს; ბიბლიოთეკებში აღარ შედიოდა ახალი გამოცემები. ადგილობრივი ხელისუფლება უძღური იყო გაუმჯობესებინა და გამოეწვრობინა ეს ხარვეზები. ადგილი გამოსავალი იყო მათი გაუქმება.

აქ დასახელებულ და სხვა გარემოებებს ხელი არ შეუშლია საქართველოს ზოგიერთ მხარეში ძირითადად შეენარჩუნებინათ საჯარო ბიბლიოთეკების ქსელი. ასეთ მხარეებს შორის შეიძლება დავასახელოთ სამეგრელოს, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ზემო-სვანეთის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთი მუნიციპალიტეტი, სადაც არ დახურულა ბიბლიოთეკები ისეთი რაოდენობით, როგორც იგი განხორციელდა აღმოსავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტებში.

საჯარო ბიბლიოთეკების მასობრივი გაუქმება შეჩერდა 2012 წლიდან. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ბიბლიოთეკების ერთი ნაწილი აღადგინეს



წყალტუბოს, თიანეთის, ხარაგაულის, ბოლნისის, გურჯაანის, მცხეთის, გარდაბნის და სხვა მუნიციპალიტეტებში.

გაუქმებული ბიბლიოთეკების აღდგენის დროს ყურადღება უნდა მიექცეს დახურვის ფორმას, ფონდების აღვილსამყოფელს, აღსადგენი ბიბლიოთეკის ბაზას; ამ პროცესში საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები:

1) იმ შემთხვევაში, როდესაც ბიბლიოთეკის აღდგენა ხდება მისთვის ადრე გამოყოფილ ფართებში, სადაც დაცულია წიგნობრივი ფონდები, გაუქმებული ბიბლიოთეკის ფონდების მეთვალყურეობას უზრუნველყოფს ხშირ შემთხვევაში გათავისუფლებული ბიბლიოთეკარი, ან სოფლის თემი; ასეთ შემთხვევაში უფრო ადვილია ბიბლიოთეკის აღდგენა. ყოველ შემთხვევაში ახლად დანიშნულმა ბიბლიოთეკარმა აუცილებლად უნდა შეამოწმოს საბიბლიოთეკო ფონდები, ჩაიბაროს იგი საინვენტარო წიგნებით; გამოვლენილი დანაკლისის შემთხვევაში შეადგინოს სია და წარუდგინოს ცენტრალურ ბიბლიოთეკას. შემოწმების პროცესში გამოვლინდება სხვადასხვა საფუძვლებით ჩამოსაწერი გამოცემები.

2) იმ შემთხვევაში, როდესაც გაუქმდა სოფლის ბიბლიოთეკა და ფონდები გადაეცა საჯარო სკოლებს, აუცილებელია სოფლის ბიბლიოთეკის აღდგენის შემთხვევაში უკან დაიბრუნოს მან თავისი კუთვნილი ფონდები. ამ დროს ორი მომენტია გასათვალისწინებელი: პირველი, როდესაც სკოლის ბიბლიოთეკამ შეიერთა სოფლის ბიბლიოთეკის ფონდები, აღრიცხა და აიყვანა ბალანსზე, მეორე შემთხვევაში, როდესაც სოფლის ბიბლიოთეკის ფონდები შეკრული და ხელშეუხებელია სკოლაში დაცული. პირველ შემთხვევაში სოფლის აღდგენილმა ბიბლიოთეკამ საინვენტარო წიგნებით უნდა აღრიცხოს მისთვის გადასაცემი ფონდები; თუ საინვენტარო წიგნები არ არის დარჩენილი, მაშინ აქტივით უნდა გადაიბაროს ან ახლად გაატაროს საინვენტარო წიგნებში ის გამოცემები, რომლებიც უნდა გადაიტანოს ახლად აღდგენილ სოფლის ბიბლიოთეკაში.

3) დახურული ბიბლიოთეკის აღდგენა იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი სოფლის ბიბლიოთეკის ფონდები შეუერთდა იმავე, ან სხვა სოფლის ბიბლიოთეკას, საჭიროა აღდგენილმა ბიბლიოთეკამ ასევე საინვენტარო წიგნებით აღრიცხოს მისი ყოფილი წიგნობრივი ფონდი და ისე დაიბრუნოს, საინვენტარო წიგნების უქონლობის შემთხვევაში გადმოსაცემი წიგნები უნდა გატარდეს ახალ საინვენტარო წიგნებში. ფონდების გაყოფა უნდა ჩატარდეს ორივე ბიბლიოთეკის პროფილისა და მკითხველთა კონტინენტის გათვალისწინებით. საჭირო იქნება ყურადღება მიექცეს ახლად შემოტანილი გამოცემების გეგმაზომიერ გადანაწილებას ორივე ბიბლიოთეკისათვის.

4) თუ სოფლის გაუქმებული ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდები გადატანილ იქნა ცენტრალურ (მთავარ) ბიბლიოთეკაში და გადაეცა გაცვლით და სარეზერვო ფონდებს, გადანაწილდა ქსელის ბიბლიოთეკაში, ან ცალკეა დაცული, აღდგენილი სასოფლო ბიბლიოთეკისათვის საჭიროა გამოიყოს ძირითადი წიგნობრივი ფონდი მინიმალური რაოდენობით მაინც მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით. აღდგენილი ბიბლიოთეკის ფონდები შეიძლება შეივსოს ქსელის ბიბლიოთეკაში არსებული ზედმეტი ეგზემპლარიდან.

5) იმ შემთხვევაში, თუ სოფლის ბიბლიოთეკის აღდგენა გადაწყვეტილია იქ, სადაც ადრე არ იყო ბიბლიოთეკა, საჭიროა გამოიყოს ისეთი ბაზა, სადაც მინიმალური პირობები მაინც იქნება ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისათვის, ასეთ ვითარებაში შესაძლოა ფონდი განთავსდეს ერთ ოთახში, განლაგდეს მიღებული წესით და აქვე მოემსახუროს მკითხველს.

აქ დასახელებული გარემოებები ტიპიურია ქსელის რეაბილიტაციის თანამედროვე პრაქტიკისათვის. ის ფაქტი, რომ 2012 წლის შემდეგ შეწყდა საჯარო ბიბლიოთეკების დახურვა, იმაზე მიანიშნებს, რომ აუცილებელია იმ ბიბლიოთეკების აღდგენა, რომლებიც დაიხურა ყოველგვარი იურიდიული საფუძვლების გარეშე, სოფლის მოსახლეობის ინტერესის საზიანოდ და მათი კანონიერი საფუძვლების დარღვევით.

საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის აღდგენა და მისი განვითარება წარმოადგენს ჩვენი მთავრობის ერთ-ერთ ვალდებულებასა და მიმართულებას, ცხადია, ერთბაშად, ერთ წელიწადში ვერ აღვადგენთ წინა წლების დახურულ ბიბლიოთეკებს, მაგრამ ყოველდღიურ მოცდელობა არ უნდა დაგაკლოთ კულტურის ამ დაწესებულებას. განსაკუთრებული ძალისხმევა მართებთ ამ თვალსაზრისით იმ მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ხელისუფლებას, სადაც მასობრივად დაიხურა სასოფლო ბიბლიოთეკები, ან შემორჩა 3-4 ასეთი დაწესებულება. ამ ბოლო წლებში საჯარო ბიბლიოთეკების განვითარებას სათანადო ყურადღებას აქცევს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია. სოფლის ბიბლიოთეკები მაღლიერების გრძნობით გამოეხმაურნენ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, რომლის ფონდიდანაც ყველა სასოფლო ბიბლიოთეკამ მიიღო ხუთას-ხუთასი ლარი ახალი წიგნების შესაძენად. ამის მიუხედავად, შეიძლება აღნიშნოს, რომ ცენტრალური ხელისუფლება ნაკლებად ზრუნავს საბიბლიოთეკო ქსელის რეაბილიტაციისა და ბიბლიოთეკების კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილობის საკითხზე. გადამწყვეტი სიტყვა მაინც ეკუთვნის ადგილობრივ ხელისუფლებას.



ინფორმაცია

ზღაპრის გულის აზბები

ოდებუი სანუქარი მიიდეს ჩვენმა პატარებმა – გამომცემლობა „ემ-პი-ჯი“-მ დასტამბა და დიდი რაოდენობით გამოაქვეყნა დავით (დათო) კოტორაშვილის გალექსილი ზღაპრები (ზღაპარ იყო... ზღაპარ იყო: ყრმათა საკითხავი ქართული ხალხური პოეტური წიადიდან. – თბ., 2015. – 144 გვ. – ილუსტრაციებით).

წიგნი წარმოადგენს კრებულს, რომელშიც 6 ზღაპარი შედის; ამავე ჩორხა მძლეთამძლისა; რამ გაათეთრა კურდღელი; კუდბაზარას ფათერაკები; აბა თუ გამოიცნობ, რა რომელზე დიდი; ძალა სიმღერისა, ძალა კაცისა.

დათო კოტორაშვილი ცნობილი პედაგოგია, მეცნიერ-მკვლევარი, მრავალი სტუდენტის აღმზრდელი, რომლებიც დღეს მთელ საქართველოში მოღვაწეობენ, ბევრი მათგანი პატარებთან მუშაობს საბავშვო ბაღებსა თუ სკოლებში. წიგნის ავტორი ამაჟამად მხოლოდ ლიტერატურულ სარბიელზე მოღვაწეობს. დ. კოტორაშვილს პოეტური ნიჭი ბუნებით აქვს მომადლებული. ის არა მარტო ფილოლოგია, არამედ ლიტერატურის მკვლევარი-კრიტიკოსი, ლექსის უბადლო მცოდნე და მთქმელი, თვითონაც შესანიშნავ ლექსებს წერს, უმეტესად ყრამათავის, მაგრამ როგორც ყველა მეტად მოკრძალებული პიროვნება, იშვიათად აქვეყნებს მათ. ჩვენს ჟურნალში რამდენჯერმე აქვს მიღებული მონაწილეობა.

ამჟამად გამომცემულ წიგნში „ზღაპარ იყო“ ნათლად მჟღავნდება არა მარტო მისი ნიჭიერება, არამედ ბავშვთა ფსიქოლოგიისა და ლიტერატურული გემოვნების კარგი ცოდნა, ახასიათებს შესანიშნავი რიტმი, მსუბუქი რითმები, თხრობის სიმწვობრე და სიუჟეტის მარტივი სტრუქტურა, რაც ასე მოსწონთ ჩვენს პატარებს. მისი ლექსიკა მდიდარია და ქართულ ფესვებს ეყრდნობა. ცდილობს არ გადაიტვირთოს ბავშვის გონება, შემოაქვს ზოგი არქაული სიტყვა თუ გამოთქმა, ნეოლოგიზმები, იდეომები, ანდაზები, რაც ამდიდრებს ბავშვის ლექსიკურ რეზერვს, გზას უკაფავს მშობლიური, ხალხური სიტყვიერების სიღრმისეული შრეებისაკენ, ხელს უწყობს კოლორიტის აღქმის უნარის გაძლიერებას, მით უმეტეს სასარგებლოა ეს, რომ კრებულს აქვს გამოყენებული სიტყვების, ტერმინებისა და გამოთქმების, კუთხური მეტყველების ნიმუშებისა

და მოსალოდნელი გაუგებარი მოვლენების ახსნა-განმარტებები.

ზღაპრებში პატარები უეჭველად შეიცნობენ, გაიხსენებენ ქართული ზღაპრების პერსონაჟებს – ადამიანებს, ცხოველებს თუ ფრინველებს. ბევრი მათგანი არა მხოლოდ ნახსენებია, არამედ სხვა ზღაპრებიდანაა აქ შემოსული ახლებური სახითა და ახლებურ გარემოში. ეს უეჭველად აღუძრავს ნორჩ მკითხველებს ინტერესს და საფიქრალს, სააზროვნო იმპულსს მისცემს, ეცდება ანალოგიები ეძიოს. ამით ეს წიგნი დიდ ღირსებას იძენს.



წიგნი გათვალისწინებულია სკოლამდელი და დაწყებითი განათლების მოსწავლეებისათვის, აგრეთვე მასწავლებლებისა და ბიბლიოთეკარებისათვის, რომლებიც ბავშვთა კითხვის ორგანიზაციას ეწვეიან.

დაუძველებელი სიძველენი

ქართული ტაძარ-მონასტრების აღმშენებლობის, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და საადგილმამულო ბანკის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის მიერ შესანიშნავი გამოცემა განხორციელდა. დაიწყო გამოქვეყნება „თბილისის ეკლესიების ბედის“ სერიამ. თითქმის ერთდროულად გამოქვეყნდა პირველი ორი ტომი.

პირველი: ძნელაძე მერაბ, თბილისის კლდისუბნის წმიდა გიორგის ეკლესია: სერიალის I ტომი. – თბ., 2014. – 193 გვ. ილუსტრაციებით.

მეორე: ძნელაძე მერაბ, იხორია მიაა, ჩიხლაძე ვერა, გოგოლაძე ანდრო. თბილისის წმიდა ორმოც სებასტიელ მოწამეთა ეკლესია: სერიალის II ტომი. – თბ., 2014. – 224 გვ. ილუსტრაციებით.

ტომების დამფინანსებლები არიან: თბილისის მერია, თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი, თბილისის საერებულო, თბილისის ბანკი, საქართველოს ეროვნული აკადემია, სამკურნალო კომბინატი DKC.

პირველი ტომი საკმაოდ რთული სტრუქტურისაა: წინ უძღვის მოკლე ანოტაცია და სერიის საგამომცემლო მონაცემები – რედაქტორებისა, რეცენზენტების, კონსულტანტების, სარედაქციო კოლეგიის შესახებ და ტექნიკური უზრუნველყოფის წარმომადგენელთა დასახელება. ანოტაცია და სხვა მნიშვნელოვანი მონაცემები მოცემულია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე. წიგნის საწყის ნაწილში მოთავსებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს მოკრძალებული თხოვნა წმიდა ნათელ გიორგისადმი, რათა მან მოხედოს საქართველოს და ხელი შეუწყოს მის აღორძინებას. ამას მოსდევს მისი ლოცვა-კურთხევა.

მონოგრაფია იწყება „წინათქმებით“, რომელშიც მოცემულია მოკლე ექსკურსი თექვსმეტსაუკუნოვანი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა. შემდეგ უკვე იწყება მონოგრაფიის ძირითადი ტექსტი, რომელიც ორ ნაწილად იყოფა: 1. ახალი მონაცემები თბილისის კლდისუბნის წმ. გიორგის ეკლესიის ისტორიისათვის; 2. წმიდა გიორგი და საქართველო. ნაწილები შედგება თავებისა და ქვეთავებისაგან, რაც ხელს უწყობს კონკრეტული მასალის სრულყოფილად და ანალიტიკურად გაცნობას.

წიგნში მთავარი ადგილი უჭირავს 2007 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების აღწერას, რასაც მთელი პირველი ნაწილი ეთმობა. განიხილება მოპოვებული მასალები, ხდება მათი ანალიზი და შეფასება; ნაჩვენებია წმ. გიორგის კულტის გავრცელების არიალი, მოცემულია იმ

ადგილების დასახელება, რომლებიც წმ. გიორგის სახელთანაა დაკავშირებული; სპეციალური ქვეთავია „გიორგობა ხალხური კალენდრიდან“, ჩამონათვალი თბილისში წმ. გიორგის სახელობის ეკლესიებისა.

ტომში მრავალი ცნობაა წმ. გიორგის სახელთან დაკავშირებით, მასალები მის შესახებ, ვედრება, ლოცვები, ქადაგებანი და ა. შ. დასკვნას მოსდევს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე. წიგნს ერთვის მოკლე ინფორმაცია ფონდის საქმიანობის შესახებ, წიგნს დამატების სახით დაერთვის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის მოღვაწეობის აღწერა და ფონდის მახვენებელთა სია.

მეორე ტომს წინ უძღვის ის ზოგადი მახასიათებლები, რაც საერთოა სერიისათვის, აგრეთვე სრულიად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს ქადაგება 2009 წლის ნოემბერში წარმოთქმული და წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ ათანასეს წანამძღვარი.

მონოგრაფია დაყოფილია 9 მთავარ ნაწილად, რომლებიც ძირითადად დამოუკიდებელ ნარკვევებს წარმოადგენს: 1. თბილისის საქართველოს დედაქალაქი; 2. თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა ნაეკლესიარზე არქეოლოგიური კვლევა-ძიება; 3. წმ. ორმოცი სებასტიელი მოწამენი; 5. თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა ეკლესიის ისტორიისათვის; 6. თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა ტაძრის გეგმარების ტიპოლოგიისათვის; 7. თბილისში, წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა ეკლესიის მახლობლად აღმოჩენილი ქვაჯვარის წარწერა (VII-VIII სს.); 8. დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადმოტანის საკითხისათვის; 9. დასკვნა.

მეორე ტომსაც ახლავს დამატება საქველმოქმედო საერთაშორისო ფონდის საადგილმამულო ბანკის მოღვაწეობის შესახებ და ფონდის საქმიანობის მოკლე ინფორმაცია.

მონოგრაფიაში ნარკვევები სათანადოდაა გამოყენებული ლიტერატურის ნუსხით, ასევე ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენაზე. დართული აქვს იმ გამოცემათა დასახელება, რომლებიც მომზადებულია დასაბეჭდად და მიმდინარე წელს გამოქვეყნდება.

ორივე ტომს უხვად ახლავს ფოტომასალა და ეკლესია-მონასტრების არქიტექტურული ნახაზები, რომლებიც უდავოდ ამდიდრებს წიგნების პოლიგრაფიულ ხარისხს. ხსენებული სერია თავისი შინაარსით, წერის მანერითა და გადმოცემის სისადავით შეიძლება გამოიყენონ არა მარტო მეცნიერ-მკვლევარებმა, არამედ მკითხველთა ფართო საზოგადოებამ.



ბიბლიოთეკების ფონდების ღირსების წიხნი

ეს წიგნი ნამდვილად საყოველთაო ინტერესის საგანს წარმოადგენს. მასში ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყოველი სფერო პოვებს ასახვას: სოციალური, პოლიტიკური, საწარმოო, ეკონომიკური, ისტორიული, გეოგრაფიული, სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო-საგანმანათლებლო, ლიტერატურისა და ხელოვნების, კულტურის, ყოფით-პიროვნული და სხვ. მისი ბიბლიოგრაფიული დასახელება საკმაოდ შთამბეჭდავია: სულამანიძე თამარ, მეჩითოვი იური, ქართული ფოტოგრაფია: 1955-2012. [თბ., PILTS, 2013] – 748 გვ. ფოტოილუსტრაციებით / პარალელურად ინგლისურ ენაზე, მხატვრული ფორმაციითა და ავანტიტულით.

როგორც ბეჭდვითი ცნობებიდან ვიგებთ, წიგნი ეძღვნება იდეის ავტორს გიორგი სულამანიძეს. მთავარი რედაქტორი, დამკაბადონებელი და დიზაინერი არის ნაშრომის თანაავტორი თამარ სულამანიძე, სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან გიორგი ცაგარელი და ლიკა მამაცაშვილი. აღნიშნული გამოცემა წარმოადგენს ერთობლივ პროექტს ეროვნულ არქივთან; მხარდამჭერია ფონდი „ღია საზოგადოება- საქართველო“, აგრეთვე თიბისი ბანკი; დაიბეჭდა თურქეთში.

წიგნი შედგება ნაწილებისაგან: წინასიტყვაობა; სოცრეალიზმი, 1955-1985; საქინფორმი, 1946-2006; თვალსაზრისი, 1985-1989; დოკუმენტი, 1980-2009; კონცეპტი, 1970-2013; ახალი ტენდენციები, 1995-2013; ინდექსი [ფოტოგრაფების საძიებელი].

წინასიტყვაობა საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც გამოცემასთან დაკავშირებული საკითხების გარდა, აქ მოცემულია მოკლე ისტორიული ექსკურსი საქართველოში ფოტოგრაფიის განვითარებაზე. თავების მიხედვით მოცემულია ანოტირებული მონაკვეთები, რაც წარმოადგენს გვაძლევს ამა თუ იმ თავის შინაარსზე.

როგორც ავტორები აცხადებენ, მათ მიერ ჩატარებული კვლევა „პირველი მცდელობაა, შეჯამდეს ის გზა, რომელიც ქართულმა ფოტოგრაფიამ 60 წლის მანძილზე განვლო. ეს იყო ძალზე რთული და საპასუხისმგებლო ამოცანა, რადგან ეს სფერო თითქმის შეუსწავლელია... წიგნის გამოცემა ასევე განაპირობა ბოლო 10-15 წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ფოტოგრაფიის პოპულარობის უჩვეულო ზრდამ, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების განვითარება... სისტემატურად ტარდება ფოტოკონკურსები, ფესტივალები, გამოფენები. მუშაობს ქართული ფოტოპორტალები, მზადდება ტელეგადაცემები, იწერება დისერტაციები და ტარდება კვლევები...“

თუ რა შედეგებს მიაღწია ქართულმა ფოტოგრაფიამ, რა დონეზეა ამჟამად, ნათელ პასუხს იძლევა ეს წიგნი, რაც თავად შეუძლია განსაჯოს მკითხველმა.

ტექნიკური თვალსაზრისით, წიგნი უმაღლესი პოლიგრაფიული ნაწარმია, რასაც ვერ ვიტყვით გამოცემათა საყოველთაოდ მიღებულ კონსტრუქციის შექმნის სტანდარტზე, რომელიც გამოყენებულია აღნიშნული წიგნის ბეჭდვისათვის, და არც ტრადიციულად დადგენილ აღწერილობათა საყოველთაო წესებზე. მაგალითად, გაგრძელებად თავფურცელზე პირველ ავტორად მითითებულია თამარ სულამანიძე, მეორედ – იური მეჩითოვი, საგამომცემლო მონაცემებში (კოლოფონი) – პირიქით; გამოცემის ადგილი (ქალაქი) სტანდარტის მიხედვით ტიტულზე არაა მითითებული, ნახსენებია ის მხოლოდ გამოცემლობის მისამართშია; შინაარსში (სარჩევი), რომელსაც ავტორები „შემადგენლობად“ მოიხსენიებენ, შეუსაბამობაა. მაგალითად, როგორც ჩანს, პირველი ნაწილის ზოგადი სათაურია „სოცრეალიზმი 1955-1984“, რაც ასევეა შეტანილი „შემადგენლობაში“, მაგრამ ამ ნაწილის კონკრეტული დასახელება: „სოციალიზმი ქართულ ფოტოგრაფიაში, 1955-1985 წლებში“ სულაც არ არის აღნიშნული. მით უფრო უხერხულია ეს, რომ „სოციალიზმი“ და „სოცრეალიზმი“, როგორც ჩანს, ავტორებს ერთი და იგივე ჰგონიათ. უმეტესად მხოლოდ ზოგადი სათაურებია შეტანილი „შემადგენლობაში“, კერძო კი – არა. სათაური „ფოტოგრაფების ინდექსი“ მხოლოდ „ინდექსის“ დასახელებითაა შესული შემადგენლობაში, რამაც შეიძლება ერთგვარი გაუგებრობაც კი გამოიწვიოს, რადგანაც „ინდექსი“ ქართულ საბიბლიოთეკო საქმეში არ ნიშნავს „საძიებელს“, როგორადაც ეს ავტორებს აქვთ წარმოდგენილი. მაგრამ ყოველივე ეს არ წარმოადგენს რაიმე არსებით ნაკლს და არაფრით არ ამცირებს ამ გამოცემას. კარგია, რომ წიგნს ბოლოში დართული აქვს ფოტოგრაფთა საძიებელი – „ფოტოგრაფია ინდექსი“, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა შექმნილიყო, საერთოდ, პირთა საძიებელი, მით უმეტეს, რომ წიგნში უხვად არის წარმოდგენილი გამოჩენილ ადამიანთა ფოტოპორტრეტები, რომელთა გვარებიც არის მითითებული. ეს მკითხველს გაუადვილებდა დაინტერესებულ პირთა პორტრეტების დაძებნას.

დასასრულ, გვინდა დავარწმუნოთ ჩვენი მკითხველები, წიგნი არა მარტო შემეცნებითი თვალსაზრისით არის საყურადღებო, არამედ მას დიდი ესთეტიკური ზეგავლენის მოხდენაც შეუძლია.



ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

- 20 იანვარს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას პროფესორმა მერაბ ჩუხუამ გადასცა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხელნაწერი ბრძანება. დოკუმენტი გაციფრდა; ტექსტი შევა პროექტის „საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები – ზვიად გამსახურდია“, ხუთტომეულის მეხუთე ტომში;
- 12 თებერვალს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა „2014 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის“ დააჯილდოვა; ინსტიტუტის მიერ ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით საუკეთესოდ შეფასდა;




- 25 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსში გაიხსნა აფხაზური კუთხე. საგამოფენო სტენდზე წარმოდგენილია ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული აფხაზური ლიტერატურა და პერიოდული გამოცემები. კუთხის გახსნა მიზნად ისახავს აფხაზური ენის, მწერლობისა და ისტორიის შესწავლასა და კვლევის ხელშეწყობას. კუთხე გაიხსნა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით;




- 8 მარტიდან ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩაირთო უახლესი ბაზა „ადამიანის უფლებათა სწავლება ონლაინ“ რეჟიმში: აღნიშნული ბაზა ეკუთვნის ციფრულ ბიბლიოთეკას = ALEX-ანდერსტრეეტ რესს“ და მოიცავს უზარმაზარ რესურსს ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ. სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილებას, ფაქტებს, ვიდეომასალებს, დოკუმენტაციას, ისტორიას, უშუალოდ მონაწილეთა ნაამბობს და ა. შ.

- 10 მარტიდან ეროვნულმა ბიბლიოთეკამ დაიწყო ახალი მეგა-პროექტი „ფიროსმანი“. პროექტის მიზანია, აღმოაჩინოს და შეაგროვოს ოჯახებში და დაწესებულებებში დაცული და სხვადასხვა გამოცემებში დაბეჭდილი ხელოვნების ნიმუშების ციფრული ვერსიები;



- 12 მარტს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ტელეკომპანია ქვემო ქართლს შორის ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმდა. დოკუმენტის თანახმად მხარეები გამართავენ ერთობლივ ღონისძიებებს. ტელეკომპანია გააშუქებს ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტებს, ჩატარებულ საჯარო ლექციებს და სხვა სახის ინფორ-

- 14 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა დედაენისადმი მიძღვნილი გამოფენა. წარმოდგენილი იყო ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული დედაენის უძველესი გამოცემები: ი. გოგებაშვილის, ნ. ბოცვაძის, კ. ბურჯანაძის, კ. რამიშვილის, ვ. ძიძიგურისა და სხვათა ავტორობით გამოცემული დედაენის სახელმძღვანელოები. ამავე დღეს გაიმართა ქ.შ.წ.კ. გამაგრცვლებელი საზოგადოების წევრთა სრული ელექტრონული მონაცემთა ბაზის წარდგენა. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით



- 30 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა „კვირეული-2015“. გახსნას ესწრებოდნენ თბილისის საქალაქო და სამეცნიერო ბიბლიოთეკების ხელმძღვანელი პირები, მუნიციპალიტეტების მთავარი ბიბლიოთეკების წარმომადგენლები. კვირეულის გახსნაზე წარადგინეს კრებული „ბიბლიოთეკარი პოეტი“ (პროექტის ავტორი ინგა ფილაური-ლორია).





„ლუჩია ლამერმურელი“ დოჩა ოპერაში

ეპოქა ბიზნესი

დონიცეტის „ლუჩია ლამერმურელი/Lucia di Lammermoor“ წარმოდგენს იტალიური ბელ კანტოს უდავო შედეგს. უოლტერ სკოტის პოეტურმა რომანტიზმმა იდეალური გამოხატვა ჰპოვა დონიცეტის ოპერაში, სადაც მუსიკალურ ენაზე გადმოცემულია ახალგაზრდა შეყვარებული ქალის ტრაგედია, როდესაც იგი, საკუთარი ძმის, ლორდ ენრიკო ეშტონის ზეწოლითა და ბედუკუდმართობის გამოისობით, ცოლად მიჰყვება სხვას (ლორდ არტურო ბაკლოუს) და ჩადენილი საქციელის სიმძიმე მისი გონებისა და ხასიათისათვის უმძიმესი და დაუძლეველი სატანჯველი აღმოჩნდება. ლუჩიას ერთადერთი სიყვარული – ედგარდო, რავენსფუდების ოჯახიდან, რომელიც მტრულად დაპირისპირებულია ეშტონების საგვარეულოს, ლუჩიას გაუბედურების შემდეგ იღებს საბედისწერო გადაწყვეტილებას – თან მიჰყვება თავის მიჯნურს.

1835 წელს დადგმული ოპერა ნეაპოლის „სან კარლოს“ თეატრში დღემდე არის პოპულარული საოპერო სცენის წამყვან თეატრებში. ოპერის წარმატებას განაპირობებს დონიცეტის უჩვეულო და მომწიფებული მუსიკალური, ოსტატური ენა, რომლითაც იგი აჯილდოებს თავის გმირებს და უპირველესად ლუჩიას. უნდა გამოვყოთ ლუჩიას გაგიჟების სცენა, რომელიც თავისი მუსიკალური დრამატიზმითა და გამოხატვით შესულია კლასიკური მუსიკის საგანძურში. აღსანიშნავია, რომ ყველა დროის სახელგანთქმული პრიმადონები ზუსტად ამ პარტიაში სინჯავენ თავის ძალებს. რად ღირს ამ სიის ჩამოთვლა: მარია კალასი, ჯონან საზერლენდი, რენატა სკოტო, მონსერა კაბალე, ბევერლი სილზი და სხვ.

„დოჩე ოპერის“ სცენაზე 2015 წლის თებერვალში მხოლოდ ორი სპექტაკლი იგეგმებოდა. დავესწარი პირველს – 1 თებერვლის წარმოდგენას. შემადგენლობა ასეთი იყო: ლუჩიას ასრულებდა ახალგაზრდა სამხრეთაფრიკელი სოპრანო – პრეტი იენდი (Pretty Yende), ლორდ ენრიკოს – იტალიელი ბარიტონი სიმონე პიაჯოლა (Simone Piazzola), ედგარდოს – სახელგანთქმული ტენორი ჯოზეფ კალეია (Joseph Calleja) და ლუჩიას აღმზღდელის, რაიმონდოს პარტიაში – ბანი სიმონ ლიმი (Simon Lim). საღირსორო პულტთან იყო ივან რეპუშინი (Ivan Repušić). დადგმა არ იყო საპრემიერო – იგი იმერებდა „დოჩე ოპერის“ ტრადიციულ, ძველ, 1980 წლის წარმოდგენას, რომლის რეჟისორი ფილიპო სანჯუსტი იყო. რაც ეხება კოსტიუმებს – ეს იყო მდიდრული, ეპოქის შესაბამისი და მომხიბვლელი სამოსი. მიზანსცენები და ინტერიერი – მეტად მინიმალისტური და ძუნწი. ამიტომაც ტრადიციულ დადგმას მაინც აკლდა სამხატვრო სიუხვე. მაგრამ დღეს გამეფებული, კლასიკური მუსიკისათვის არაშესატყვისი მოდერნიზმის ფონზე ეს წარმოდგენა უდავოდ ტრადიციულ სპექტრში განიხილებოდა და სიბლავდა მაყურებელს.

თავიდანვე წარმოდგენაში გამოვლინდა „დოჩე ოპერის“ ძველი სისუსტეები – მომღერლებისა და ორკესტრის არაკოორდინირებული შესრულება. ვფიქრობ, რომ ეს მოწვეული მომღერლების დროის უქონლობით არის გამოწვეული, ან შეიძლება ადგილობრივი ორკესტრის ხელწერაა. სუსტმა დირიჟორულმა ინტერპრეტაციამ ეს ჩავარდნა გამოავლინა. წამიერად გონებაში ასეთმა აზრმა გამიელვა – ისეთ თეატრებში, როგორიცაა „მეტროპოლიტენ ოპერა“, „კოვენტ გარდენი“ და „ლა სკალა“ – ასეთ რამეს, როგორც წესი, ვერ შეხვდებით. მეორე უსიამოვნო განცდა, რომელიც სპექტაკლმა დამიტოვა, ეხებოდა ოპერის ვერსიას – უკანასკნელ წლებში გამოვლინდა, ჩემი აზრით, ძალზე დადებითი ტენდენცია – ოპერის შესრულება სრული რედაქციით, ყველანაირი კუპიურების გარეშე. წარსული საუკუნის იტალიური ოპერის აღმავლობის წლებში მას შეეკვიცილად ასრულებდნენ – აკლებდნენ დუეტებში და არიაში რეპრიზას,





პირველ აქტში არ ასრულებდნენ რაიმონდოს არიას და მეორე აქტის მთელ დასაწყის სცენას – დრამატიზმით აღსავსე ენრიკოსა და ედგარდოს დუეტს, სადაც ისინი ერთმანეთს დუელზე იწვევენ. დღევანდელ წარმოდგენაზე შესრულდა მოკლე ვერსია, რამაც ძალიან დამწვევია გული. რაც ეხება შემსრულებლებს – იტალიელი სიმონე პიატოლასათვის, რომელიც ძირითადად იტალიის და ესპანეთის თეატრებში გამოდის, ბერლინის სცენაზე ეს გამოსვლა მისთვის დებიუტი იყო. მას დასშული, ტემბრალურად რენატო ბრუზონის მსგავსი ხმა ჰქონდა, მაგრამ კარგი ფრაზირება და უბადლო ზედა ნოტები. მისი მოქნილი ხმა კარგად ასახავდა გმირის ხისტ და უდრეკ პოზიციას. მაგრამ სცენისათვის მას პატარა ხმა აღმოაჩნდა. არც სოპრანოს ხმა იყო დიდი, თუმცა ავსებდა დარბაზს. ლამაზი ტემბრის და საშუალო ტექნიკის ფლობა ჯერ კიდევ არ იძლევა აღიარების საშუალებას. პრეტი იენდი პირველ აქტში, (უნდა ითქვას, რომ ამ პარტიის შესრულება ბერლინის სცენაზე მისთვის ორმაგად სადებიუტო იყო), გამოიყურებოდა არადაზაჯერებლად, ეტყობოდა მღელვარება – ამიტომაც როლი სასურველი სიმტკიცითა და დაბეჯითებით ვერ მიჰყავდა, რაც მის ვოკალურ მონაცემებზე ისახებოდა. ამ მომდერაღმა მსგავსი არასტაბილურობა გამოიჩინა „მეტროპოლიტენ ოპერის“ სცენაზე, როდესაც პირველად როსინის „გრაფ ორიში“ 2013 წელს გამოვიდა. იქამდე კი როლები იყო მილანის „ლა სკალაშიც“. მაგრამ მეორე აქტი მეტად დამაჯერებლად წაიყვანა – დაძლია სადებიუტო მღელვარება და გაგიჟების სცენა ძალზე ეფექტურად შეასრულა, რისთვისაც მაყურებლის დიდი ოვაცია და პირადად ჩემი სიმპათიაც დაიმსახურა. რაც შეეხება ჯოზეფ კალეიას – იგი ნამდვილად იყო იმ საღამოს გმირი. პირველივე გამოჩენიდან ცხადი გახდა, რომ სხვა შემსრულებლებთან შედარებით ის თავს ისე გრძობდა, როგორც თვეზი წყალში. უშეცდომოდ, დაძაბულობისა და ჩავარდნების გარეშე – თავისი უღამაზესი, მოქნილი ხმით მან მთლიანად შეავსო დარბაზი და არც „საფირმო“ პიანოსიმოებს აკლებდა. ერთი სიამოვნება იყო მისი მოსმენა. ამის გამო კუპიურების არსებობა მეტად მტკივნეულად აღვიქვი. რაც შეეხება კორეელ ბანს – სიმონ ლიმს (ისიც მოწვეული იყო ცენტრალური პარტიების შემსრულებლების მსგავსად), იგი ძირითადად მღერის როსინისა და მოცარტს იტალიის საოპერო სცენაზე და მათ შორის მილანის „ლა სკალაში“. მას ამ პარტიისათვის ნაკლებად შესატყვისი ტემბრი ჰქონდა,

მაგრამ ვოკალური თვალსაზრისით ჩინებულად იმდერა.

რადგან ყველა შემსრულებელი ახალგაზრდა იყო, ტანად მაღალ კალეიას კარგად უპირისპირდებოდა ჩასხმული პიატოლა და ლუჩიის შემსრულებელი – აფრიკელი იენდი, თხელი სიმპათიური, საშუალო სიმაღლის ახალგაზრდა ქალი. თეატრალური თვალსაზრისით რაიმე დისონანსს ადგილი ნამდვილად არ ჰქონდა. დანარჩენი პერსონაჟები წამყვან მომდერლებს ტოლს არ უდებდნენ.

წარმოდგენისას გაკეთდა ერთი შესვენება, მაგრამ, ტრადიციულად, ბერლინელმა მსმენელებმა სასმელი პირველივე აქტის წინ დააგემოვნეს. იმ საღამოს მეც სრულად გავიზიარებდი დარბაზის სიხარულს, რომ არა ერთი მოულოდნელი ფაქტი. ორი დღით ადრე, ვებერის ოპერის მოსმენისას ბერლინის ნაციონალურ ოპერაში მე, ჩვეულებრივ, როგორც აქამდე არაერთხელ გამიკეთებია მსოფლიოს სხვადასხვა საოპერო დარბაზიდან, როგორც ჟურნალისტმა, გამოვიყენე ჩემი ფოტოკამერა, რათა ფოტომასალით გამემდიდრებინა ჩემი შთაბეჭდილების წერილი. წელს მე სხვა – უფრო მცირე და საგრძობლად მხატვრიკო 4/3 სისტემაზე გადავიღე, ამიტომაც გამიკვირდა, როდესაც წინა წარმოდგენაზე ხელით ვიღაცამ უხეშად შემეხო. იმ წუთში ჩავთვალე, რომ კამერის დამატებითმა წითელმა ნათურამ ვიღაცა შეაწუხა, თუმცა არც ეს არ ამართლებდა მის ფიზიკურ აგრესიას. „ლუჩიის“ პირველი აქტის ბოლოში, სექსტეტის დასრულებისას მე უკვე ხედმეტი გამაღიზიანებლებისაგან გათიშული კამერა გამოვიყენე და პირველი აქტის მიწურულს მომდერლები გადავიღე. უკვე შესვენებისას მე მორიგი აგრესიის მსხვერპლი აღმოვჩნდი – როგორც ფიზიკური, ისე ვერბალური. ვინმე მსმენელი, ასაკოვანი მამაკაცი (არცთუ სასიამოვნო იყო მისი გაბრაზებული სახის დანახვა!), ვერა და ვერ შეგუებოდა ჩემი კამერის არსებობას. მისმა მუჯღუგუნმა წუთიერად დამავიწყა დონიცეტის ლირიზმი და უოლტერ სკოტის რომანტიზმი. ნამდვილად გამაკვირვა სიტლანქისა და კაცთმოძულეობის ასეთმა უეცარმა ამოფრქვევამ ამ, ერთი შეხედვით წარმატებულ, ბიურგერულ ბერლინურ საზოგადოებაში, მეტად გასაოცარი იყო! ნუთუ შეიძლება ხელოვნების მოყვარული ჰუმანისტული ვილდის ბნელი აგრესიის სამიზნე გახდეს? სამწუხაროდ, გუნებაწამხდარმა, ამ კითხვით დავტოვე „დონიე ოპერის“ თეატრი...

გასწორება:

ჟურნალის წინა ნომერში (№4 – 2014, გვ.11) ავტორის გვარი სტატიისა „მშობელი ქვეყნის მოზარე“ დაბეჭდილია შეცდომით. ნ. ნათელაშვილი – კვინიკაძე, უნდა იყოს ნ. ნათელაშვილი – კვინიკაძე. რედაქცია ბოდიშს ისდის კორექტორული შეცდომის გამო.

PRINT OFFICE

We Build Your Brand



ციფრული სტამბა

სრული კოლიგრაფიული მომსახურება

წიგნების ბეჭდვა


1

ეზემპლარირება

- სავიზიტო ბარათები
- ფლაერები
- ბროშურები
- წიგნები
- ჟურნალები
- მრავალი სხვა

ალ.ყაზბეგის გამზ. 43
თბილისი
+995 (32) 2 39 23 03
+995 557 14 32 32

დ. აღმაშენებლის გამზ. 147
თბილისი
+995 (32) 2 24 04 20
+995 593 24 00 04



PRINT OFFICE




We Build Your Brand



ციფრული სტამბა

სრული სარეკლამო მომსახურება

- მაისურები
- კალმები
- კალენდრები
- ეტიკეტები
- ბანერები
- მრავალი სხვა



ალ. ყაზბეგის გამზ. 43
თბილისი
+995 (32) 2 39 23 03
+995 557 14 32 32

დ. აღმაშენებლის გამზ. 147
თბილისი
+995 (32) 2 24 04 20
+995 593 24 00 04

მისამართი: გუდიაშვილის 7, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. IV კორპუსი
ტელ.: 2 97 16 55

